

საქართველოს ტექნიკური საზოგადოება

მიხეილ ქორელი

# ფილიეონ ქორიკე


ბიოგრაფიული ნაკრები

გამომცემლობა „ხელოვნება“

თბილისი

1949





### ფილიმონის ბავშვობა

ფილიმონ იასეს-ძე ქორიძე დაიბადა დაახლოებით 1828-29 წელს. მისი წინაპრების სამშობლო კუთხე საშუალო სიმაღლის მთაა—სახელად გამოჩინებული, ახლანდელ სადგურ საჯავახოს მახლობლად. ეს მთა დაჰყურებს ქვემო იმერეთის, სამეგრელოს და გურიის ნაწილებს, რომელნიც საჯავახოსთან (სოფელ ორპირში) ერთიმეორეს ესაზღვრებიან. თვით გამოჩინებული თავისი კალთებით გურიის ნაწილი, ასე ვთქვათ, მისი გეოგრაფიული დასაწყისია. გამოჩინებულის მწვერვალზე მდებარე ეკლესიის ეზოდან კარგი ამინდის დროს მრავალი კილომეტრის მანძილზე რიონის ნათელი ზოლი და ბოლოში ფოთის შუქურა მოჩანს, ხოლო მეორე მხრიდან—გურიის, ერთიმეორეში გადაბმული, მრავალი მთაგრეხილი.

თვით მწვერვალზე და მის კალთებზე წინათ წიფლებისა და ურთხელების უღრანი, თითქმის უდაბური ტყე იყო, შიგ შქერის ხშირი ბუჩქნარიც, სადაც სოკოკვერცხი (ნიყვი) მრავლად მოდიოდა. წიფელა და ურთხელი ქორიძეებს შეშას და საშენ მასალას აძლევდა, ხოლო სოკოკვერცხი—გემრიელ ჩახოხბილს. ნადირიც—შველი, ტახი, დათვი—საკმაოდ იყო. ეს გაუვალი ტყე საიმედო ციხესავით იფარავდა და თან ინახავდა აქ მცხოვრებლებს—ქორიძეებს.

1885 წელს ფილიმონმა გამოჩინებულზე წამიყვანა. წიფელა 7 ძირილა დარჩა, ურთხელი სულ აღარ იყო, სოკოკვერცხი კი წინანდებურად ბლომად, ძველი ტყის ნაცვლად მწვერვალი ყანებით და ბოსტნებით შეიმოსა.

ფილიმონი, პაპამისის მიერ გაგონილს, ქორიძეების გვარუფლობის ძველ ამბავს მიაშობდა ხოლმე: ჩვენი წინაპრები გამოჩინე

ბულის მწვერვალზე უხსოვარ დროს დაბინავდნენო. პატარა ეკლესია ააგეს, მღვდლებად და დიაკვნებად თვითონ დადგნენ და ეს თანამდებობა მემკვიდრეობით გადადიოდა მამიდან შვილზე, მრევლად კი მახლობელი სოფლები ჰყავდათ.

ქორიძეებს სამოსახლო და საყანე ადგილები ნაკლებად ჰქონდათ, სიმინდიც აკლდათ და ლობიო-ლომიც. ნადირი წინაო ბევრი იყო, მაგრამ თანდათან შემცირდა, ადამიანი კი გამრავლდა.

იმ დროს ბატონი და მფლობელი ის ხდებოდა, ვისაც ძალა ჰქონდა, იარაღი და საფარიც. რაც დააკლდებოდა და სხვაგან ეგულებოდა, იარაღით იძენდა, ართმევდა. ამ „წართმევიას“ ფერხულში ყველა იყო ჩაბმული. სხვებს არც ქორიძეები ჩამორჩა. ასე რომ წირვა-ლოცვის დროს რომელიმე ქორიძეს ხელში ჯვარი ან საცეცხლური ეჭირა, ხოლო „წართმევიას“ დროს—ხმალი.

გამოჩინებულის ქვემო კალთების და ახლო-მახლო ბარის სოფლები—საჯავახო, ორპირი, საკალოიანო, სამტრედე—ყოველთვის დაცემის შიშ ქვეშ იყვნენ, რადგანაც სათესი მიწაც და მოსავალიც საკმაო ჰქონდათ. ამიტომ ეს სოფლები გამოჩინებულის ტყეს ქორების ბუდეს, ხოლო შიგ მცხოვრებლებს—ქორებს უწოდებდნენ.

ბოლოს და ბოლოს გამოჩინებულის ფერდობებზე მდებარე მოსახლეობა ქორიძეებს შეუთანხმდა: მოსავლის აღების დროს მუდმივად ეძლია სიმინდი, ლობიო, ღომი, ღვინო, ხოლო ქორებს „წართმევიანზე“ ხელი უნდა აეღო. ეს იყო „ძლიერის უფლებებიდან“ გამომდინარე თავისებური „ხარკი“, რომელიც შემდეგ „საადათო სამართალად“ გადაიქცა. ეს „ხარკი“ ეკლესიაში სამღვთო შესაწირავის სახით მიდიოდა.

ახლა საჯავახომ, ორპირმა, საკალოიანომ და სხვა სოფლებმა გამოჩინებულის ხალხი ქორიძეებად მონათლა, ხოლო ზემო ფერდობების, ქორების მიერ დამორჩილებულ მცხოვრებლებს—ქორიძეების „კაცებს“, და არა ძეებს, უწოდებდნენ, თითქოს ისინი მწვერვალის ყმები იყვნენ.

ასეთი ყოფილა ფილიმონის პაპის მიერ მოთხრობილი ძველი საგვარეულო ამბავი.

ფილიმონის დაბადების დროს უკვე მშვიდობიანობა იყო. ძველი ხმალი გატყდა, ღანგი მოედო და მით შქერს ჭრიდნენ წყნელებად. „წართმევიას“ და მისგან გამომდინარე „ხარკის“ ამბავი ლეგენ-

დად იქცა. ასეთივე ლეგენდად იქცა უღრანი ტყეც. მხოლოდ მთის უღელტეხილზე ობლად, დარჩენილი შვიდი წიფელა, შქერი, სოკო-კვერცი და ხმლის დაჯანგული ნატეხი ძველ, წარსულის ბურუსში გახვეულ დროს მოწმობდნენ. ბარიდან მთაზე და მთიდან ბარში ასვლა-ჩასვლა უსაშიშრო გახდა. მთის კალთების მცხოვრებნი უკვე ქორიძეების გვარს ატარებდნენ, ძველებურად გუთნის და თოხის საშუალებით ცხოვრობდნენ და თავისუფალ გლეხებად ითვლებოდნენ, ხოლო მწვერვალის ზოგი ქორიძე სახნავი მიწების ნაკლებობის გამო, ძველი „წართმევიას“ ადათის ანარეკლის, თუ სამშვიდობო შეთანხმების ძალით, საჯავახოსკენ მოქცეულ კალთებზე დასახლდა: იქ სახნავი მიწები დაამუშავეს, იქვე მთის ნაკადზე წისქვილი და ღომის საცეხველი დადგეს—ეს მომგებიანი საქმე იყო და ბოლო ხანებში რამდენიმე მეზობელ სოფელს თავისი ქირნახული ამ წისქვილში მოჰქონდა.

ფილიმონის დედ-მამა და პაპა ზევით დარჩნენ ეკლესიის მახლობლად. ურთხელის სახლი წიფლების შუა ჰქონდათ მთის ზედა უღელტეხილზე, ეგრეთ წოდებულ „ჯვარზე“. მათი პატარა მეურნეობა ოჯახს ძლივს უოფნიდა, მაგრამ ფილიმონის დედამ ქათმები, ინდაურები და გოკებიც მოაშენა და, თუმცა გოკები საკმაოდ მკლე იყვნენ, მათი წიკმუტუნი ეზოს აცხოველებდა და პატარა ფილიმონსაც ძალიან ახალისებდა. მამამისი, მღვდელი იასე, თავის პატარა ყანას გულმოდგინედ ამუშავებდა, ასე რომ ოჯახს სიმინდი და ღობიო არ აკლდა.

წამოიზარდა თუ არა ფილიმონი, 8—10 წლის ბიჭი, საოჯახო საქმეებში ჩააბეს.

— აბა, ფილიმონ, წყალი მოარბენინე!

— აბა, ბიჭო, ფიჩხი მოიტანე!

— წელან შქერში სოკო დავინახე... გავარდი, თორემ ანტონა (ფილიმონის ბიძაშვილი) დაგასწრებს... იმანაც დაინახა... ფეხმარდი ხარ და შენ იცი!

— ე, კაცო, წადი, შქერი მოქერი, ვერა ხედავ, ღორმა ღობე გაარღვია!.. მეზობლის ყანას გააოხრებს, მერე უყარე კაკალი! პაპუხს, შენ გასცემ?

— მშიერია და აბა რა ქნას!—უპასუხებს ფილიმონი.

— მშიერია თუ რაცხაა, გავარდი და წნელი მოიტანე!

ფილიმონი ძხარზე დოქს შიდადგამს, ახ წაღღუხას წაიღებს, სევ-  
ში წყაროზე ჩარბის, ან ტყეში მიდის და მოაქვს—ხან წყალი, ხან  
ფიჩხი, ხან სოკო, ხან შქერის წნელი. ზოგჯერ წავა და გვიან ბრუნ-  
დება. დედამისი წუხს, მამამისი იასეც დაფიქრდება. ბოლოს  
ფილიმონის ძმას, ლაზარეს გზავნიან. ის ხევის თავზე ღებდა და  
იძახის:

— ფილიმონა, უუუ! ფილიმონა! სად ჯანდაბაში დაიკარგე? უუუ!  
ბოლოს ისიც გადაიკარგება. რამდენიმე ხნის შემდეგ ფილიმო-  
ნის წკრიალა კრიმანქული მოისმის.

— ია-უა! მოდის, ძხარზე წყლით სავსე დოქი უდგას, ტუჩები  
და ნიკაპი გაშავებული აქვს.

— სად დაიკარგე, შე შეჩვენებულო, ა? რას გავხარ, შავი რა  
გაცხია!

ფილიმონი იასეს გაჯავრებას ანგარიშს არ უწევს, იღიმება:

— ხევში რწყავი დამწიფებულა... რწყავს ვკამდი და... ხო და...  
აშავებს...

და გაშავებულ ტუჩებს იდაყვით იწმენდს.

— ტყუილსაც რომ ვერ ახერხებს ეს შეჩვენებული! გაიზრდება,  
შორს ვერ წავა.—თითქოს უკმაყოფილოდ ეუბნება მღვდელი  
იასე იქვე მჯდომ მეზობელს, თვალები კი კმაყოფილებით  
ულიმის.

— ამას წინათ, ქვევით მეზობლისას საჩქარო საქმეზე გავგზავნე-  
სალამოს დაბრუნდა. ბევრი ვაგინე, კინალამ ვცემე, მაგრამ რა მი-  
პასუხა იცი? მეზობლისას ნადი იყო, კარგ ნადურს ამბობდნენ  
და ყური ვერ მოვაშორეო. აბა... რას ვეტყვოდი... ენა ჩამივარდა.  
ძალიან უყვარს სიმღერა... საგალობლებიც იცის, მაგრამ სოფლუ-  
რი სიმღერები ურჩევნია. ხმაც ისეთი აქვს—ცხრა მთას იქით გაა-  
გონებს კაცს.

— კარგი ბიჭია, მისი ქირიმე, ლაზარესაც მირჩევნია და მზეხა-  
საც<sup>1</sup>. იმღეროს რამდენიც უნდა... ღმერთს „წმინდაო ღმერთოც“  
ადიდებს და ჩვენებური „ხელხვაიც“, ორივე ღვთისაა!

---

<sup>1</sup> ფილიმონის და-ძმა.

მართლაც, ფილიმონი, კიდევ ბავშვი, წირვა-ლოცვის დროს, ქორწილში, ნათლობაში, თუ ყანაში თოხნის დროს გაგონილ კი-ლოს მაშინვე ითვისებდა და მისი კრიალა დისკანტი ტყესაც და მინდორსაც აყრუებდა.

ფილიმონი 10-12 წლის იქნებოდა, როდესაც წერა-კითხვის სწავლება დაუწყეს. იმ დროს სამრევლო სკოლები იშვიათი ამბავი იყო. პირველდაწყებითი სწავლა მღვდლის ოჯახში ხდებოდა. მღვდელი წერას და სასულიერო წიგნების—„დავითის“, „ჟამნის“ და „სამოციქულოს“ კითხვას ასწავლიდა თავის შვილებს და ზოგჯერ მეზობლის ან მოყვრის ორ-სამ შვილს აიყვანდა მოწაფეებად. მღვდელი იასე იმ დროისთვის კარგად განათლებული და ნაკითხიც იყო, მაგრამ მოუცლელობის გამო ფილიმონი შიშობდა ერთ თავის მოყვარეს—მღვდელ იაკინთეს, რომელიც ბარში ცხოვრობდა. კარგად შეძლებული იყო და ბავშვების სწავლების უნარი ჰქონდა. იასემ ფილიმონს საწერ დაფად ბექის სუფთად გაწმენდილი ძვალი მისცა, კალმებად—ორი, სუფთად წათლილი ბატის ფრთა და სამელნედ—თიხის პატარა ქრაქი. მელნად წყალში გახსნილ ანწლის მწიფე ყვავილის წვეწვს ხმარობდნენ.

დილაადრიაანად იასეს ცოლი ფილიმონს მქადის ნატეხს ან ახალ-გამომცხვარ კოკორს აბგაში ჩაუდებდა და დაარიგებდა:

— კუთით იყავი, შვილო, მამა-იაკინთეს ყველაფერში გაუგონე, კარგად ისწავლე—კაცი გამოხვალ. გზაში წულა ხელში დაიჭირე, იაკინთეს ეზოსთან რომ მიხვალ, მაშინ ჩაიცივი. ხუთი შაური მი-ვეცი, შვილო!..

ფეხშიშველა ჩაძუნძულდებოდა ფილიმონი ბარში, მქადს გზაშივე შექამდა და მღვდელ იაკინთესთან მაძლარი მივიდოდა. მღვდელმა დი-დი ყურადღება მიაქცია პატარა ფილიმონს, მით უმეტეს, რომ ბავშვ-მა სწავლაში დიდი უნარი გამოიჩინა—ყველა საგანს: კითხვას, წე-რას და ანგარიშს სწრაფად ითვისებდა და ამხანაგებს შორს გაუს-წრო. მეცადინეობის შემდეგ მღვდელი ხშირად საღამომდი დაი-ტოვებდა ფილიმონს და ხან საცივით, ხან ხაქაპურით, მარხვაში კი ფხალით და ლობიოთი გაუმასპინძლდებოდა ხოლმე. ფილიმო-ნი კი, მადლობის ნიშნად, მღვდლის ცოლს ოჯახში დაეხმარებო-და—ფხალს მოუქრეფდა, წყალს ან შეშას მოუზიდავდა: ზოგჯერ მთაში მოკრეფილ სოკოკვერცხს ხილად ჩამოუტანდა.

მაგრამ, იაკინთესთან მიღებული ცოდნა არ აკმაყოფილებდა, მრავალნაირი საკითხი ებადებოდა და ამ საკითხებით თავის მასწავლებელს მოსვენებას არ აძლევდა.

— რას ჩამაცივდი, ბიჭო?—უთხრა ერთხელ იაკინთემ,

— რა გინდა, კაცო, აქ სემინარია ხომ არა მაქვს! სემინარიაში რომ იქნები, იქ გასწავლიან ყველაფერს!

ამის შემდეგ სემინარია ფილიმონის ოცნება გახდა.

დაახლოებით, სწავლების სამი წლის შემდეგ მღვდელი იაკინთე ამოვიდა იასე ქორიძესთან გამოჩინებულში.

— შენი ფილიმონი ძალიან ნიჭიერი გამოდგა. წერაც სუფთად იცის, „სამოციქულოსაც“ კითხულობს, ანგარიშიც კარგად ეხერხება. მაგრამ არც თვითონ ისვენებს, არც მე მასვენებს, ათასნაირ კითხვას მაძლევს—ჩვენს იქით რა ქვეყნებია? რუსეთი სად არის და როგორია? მზე და მთვარე რისგან გაკეთდა? და ასე... ცოდნის და განათლების დიდი წყურვილი აქვს. კარგ გზაზე უნდა დააყენო. სასულიერო სასწავლებელში გაგზავნე. იქ ცოდნას შეიძენს და მერე, ვინ იცის, სემინარიაში მოხვდება. შორს წაე! რას იტყვი, იასე?

— მეც ეს მინდოდა,—მიუგო იასემ:—სასულიეროში უნდა გაეგზავნო, მაგრამ... რითი? შენახვა არ უნდა?

— ნუ გეშინია, ხუცესო, ღმერთი მოწყალეა. ქუთაისში ნათესავი გყავს, ამირან მღვდელი<sup>1</sup>, კეთილი ადამიანია, ხელს შეგიწყობს, წაიყვანე... ჯორს მე გათხოვებ, ცოტა სიმინდი, ღომი, ღობიო, ორიოდე დედალი გაასუქე, ცოტა ორპირის ზუთხიც დააყოლე მოსაკითხად—ამირანს და მის ცოლს პატივისცემა ესიამოვნებათ, ხო და... ასე მოიქეცი. ჯორს ხურჯინი გადაჰკიდე და გზას გაუდქვი. აგრე ჰქენი, იასე! რიონის ბორანზე ჯორი არ დაგიფრთხეს... ჯიშინია...—ხუმრობით დაუმატა იაკინთემ.

— შენ გენაცვალე, შვილო, შენი ქირიმე! უნარი გქონია, ისწავლე. ვინ იცის, განათლებული, დიდი კაცი გახდები, არც კი გვიკადრებ...

და დედას სიხარულის ცრემლები მოადგა.

---

<sup>1</sup> მელიტონ ბალანჩივაძის ბაბუა.



— კარგია ერთი, დედაკაცო... მე შენ გეტყვი, მაშინვე ეპის-  
კოპოზად აკურთხებენ!..

ირონიულად შეაწყვეტინა იასემ.

მართლაც ცხოვრებამ ეპისკოპოსად აკურთხა, მაგრამ სულ სხვა  
დარგში.

როგორც რომანებში წერია ხოლმე, ერთ მშვენიერ დღეს მღვდე-  
ლი იასე, პატარა ფილიმონი, „ჯიშიანი“ ჯორი და საესე ხურჯი-  
ნი ქუთაისისკენ გაემგზავრნენ. ჯორზე იასე იჯდა და ფილიმონს  
უკან ისვამდა, ხოლო სოფლებში და დაბებში გავლის დროს ფი-  
ლიმონი ფეხით მიძუნძულებდა. ამას მაშინდელი წესი მოითხოვდა.

ქუთაისში ფილიმონი, ამირან ბალანჩივაძის დახმარებით სასუ-  
ლიერო სასწავლებელში მიიღეს სასულიერო უწყებისევე ხარჯზე.

და ამითი დაიწყო ფილიმონ ქორიძის მრავალფეროვანი ცხოვ-  
რება.

### ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში

იმ დროში სოფლებიდან ქუთაისში ჩამოსული მოწაფეობა ზოგი  
წათესავეებში და მოყვრებში ეწყობოდა, ზოგი კერძო ოჯახებში.  
სამი-ოთხი მოწაფე ერთ ოთახში თავსდებოდა. თითო მათგანი  
თვეში ორ-სამ მანეთს იხდიდა და ამ ფასად ბინაც და საქმელ-  
სასმელიც ჰქონდა. ამ საფასურის გარდა მოწაფეს ხშირად, განსა-  
კუთრებით რთველის დროს, ფქვილი, ლობიო, ქათამი და ხილი მოჰ-  
ქონდა დიასახლისთან, ასე რომ მასპინძელიც კმაყოფილი იყო და  
მდგმურ-მოწაფეც უზრუნველი.

გაკვეთილებს მოწაფეები ჩვეულებრივად დღისითვე ამზადებდნენ  
სწავლის გათავების შემდეგ. ვინც ამას დაღამებამდე ვერ ასწრებ-  
და, მიუჯდებოდა ქონის კრაქის სინათლეს, ზოგჯერ კი შუა-  
ცეცხლს ან გაჩირაღდებულ ბუხარს. დაძინების წინ ვახშობდნენ;  
ჩვეულებრივად ლობიო, ფხალი ან ყველი და მკაღი ჰქონდათ. ფი-  
ლიმონის ბინაზე ცხოვრობდა ერთი მისი აშხანაგი, რაქველი, შე-  
ძლებული ოჯახის შვილი. მას ხშირად რაქული ლორი (შაშხი), პუ-  
რი და ხმელი ხილი მოსდიოდა. მაშინ მხიარული, უღვინო ქეიფი  
იმართებოდა. პატარა რაქველი დიასახლისს და მთელ მის ოჯახს  
პატიჟებდა, გაისმოდა სიმღერა—„მრავალ-ქამიერ“, „ხელხვაი“

და ამ სინღერის ამტეხი ყოველთვის ფილიმონი იყო. შემდეგ ბუხარს მიუსხდებოდნენ და იწყებოდა უფროსებისაგან გაგონილი ძველი ამბები: ზღაპრები, თქმულებები, ლექსები, შაირები.

ღროგამოშვებით ბინების და მოწაფეების შინაურ ცხოვრებას კლასის დამრიგებლები ათვალეობდნენ. ერთხელ, ერთი მათგანი, ხნიერი კაცი, ქართული ენის მასწავლებელი მოვიდა სწორედ იმ დროს, როდესაც ფილიმონი ამხანაგებს პაპამისისაგან გაგონილ, ქორიძეების და ძველი გამოჩინებულის ამბავს უამბობდა. მასწავლებლის შემოსვლისთანავე ყველა გაჩუმდა. მაშინ მასწავლებელმა თქვა:

— აბა, ფილიმონ, განაგრძე, ნუ გერიდება!

ფილიმონს მორცხვობით ენა ჩაუვარდა. დანარჩენებმაც მასწავლებლის მორიდებით ხმა ვერ ამოიღეს.

— გეტყობათ ჩემი ძალიან გერიდებათ. მაშ კარგი, მე თვითონ ვიამბობთ ერთ ლამაზ ზღაპარს. კარგად მომისმინეთ, შემდეგ შემომეჩვევით და თქვენს ზღაპარსაც მეტყვით.

და დაიწყო:

— იყო არაბეთს როსტევან მეფე...

და ბავშვებს „ვეფხისტყაოსნის“ რამოდენიმე თავი უამბო. სულგანაბული ისმენდნენ ბავშვები. რამოდენიმე ხნის შემდეგ მასწავლებელი გაჩუმდა და წასვლა დააპირა.

— გვიანაა, ბიჭებო. თქვენი ძილის დროა, ხვალ ადრე უნდა ადგეთ და კლასში წახვიდეთ.

— არა, ბატონო! ჯერ ადრეა, კლასში არ დავაგვიანებთ! კიდევ გვიამბეთ... მერე რა მოხდება? ავთანდილს რა მოუვა? ეს ამბავი წიგნში წერია? სად არის არაბეთი?

— არა, ბიჭებო, უნდა წავიდე. მეორედ მოვალ და მაშინ ვიამბობთ, მხოლოდ ერთი პირობით: თუ ამ კვირის განმავლობაში ყველა საგანში კარგი ნიშნები გექნებათ, შაბათს მოვალ და ჩემს „ზღაპარს“ განვაგრძობ. აბა, კკუით იყავით, ბიჭებო!

რამოდენიმე კვირის განმავლობაში ამ მასწავლებელმა ფილიმონის პატარა ჯგუფს „ვეფხისტყაოსნის“ შინაარსი გააცნო და არ ყოფილა შემთხვევა, რომ რომელიმე მათგანი რაიმე საგანში ჩამორჩენილიყო.

ამ ამბავმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ბავშვებზე, შოთას ზოგიერთი ბრძნული თქმა ჩაიწერეს და დაიზეპირეს, მხოლოდ თვითწიგნი, ნაბეჭდი ან ხელთნაწერი, ვერსად იშოვეს! თუ ვინმეს აქონდა, ისე უფრთხილდებოდა, რომ საჩვენებლადაც არ იმეტებდა. თვით მასწავლებელს თავისი ხელით გადაწერილი ეგზემპლარი აქონდა, მაგრამ ბავშვებს არ მისცა.

— ეს ლექსი სირინოზია, თქვენს ფრთებს გაშლის, ზღვება და გაფრინდება, მე კი ობლად დავრჩები. წამოიზრდებით, ნაბეჭდს იშოვით და მაშინ თვითონ წაიკითხავთ, შეისწავლით და დიდი ადამიანის დიდ სიბრძნეს შეითვისებთ.

შემდეგში ფილიმონი კარგად გაეცნო „ვეფხისტყაოსანს“ და როდესაც მე წამოვიზარდე ის კი ხანში შედიოდა, მახსოვს საუბრის დროს ხშირად ხმარობდა შოთას ნაწარმოებიდან ბრძნულ სტრიქონებს.

ასეთ პირობებში სწავლობდა ფილიმონი ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში. მისი მშობლების ნატერა იყო მღვდლად გამხდარიყო და შემოსავლიანი მრევლი ჰყოლოდა, მაგრამ თვითონ ფილიმონი ამაზე არ ფიქრობდა. მას სულ სხვა, ჯერ კიდევ ბუნდოვანი ოცნება აქონდა: დიდი ქალაქი, დიდი საერთო განათლება, უცხო ქვეყნების და ხალხების გაცნობა. სასწავლებელში უფრო საერთო საგნები აინტერესებდა—ისტორია, ლიტერატურა, გეოგრაფია, ხოლო საეკლესიო—კატეხიზმი, წირვა-ლოცვის წესი, ეკლესიის ისტორია—არ უყვარდა. მიუხედავად ამისა, ყველა საგანში წარმატებით სწავლობდა. დამრიგებელს არა ერთხელ უთქვამს მისთვის—მარჯვე ბიჭი ხარ, ბეჯითიც, რასაც მოინდომებ, ასრულებ კიდევ. შორს წახვეალ!

ეკლესიაში სიარულიც არ უყვარდა, სამაგიეროდ საეკლესიო გუნდში მონაწილეობა მეტად ეხალისებოდა. მისი კრიალა სოპრანო (დისკანტი) გალობას ამშვენებდა და, როდესაც ფილიმონი რაიმე მიზეზით აკლდებოდა, გუნდი ობლად რჩებოდა.

ამირან ბალანჩივაძეს ხშირად უთქვამს:

— ტკბილი ხმა გაქვს ფილიმონ, ამ ხმით ადიდებ ღმერთი, შვილო, ისიც ბარაქას მოგცემს“.

გაზაფხულისა და უფრო ზაფხულის არდადეგების დროს ფილიმონი გამოჩინებულში მიდიოდა, მოხუც იასეს ეხმარებოდა ყანაში, თავის საყვარელ ტყეში და შქერში. საღამოობით მშობლებს თავისი სწავლის ამბავს, ქუთაისის ცხოვრებას უამბობდა და ყოველთვის „ვეფხის-ტყაოსნის“ შინაარსს მოჰყვებოდა და ხაზს უსვამდა მრავალფეროვან ზღაპრულ თავგადასავალს: ომს, მიჯნურთა თავდადებულ გმირობას, მეგობრობას. იასე შოთაჲს ნაწარმოებს იცნობდა და ერთხელ უთხრა:

— შეილო, „ვეფხის-ტყაოსანი“ დიდებული წიგნია, ბრძენი ადამიანის შეთხზული. ის შეითვისე, შიგ დიდი სიბრძნეა ჩაქსოვილი, კეუის სასწავლებელი აზრებია, მაგრამ ეკლესიას ნუ დაივიწყებ.

შემდეგ დაფიქრდა და დაუმატა:

— თუმცა, შეილო, ყველაფერი ღეთის ნებაა. პატარა აღარა ხარ, რასაც ღმერთი შთაგაგონებს, ისე მოიქეცი. ხელს არ შეგიშლი.

ახლა, უკვე ასაკში შესულ ფილიმონს, ოჯახი საპასუხისმგებლო საქმეებს ავალებდა, სახელდობრ—ფოთში წასვლა და ფართელულობის ყიდვა. იქ ეს საქონელი მეტიც იყო და უფრო იაფიც, ვიდრე ქუთაისში და ორპირში. იმ დროს რკინიგზა საქართველოში ჯერ გამოყვანილი არ იყო, ასე რომ ფოთში წასვლა და იქიდან წამოსვლა რიონით ხდებოდა სოფელ ორპირიდან. ორპირი ზუთხის ქვეყანა იყო, სოფელი ამითი ვაჭრობდა და ამიტომ იქ რიონის ზედაპირი ანკესების და ბადეების დამჭერ ტიეტვიებით სავსე იყო. იქვე ნავთმისადგომი იყო, სადაც ბრტყელძირა ნავები და პაწაწინა ორთქლმავალი, ბორბლებიანი გემი „ბაბუშკა“ იდგა. ნავებს სხვადასხვა საქონელი მიჰქონდა ფოთისკენ, ხოლო „ბაბუშკას“ მგზავრებიც გადაჰყავდა.

ფილიმონს ფართალი ისე არ აინტერესებდა, როგორც გემით მოგზაურობა, ახალი ქალაქის და ახალი ხალხის გაცნობა. ეგონა, რომ ზღვის დიდ გემებს ნახავდა და ამ გემების შესაფერ, არაჩვეულებრივ ხალხსაც. ამ მოგზაურობამ ახალი არაფერი შესძინა, სამაგიეროდ დიდი ნატვრა ჩაუნერგა: ნეტავი დიდ გემზე დამსვა და შორეულ ქვეყნებში მამგზავრაო.

ეს ნატვრა მხოლოდ დიდი ხნის შემდეგ შეუსრულდა.

თბილისის სემინარია. სემინარიის დამთავრების  
შედეგი წლება

ქუთაისის სასულიერო სასწავლებელი ფილიმონმა დიდი წარმატებით დაასრულა და ამ გარემოებამ ხელი შეუწყო თბილისის სემინარიაში ადვილად შესულიყო, რადგანაც იქ მოწაფეებს დიდი შერჩევით იღებდნენ. ფილიმონის შესახებ პედაგოგიურმა საბჭომ და გამგემ სემინარიას ძალიან კარგი რეკომენდაცია გაუგზავნეს. და ფილიმონიც დიდი მღელვარებით და მოუთმენლობით თბილისში წასვლას ელოდებოდა, მაგრამ ტანთ-ფეხის, ქვეშააგების, საგზაო და თბილისში ცხოვრების სურსათისა და სხვა რისამე მომზადებას დიდი ხანი სჭირდებოდა.

იმ დროს ქუთაისიდან თბილისში მგზავრობა უბრალო ხალხს ფეხით, ცხენით ან ურმით უხდებოდა, სახელმწიფო მოხელეები კი სახაზინო ეტლებით მგზავრობდნენ. ფილიმონი უბრალო ხალხს ეკუთვნოდა, ასე რომ ურმით იმგზავრა. უშიშროებისათვის რამდენიმე მგზავრი ერთდებოდა და ქარაევანს ადგენდა. ასეთ ქარაევანს თბილისამდე ჩვეულებრივად ერთი კვირა სჭირდებოდა. ფილიმონი ერთ ვაქარს მოურიგდა, რომელსაც ქუთაისიდან თბილისში საქონელი მიჰქონდა და ურმით მიემგზავრებოდა. ადვილად გაიარეს შორაპანი, ზემომიერეთის მთები, სურამის ქედი, სურამი და ქართლის ვაკე. მცხეთიდან დილით გავიდნენ და როდესაც თბილისს მიუახლოვდნენ, დაღამდა. ღამე მგზავრებს თბილისში არ უშვებდნენ და ფილიმონი თბილისში მხოლოდ მეორე დღეს მოხვდა.

ქუთაისიდან წამოღებული წერილების დახმარებით დროებით ერთი პატარა მოხელის ოჯახში მოეწყო და სწავლის დაწყებამდე თბილისს ეცნობოდა. ქუთაისის მშვიდ და წყნარ ცხოვრებასთან შედარებით, კულტურის მაშინდელი ცენტრი—თბილისი ახალგაზრდა პროვინციელს არაჩვეულებრივ სანახაობად მოეჩვენა. ქუჩებში მედიდური ნაბიჯით მოსეირნე, რუსულ-ევროპულ ტანთსაცმელში და თავზე ცილინდრებით გამოწყობილი რუსობა, ბრწყინვალედ ჩაცმული მხედრობა, მანდილოსნები ევროპულ სასაცილო „ხაბარდებში“, შემდეგ—აღმოსავლური ბაზარი, სადაც სომეხი და სპარსელი ვაჭრები, აქლემების ქარავნები, წყლის მზიდავი „თულუხები“ ერთი მეორეში ირეოდნენ—ყოველივე ეს ისეთ კრელს,

ზედმეტად ხმაურიან, მყვირალა სურათს წარმოადგენდა, რომ მისი ერთბაშად მონელება და შეთვისება ფილიმონის გონებას ძალიან გაუჭირდა.

— პირველ ხანებში—მიამბობდა ფილიმონი—ავირიე, დავიღალე, თავი რაღაც ჯოჯოხეთში მეგონა. ერთ დროს გაქცევა და ჩემი გამოჩინებულის წიფლებში და შქერის ბუჩქნარში მიმალვა მინდოდა.

მაგრამ მალე სემინარიაში მეცადინეობა დაიწყო. ახალი სასწავლო საგნები, ცხოვრების ახალი გარემო და პირობები, ყოველივე ამან ფილიმონი ძალიან მალე ცხოვრების ახალ კალაპოტში ჩააყენა.

სწავლება რუსულ ენაზე იყო. ქუთაისის სასულიერო სასწავლებელი რუსული ენის კარგად ცოდნას თავის მოწაფეებს ვერ შესძენდა და ამიტომ ფილიმონს პირველ კურსზე მეცადინეობა ძალიან გაუჭირდა, მაგრამ ენების შეთვისების დიდი უნარი ჰქონდა, ასე რომ ეს დაბრკოლება ადვილად გადალახა.

რამდენადაც მისი ნამბობიდან მახსოვს, ფილიმონი, როგორც წარჩინებული მოწაფე, სემინარიაში სახელმწიფო (სასულიერო უწყების) ხარჯზე მიიღეს და სწავლის მთელი ხნის განმავლობაში სემინარიასთან არსებულ ინტერნატში იზრდებოდა.

თუ სემინარიის რეჟიმი საერთოდ მძიმე და სასტიკი იყო, ინტერნატში ცხოვრების პირობები მით უფრო მწვავე გამოდგა. რუსული ეკლესია და მისი სასწავლებლები სასტიკ რუსიფიკაციას ატარებდნენ ისევე, როგორც სხვა, საქართველოში შემოტანილი დაწესებულებები—სასამართლო, განათლების განყოფილებები და სხვა. ქართული წიგნების კითხვა, ლაპარაკი კი აკრძალული იყო. მიუხედავად ამისა, ქართველი მოწაფეები ქართული ლიტერატურის გასაცნობად და ენის შესანახად არაღეგალურ წრეებს და ჯგუფებს ადგენდნენ. ამ წრეებში მეცადინეობა, რა თქმა უნდა, მალულად ხდებოდა და მეთვალყურე მზვერაგ-ჯაშუშები, უმეტეს შემთხვევებში ბერები, სრიალა ნაბიჯით დაძვრებოდნენ კლასებში, საწოლ ოთახებში, სარდაფებშიც კი და გაფაციცებით ეძებდნენ ქართულ წიგნებს (სწორედ მას შემდეგ შეჯავრდა ფილიმონს ბერები—მუქთახორა და მავნე ხალხი, ამბობდა). ყოველ წრეს თავისი კონტრ-მზვერაგი ჰყავდა, რომელსაც წრის მშვიდი მეცადინეობა უნდა უზრუნ-

ველეყო. ერთხელ კონტრმზვერაობა ფილიმონსაც შეხვდა, მაგრამ იმდენად ლელავდა, რომ მისი მეორედ დანიშვნა ამხანაგებმა აღარ მოინდომეს.

შაბათ-კვირას და განსაკუთრებით სააღდგომო და საშობაო არდადეგების დროს, მოწაფეებს სემინარიიდან არ უშვებდნენ არც ნათესავებში, არც ნაცნობებში და არც საერთოდ ქალაქში გასასეირნებლად და თუ უშვებდნენ, განსაკუთრებულ შემთხვევებში, ისიც რექტორის პირადი ნებართვით.

— აქ წირვა-ლოცვა არ მოგაკლდებათ, ეკლესიაში თქვენი სული განიწმინდება, გარეთ კი, ქალაქში ყოველმხრივ ცდუნება დაგძლევათ და ქრისტეს მოძღვრებას შელახავთ—ტკბილად უქადაგებდა რექტორი:—თქვენ, ქართველები, ამ ზღუდეთა შორის რუსულ კეთილხმოვან ენას შეისწავლით და თქვენს არაკეთილხმოვან ენას დაივიწყებთ. ესეც ლეთის სასიამოვნო საქმე იქნება.

და ჰაბუკი მოწაფეები სემინარიიდან დათხოვნის შიშით ამ სასტიკ წესს ძალაუვნებურად ემორჩილებოდნენ.

— ჩემთვის, ბუნების წიაღში აღზრდილ ადამიანისთვის, ეს რეჟიმი ძალიან სამძიმო იყო—მიაშობოდა ფილიმონი, — და ნუგეშად მხოლოდ სწავლების ზოგიერთი საგანი მქონდა: ისტორია, ენები, აკრძალული ქართული ლიტერატურა და განსაკუთრებით სემინარიის საეკლესიო გუნდში მონაწილეობა.

მართლაც, ფილიმონს ბავშვობიდანვე კარგი მუსიკალური ყურთასმენა და მეხსიერება აღმოაჩნდა. სანამ ბავშვი იყო, სოპრანო (დისკანტი) ჰქონდა და ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის საეკლესიო გუნდის სასურველი წევრი იყო. სემინარიაში შესვლის დროს მისი ხმა ბანზე გადადიოდა. პატარა ხნის შემდეგ მისი ბანი გაძლიერდა და თანდათან დიდი დიაპაზონის და არაჩვეულებრივი სიძლიერის დვინად გადაიქცა. სემინარიის მთავრობამ მისი ხმა და მუსიკალური უნარი დააფასა და მაშინვე საეკლესიო გუნდში შეიყვანა. გარდა იმისა, რომ ფილიმონს საერთოდ სიმღერა-გალობა უყვარდა, მას რუსული გალობის წყობა, ელფერი და სიდიინჯე მოეწონა, მით უმეტეს, რომ რუსულ გალობას ხშირად დიდი კომპოზიტორების ხელი ეტყობოდა. ამიტომ ის სიამოვნებით მონაწილეობდა სემინარიის გუნდში. მაგრამ, როდესაც მოწაფეები მოხერხებულ შემთხვევებში მალულად ქართულ სიმღერებს დაიწ-

ყებდნენ, ფილიმონი ბანს აძლევდა და თან ფიქრობდა ხოლმე—  
განა ჩვენი სიმღერა-გალობა ნაკლებიაო? და როდესაც მოწაფე,  
-მზვერავი სადღაც მოშორებულ კუთხეში მიმალულ მომღერლებს  
ნიშანს აძლევდა—ბერი-ჯაშუში მოსრიალეებსო—ფილიმონი ქარ-  
თული სიმღერის ბოლო ნოტს (ხმას) თავისი ძლიერი ბანით თით-  
ქო ფარდასავით გადაათარებდა და იმავე ნოტიდან მომღერლებს-  
რუსულ „უფალო შეგვიწყალოს“ კილოზე გადაიყვანდა. გაჩნდებოდა-  
ბერი, მოწაფეებს შეეკითხებოდა:

— რას ჰგალობთ, შვილებო?

— „ლოსპოდი პომილუსი“ ვსწავლობთ, მამაო. ხვალ წირვაა და  
გვეშინია, არ შეგვეშალოს.

— მე კი შორიდან ძალიან ყალბი ხმები მომესმა.

— „ლოსპოდი პომილუსი“ ბოლო გვეშლება და ვასწორებთ,  
მამაო...

ბერი უნდობლად შეჩერდებოდა, ბოლოს მოწაფეებს ჯვარს გადა-  
სახავდა და იტყოდა:

— И не введи нас во искушение...

ბოლოს რალა დარჩებოდა, მოწაფეებს დალოცავდა და ისეთივე  
სრიალა ნაბიჯით მიიშალებოდა.

— ვინ ამბობს, რომ რუსული გალობა ცუდია?—სიტყვა ერთხელ  
ერთმა მოწაფემ.

— სწორედ ეს რუსული გალობა გადაგვარჩენს ხოლმე, თორემ  
ქართული სიმღერა შავ დღეს დაგვაყენებდა.

სემინარიაში სწავლის წლებმაც მალე გაიარა. ფილიმონმა წარ-  
მატებით დაამთავრა სასწავლებელი და მის წინაშე მომავალი ცხოვ-  
რების გზა ფართოდ გაიშალა. მაგრამ ჯერ კიდევ არ იცოდა, რა-  
მიმართულება აერჩია. მშობლების ნატერა იყო სასულიერო გზაზე-  
დამდგარიყო და შემოსავლიანი მრევლი მიეღო. სემინარიის-  
მთავრობაც საეკლესიო ასპარეზს ურჩევდა და წინასწარმეტყველებ-  
და, რომ ფილიმონი, შესანიშნავი ხმის პატრონი, საკათედრო ტაძ-  
რის მთავარდიაკვნად გახდება—მეფის ნაცვალის და ეგზარქოსიც.  
მოიწონებენ და, კეთილ ცხოვრებასთან ერთად, პატივისცემაც ექნება.  
მაგრამ ფილიმონს სასულიერო ასპარეზი არ იზიდავდა, მისი აზრით,  
მისი სასულიერო ცხოვრება შეზღუდული იქნება და ეკლესია მისთვის  
საპატიობილად გახდება. ერს, ხალხს წირვა-ლოცვით უნდა ვემსახუ-



რო?—ეკითხებოდა ის ოაგის თავს—ეს ძალიან ცოტაა! მაშ რითი ვეშახტურო? პასუხი არ ჰქონდა. მომავლისათვის კონკრეტულ გზას ვერ ხედავდა, რადგანაც სემინარიამ მოღვაწეობის მხოლოდ ერთი ბილიკი აჩვენა: საეკლესიო ასპარეზი. სხვა გზა—მეცნიერება, ლიტერატურა, ხელოვნება, საზოგადოებრივი მოღვაწეობა—მას, სულიერად ვიწრო სალტეში აღზრდილ სემინარიელს, კონკრეტულად არ ესახებოდა. არც ვინაშე, რაიმე იდეით გატაცებული ამხანაგი ჰყავდა. მის ამხანაგებს, კურსდამთავრებულ ხალხს, ერთი სურვილი ჰქონდა—მდიდარი მრეელი, მზითვიანი ცოლი. ფილიმონმა კარგად იცოდა, რას წარმოადგენს სასულიერო ასპარეზი: მარჯვე მღვდელი ჯვართ და საცეცხლურით ხელში ხალხს ატყუებს, კუქს იძღობს, ქვეყანას ამრავლებს. ამ გზას უარჰყოფდა: დავიციდი, მოვიფიქრებ, არ მერქარებო—ფიქრობდა.

პირველ ხანში,—მატერიალური ხელმოკლეობა, სემინარიის დამთავრებისთანავე აიძულებდა რაიმე სამსახური-სამუშაო მოეძებნა, „დროებით“—ამბობდა ფილიმონი. შემთხვევამ გაუღიმა: პატარა მოხელის ადგილი მისცეს სინოდალურ კანტორაში და შესანიშნავი ხმის და მუსიკალური ყურთასმენის წყალობით ეგზარქოსის გუნდის მომღერალი და ლოტბარის თანაშემწე გახდა.

ანაფორა მაინც ამცდოა.

ახლა მისი ყოველდღიური მატერიალური ყოფა უზრუნველი შეიქნა, კანტორაში სამსახური ადვილი და მარტივი იყო. რამდენიმე ხნის შემდეგ მაგიდის უფროსად დანიშნეს. გუნდთან მუშაობა ეადვილებოდა და სიამოვნებდა. ასე რომ მისი ცხოვრება ისეთ კალაპოტში დგებოდა, სადაც მწვავე სურვილებს, აღმაფრენას, იდეურ მისწრაფებებს ადგილი არ აქვს ხოლმე, სადაც კეთილი ცხოვრება ადამიანზე ნანასავეით მოქმედობს.

— ზოგჯერ მეჩვენებოდა, რომ ტკბილ ქაობში ვარ და ხავსით ვიმოსები—მწარედ მიაამბობდა ფილიმონი,—ზოგჯერ კი, როდესაც რომელიმე ახალ ლიტერატურულ ნაწარმოებს, ლექსს თუ პროზას წაგიკითხავდი ან ახალ პიესას ენახავდი თეატრში, ვაწუგოდი, ავლელდებოდი—ლექსებს ვიზეპირებდი, მოთხრობის წერას ვაპირებდი, ვლელავდი, ძილი მეკარგებოდა, ხან ჰიდაოხა მინდოდა, ხან ცეკვა, მაგრამ მეორე დღეს სამსახურის ქალაქებში ჩავეფლდებოდი, შინ დაბრუნებისას გახურებულ ბუხარს მივუყვებო

დი და „ტკბილი ჭაობი“ თავს ამოყოფდა და საამურად მებაღერ-  
სებოდა.

ფილიმონს ერთი ამხანაგი ჰყავდა, რომელმაც სწავლა მასთან  
ერთად გაათავა და მაშინვე მღვდლად ეკურთხა. ორი-სამი წლის  
შემდეგ ჩამოვიდა თბილისში და ფილიმონი სწორედ იმ დროს  
ინახულა, როდესაც ის მორიგ რყევას და აღელვებას განიცდიდა.  
ფილიმონმა საუბრის დროს გული გადაუშალა და უთხრა:

— აი, ხომ ხედავ, რა სულიერ მდგომარეობაში ვარ!

მღვდელმა გაკვირვებით შემოხედა და უპასუხა:

— შენ, ჩემო ძმაო, გიყი ყოფილხარ, ან ავადმყოფი! სამსახური  
ადვილი გაქვს, ჰამა-სმაც! რას ეპოტინები, რას ეძებ, შენ თითონ  
არ იცი. რა „მერანზე“ ლაპარაკობ? ვხედავ, მაცდური შეგიჩნდა  
და ფრთხილად იყავი, თორემ რაც გაქვს იმასაც დაჰკარგავ! აბა,  
შემომხედე—აბრეშუმის ანაფორა, ახალი ლავჩინები მაცვია,  
ეზო-კარი მაქვს, შიგ გოჭები და ინდაურებია, ცოლი მყავს—გვერ-  
დებს მითბობს—შვილიც მეყოლა. კმაყოფილი ვარ! შენ კი ღმერთს  
ნუ სცოდავ, რაც შენთვის ღმერთს მოუცია, კარგად მოუარე-  
იცი რას გირჩევ? ცოლი შეირთე; ოჯახი გაიჩინე, შეიღებო... ხე-  
ლად დამშვიდდები... კარგი ცხოვრება გექნება, ტკბილი...

— ჭაობი!...—გააწყვეტინა ფილიმონმა,

— ჭაობი რა შუაშია?—გაიკვირა მღვდელმა.

— არაფერი, ისე ვთქვი...

პატარა ხნის შემდეგ სტუმარი წავიდა, ფილიმონი კი თავის  
არეულ ფიქრებს დაუბრუნდა.

ღრო გადიოდა. ფილიმონი თანდათან მშვიდდებოდა. თავის  
ერთფეროვან ცხოვრებას თითქმის შეურიგდა, მაგრამ შემთხვევამ  
სრულებით შეცვალა მისი მდგომარეობა და ამოაგდო იმ ყოფიდან,  
რომელსაც თითონ „ტკბილ ჭაობს“ უწოდებდა.

## იბალიური ოკეა თბილისში, იბალიაში წახვლის განზრახვა და წახვლა

1851 წელს თბილისში, ყოფილ ერეკნის მოედანზე (ახლანდელი  
ბერიას სახ. მოედანი) მეფის ნაცვლის ვორონცოვის დახმარე-

პით დიდი თეატრი აშენდა. ეს, რა თქმა უნდა, იყო რუსეთის მთავრობის მიერ განზრახული კავკასიის მოსახლეობის, ქართველებისა და სომხების რუსიფიკაციის გეგმის ერთ-ერთი ღონისძიება „ტუზუნმცების“ თითქოს კულტურული ღონის ასამალღებლად. თეატრის აშენების ხარჯი მდიდარმა კომერსანტმა გ. თამაშაშვილმა იკისრა, მით უმეტეს, რომ ამ შენობაში უნდა მოთავსებულიყო მრავალი მაღაზია, რაც ამშენებელს დიდ შემოსავალს მისცემდა. არქიტექტორად მოწვეული იყო იტალიელი სკუდიერი. ამ საქმეზე დიდი თანხა დაიხარჯა: მარტო მთავარი დარბაზის კალიშეკვეთილი იყო პარიზში და 10.000 ფრანკი დაჯდა. მდიდრულად მორთული დარბაზი 800 კაცს იტევდა. ადგილების ფასები დიდი იყო: ლოქები—40-50 მან. პარტერი—10-15 მან. ქანდარაკი—50 კაპ.

მოწვეულ იქნა იტალიური ოპერა და დაარსდა რუსული და ქართული დრამა. მთავარი ყურადღება ოპერას ექცეოდა. დრამას კი შიორე ადგილი ჰქონდა დათმობილი. ეს ის დრო იყო, როდესაც იტალიური ოპერა, პეტერბურგიდან დაწყებული, ყველგან მეფობდა, ხოლო რუსული ოპერა, რუსეთის კომპოზიტორების „ძაღოვანი ჯგუფის“ მეთაურობით, პირველ ნაბიჯებს დგამდა.

თბილისის ოპერის რეპერტუარში იყო იტალიელი კომპოზიტორების—ბელლინის, როსსინის, დონიცეტის და სხვათა ოპერები: „ნორმა“, „პურიტანები“, „ერნანი“, „ლუჩია“ და მრავალი სხვა. ღირიყორად, პირველ წლებში იყო ვინმე ბარბიერი. მომღერლები—ლამაზი ხმების და საუკეთესო სასიმღერო სკოლის მქონე ხალხი, ოპერები—ლამაზი, საამო მელოდიებით სავსე; ხოლო ორკესტრის პარტია—უბრალო, სადა, პრიმიტიულიც კი იყო.

თბილისის მოსახლეობა—რუსეთიდან ჩამოსული რუსი მოხლეჩები და მკვიდრნი—ქართველები და სომხები ხარბად დაეწაფნენ იტალიურ ოპერას. მათთვის, განსაკუთრებით ქართველებისა და სომხებისათვის, ოპერა ახალი და ძალიან სასიამოვნო ხილი იყო. ოპერამ არამც თუ მაღალი წრეები, არამედ საშუალო და დაბალი წრეებიც მიიზიდა. თეატრი ყოველთვის სავსე იყო. დამსწრე საზოგადოება დიდის აღტაცებით და აღფრთოვანებით ეგებებოდა მომღერლებს, ყოველ მელოდიას—სოლოს, დუეტს თუ ტრიოს—მქუხარე ტაშით აჯილდოვებდა. ადგილობრივმა მსმენელმა იტალიურ ეუსიკას მაშინვე გემო გაუგო და ადვილად შეითვისა.

ოპერის შთაბეჭდილება და გავლენა იმდენად დიდი იყო, რომ თბილისის ქუჩებში და ბაზარში არიების ღიღინა. იტალიურ სიტყვებს და თქმებს ხშირად გაიგონებდით. ბევრი ამ უცხო ენის შესწავლას ცდილობდა. მოსახლეობა პირადად ეცნობოდა იტალიელებს, შინაურულად ჰპატივებდნენ და უპასპინძლებოდნენ. ერთი სიტყვით, ეს ხალხი დიდ „მოდაში“ იყო.

იტალიური ოპერით გატაცება მაშინდელ პრესაშიაც აღნიშნულია. ცნობილი რუსი მწერალი გრაფი სოლოგუები („ტარანტასის“ ავტორი) წერს<sup>1</sup>:

„რუსული საოდევილო რეპერტუარი „ტუხეპეცებზე“ ნაკლებ შთაბეჭდილებას ახდენს. მათი სალი გემოვნება ჩვენი თეატრალური წარმოდგენების სიყალბეს არ ითვისებს“...

„წელს თბილისში ჩამოსულმა იტალიურმა დასმა, პირიქით, ამ მოულოდნელი და შესანიშნავი გამოძახილი ჰპოვა. ადგილობრივ საზოგადოებაში მან არა სიახლის სიყვარული აღმოაჩინა, როგორც ბევრს ეგონა, არამედ იშვიათი ალლო და სიმშვენიერის ინსტიქტიური გაგება და ნიჭი“...

„უტყუარი გრძნობის არცერთი წრფელი გამოხატვა მფეთქავი გამხნეების გარეშე არ რჩებოდა“...

„მომღერლები, დამსწრე საზოგადოების გამხნეების წყალობით, შესრულების უმაღლეს დონემდე აღიოდნენ, ხოლო თვით მსმენელი მომღერლებისაგან, თუმცა ანგარიშმიუცემლად, ხელოვნების ჭეშმარიტ გაგებას ითვისებდა“.

ასე ახასიათებდა სოლოგუები იმ გავლენას, რომელსაც იტალიური ოპერა თავიდანვე ახდენდა თბილისის მოსახლეობაზე.

იტალიური დასი თბილისში კარგა ხანს მუშაობდა, დაახლოებით დაარსებიდან 1870 წლამდე. მომღერლები, დირიჟორები იცვლებოდნენ, ხოლო თვით ოპერა, როგორც ასეთი, განაგრძობდა თავის მხატვრულ გავლენას.

მაგრამ დაარსებიდან რამდენიმე წლის შემდეგ მთავრობამ ოპერას თავისი ყურადღება და ნივთიერი დახმარება (დოტაცია) მომჭირნეობის მოსახრებით შეუპოვებია. მაშინდელი პრესიდან (1867-68-ის „კავკაზი“) ჩანს, რომ იმ წლებში იტალიური ოპერის

<sup>1</sup> კავკასიის არქეოლოგიური კომისიის აქტების XI ტომი — თეატრალურ მუზეუმში ინახება.

პექტაკლები კვირაში მხოლოდ სამჯერ იმართებოდა. დანარჩენი დღეები რუსულ დრამას ჰქონდა დათმობილი. მუსიკალური რეცენზიები იმ წლებში იშვიათად იწერებოდა. მაშინ პეტერბურგში მტკიცდებოდა რუსული ეროვნული მუსიკა და ამ მოვლენის ანარეკლი ალბათ თბილისშიაც ჩანდა. ასე იყო თუ ისე, ჩვენში იტალიური მუსიკით გატაცება თითქო გაგრილდა, მაგრამ ოპერას თავისი მოსიყვარულე და ერთგული მრევლი კიდევ საკმაოდ ჰყავდა, ასე რომ თეატრის დარბაზი ყოველთვის სავსე იყო.

ფილიმონი კურსის დამთავრების შემდეგ თეატრში ხშირად დადიოდა (უფრო ოპერაში, რადგანაც ქართული დრამის წარმოდგენები იშვიათად იმართებოდა). ლანაზი მუსიკით სიამოვნებდა, მომღერლებს ალტაცებით ტაშს უკრავდა, საუკეთესო არიებს იხსომებდა, იხეპირებდა, ამხანაგებს უმღეროდა, მაგრამ რატომღაც მას, მუსიკალური დიდი უნარის და მშვენიერი ხმის პატრონს, თავის დღეში აზრად არ მოსვლია არტისტ-მომღერალი გამხდარიყო.

ერთხელ ერთმა სტუმართმოყვარე, დარბაისელმა ქართველმა, ფილიმონის ახლო ნაცნობმა, სამი იტალიელი ვახშმად დაჰპატიჟა და ფილიმონსაც უთხრა:

— ხვალ საღამოს მობრძანდი, ორიოდ იტალიელი სტუმრად შეყოლება და ქართული სიმღერებით უნდა გავუმასპინძლდე, აბა, შენ იცი! ჩვენი სიმღერები სხვებზე ნაკლები არ არის და არ უნდა შევრცხვეთ!

სტუმრებს მასპინძელმა უხვი და ნამდვილი ქართული სუფრა ვაუშალა. დიასახლისი იმკრელი იყო და ამიტომ ქართლ-კახური სუკის მწვადებთან ერთად, სუფრას საცივი, ღომი, კიკაკეი ლობიო და პიტნიანი გადაზელები ამშვენებდა. მხიარული საუბრის დროს აღმოჩნდა, რომ ქართული საქმელების მსგავსი იტალიაშიაც ყოფილა შემოღებული, რომ ლობიოს „ფაჯირლი“ ეწოდება, ღომს — „პოღენტა“, პიტნიან გადაზელებს — „გორგონძოლა“, ხოლო კახურ ღვინოს — „ვინრ როსსო“. ამ გარემოებამ სტუმრები მხიარულ გუნებაზე დააყენა. იტალიელებმა რამდენიმე ქართული და რუსული სიტყვა, ხოლო ქართველებმა — რუსული ლაპარაკი და რამდენიმე იტალიური სიტყვა იცოდნენ. ამნაირად საერთაშორისო ლექსიკონი გაჩნდა და ორივე მხარე კმაყოფილი დარჩა.

ერთი იტალიელთაგანი, მგონი პიანისტი, ყველს და ლომს გემრიელად შეექცეოდა, ამხანაგს მიუბრუნდა და უთხრა:

Mi père, che noi siamo a l'Italia. Ecco ra qolenta, ecco la gorgonzola! (მე მგონია, რომ ჩვენ იტალიაში ვართ: აგერ ლომი, აგერ პიტნიანი ყველი).

მასპინძელს ეს სიტყვები გადაუთარგმნეს და მან ფილიმონს მიმართა:

— რაო, იტალიაში ვართო? ახლავე საქართველოში უნდა დავაბრუნოთ! აბა, მრავალ-ჯამიერ! თუმცა ვინ იცის, ჩვენი „მრავალ-ჯამიერიც“, ლომის არ იყოს, იტალიური აღმოჩნდეს.

სუფრაზე კარგი მომღერლები ისხდნენ. დაიწყეს. ფილიმონმა ბანი მისცა, დაიკვუუნა. რაც უფრო მალა ადიოდა სიმღერა, მით უფრო ძლიერად მიჰყვებოდა ბანი. იტალიელები დიდი ყურადღებით ისმენდნენ. ეტყობოდათ, რომ ქართული სიმღერის წყობაც, ჰარმონიზაციაც, საერთო კოლორიტიც უფრო უკვირდათ, ვიდრე მოსწონდათ. ევროპიელის ყურს, რომანსებს და საოპერო არიებს დაჩვეულს, ქართული სიმღერის ხასიათი, ცოტა არ იყოს, ეხამუშებოდა. შემდეგ ძველი ქართული რომანსები შეასრულეს. იქაც ფილიმონის ბანი სხვა ხმებისაგან ლამაზად და ძლიერად განიჩიოდა და სტუმრები ფილიმონს ერთსულოვანი და მქუხარე ტაშით აჯილდოებდნენ.

— Che bella voce! (რა ლამაზი ხმაა!)—თქვა დირიჟორმა—ნამდვილი არტისტი ყოფილხართ! საოპერო ხმა გაქვთ! ასეთი ხმით ქვეყანას დაიმონებთ!

ფილიმონს ეს შექება ესიამოვნა, სტუმრის თავაზიანმა ქათინაურმა მამის ნათქვამი მოაგონა.—„ჩვენში ადამიანის ლაპარაკი და სიტყვა ჯერ წმინდა საცერში უნდა გაატარო და მერე დაიჯგრო“—რას არ იტყვის სუფრაზე შეზარხოშებული კაციო.—ჩემი ხმა და სიმღერა ეკლესიაში და სუფრაზეა გამოსადეგი, ოპერაში კი სულ სხვა არის საქირო. იქ სულ სხვანაირი ხმა და სიმღერაა, იქ არტისტებია, თავმდაბლურად უპასუხებდა ფილიმონი.

მაგრამ სიმღერის ოსტატი იტალიელები ფილიმონის ხმით მართლაც დაინტერესდნენ და ორიოდე დღის შემდეგ მის მოსასმენად წირვაზე წავიდნენ და რამდენიმე ამხანაგიც თან წაიყვანეს. ინდღეს ერთ-ერთ საგალობელში ფილიმონს წამყვანი როლი ჰქონდა

—სოლო. მისი ხმა არაჩვეულებრივად ბგერდა და გუგუნებდა. ეკლესიის თაღები და გუმბათიც თავის რეზონანსით შთაბეჭდილებას აძლიერებდა. წირვის შემდეგ იტალიელი დირიჟორი მივიდა ფილიმონთან, ხელი მაგრად ჩამოართვა და უთხრა:

— თქვენთან საუბარი მინდა, მხოლოდ აქ ამის ადგილი არ არის. წამობრძანდით ჩვენთან, თეატრში, მინდა მოგელაპარაკოთ.

მაშინვე დავთანხმდით, თუმცა არ მესმოდა, რა საქმე ჰქონდა ჩემთან. თან ვღელავდიო—მიამბობდა ფილიმონი. იქ რამოდენიმე მომღერალი ქალი და კაცი გააცნეს და დირიჟორმა, რომელიც თბილისში რამდენიმე სეზონი ცხოვრობდა და დამახინჯებული რუსული ლაპარაკი და რამდენიმე ქართული სიტყვა იცოდა, ფილიმონს უთხრა:

ჩვეულებად არა მაქვს სხვის საქმეში ჩარევა, არ ვიცი: ცხოვრებაში რა მიზნები გაქვთ, მაგრამ ის ვიცი, რომ თქვენს თავს ვერ აფასებთ. მე მუსიკის ხელოვანი ვარ, მთელი ჩემი სიცოცხლე საოპერო საქმეს შეეწირე და არ შემიძლია თვალები არ ავიხილოთ: თქვენი ხმა დიდი, არაჩვეულებრივი განძია. ამ განძით გამოჩენილი საოპერო მომღერალი გახდებით და მთელ ქვეყანას დაიმონებთ. ისწავლეთ სიმღერა!

შემდეგ მან ფილიმონს გაუსინჯა სუნთქვა, სმენა, მუსიკალური მეხსიერება, ხმის დიაპაზონი და სხვა. გამეზი აძლერა, მარტივი უცნობი მელოდია დაუკრა და გაამეორებინა, ნოტების კითხვის უნარი გაუსინჯა.

— თქვენ ხმას შალაშინი ჰქირდება: დღეს თქვენ. თქვენი ხმის მონა ხართ, უნდა კი მისი ბატონი გახდეთ. მკერდში სამჭედლოს საბერველი გაქვთ, ამ საბერველის მოხმარება კი არ იცით. უძლიერესი fortissimo'ც გაქვთ მეტად ნაზი piano'ც, მაგრამ ერთიც და მეორეც თავის დროზე და თავის ადგილას უნდა გამოიყენოთ. ერთი სიტყვით, სერიოზულად გირჩევთ, საოპერო სიმღერა ისწავლოთ. აქ, თქვენში შესაფერი მასწავლებელი არ მეგულება. წადით იქ, სადაც საუკეთესო მუსიკის და სიმღერის ცნობილი ოსტატებია, წადით იტალიაში! იქ თქვენი ხმის პატრონს, საუკეთესო პროფესორები უფასოდ გასწავლიან. მაშინ დიდი მომღერალი გახდებით და დიდი კარიერაც მოგვლით. მართალს არ ვამბობ, ბატონებო? — მიზართა იქ მყოფთ დირიჟორმა.

— მართალი ხართ, maestro!— მიუგეს დანარჩენებმა.

— ამისთანა ხმა ჯერ არ გავიგონია.

— სწავლის ორი-სამი წელიწადი და ჩვენი პატივცემული maestro-ს რჩევას მაღლობით მოიგონებთ!

ტაში დაუკრეს და მიაძახეს:

— Bravo, georgiádo! (ვაშა ქართველო!)

— არ ვიცი, რა გზა გაქვთ არჩეული, მაგრამ, როგორც გულწრფელი არტისტი, მოვალე ვიყავი ეს რჩევა მომეცა. დანარჩენი კი— თქვენი საქმეა, რითაც შემძლება, ხელს შეგიწყობთ!

მთვრალივით გამოვიდა ფილიმონი თეატრიდან.

— ქუჩაში ყველას სულელურად ვუღიმოდი და ვერც ვიშორებდი ამ ღიმილს. ფანტაზია გამიცხოველდა. არტისტ-მომღერალი! ცნობილი და ხალხის სათაყვანო! ოპერაში ხომ ხშირად ეყოფილვარ და ეს აზრი რატომ აღრევე არ მომსვლია?— მიაშობდა ფილიმონი.

ასე გადაწყდა მისი მომავალი! შემთხვევამ, როგორც იყო ეახშამი იტალიელ საოპერო მომღერლებთან, ფილიმონს მომავლის კარი გაუღო და აჩვენა ნათელი, მკაფიო, გარკვეული გზა.

თორემ, ვინ იცის, მისგან მოქმედებულ „ტკბილ ქაობში“ ჩაფლული, სინოდალური კანტორის წვრილ მოხელედ და ეგზარქოსის გუნდის წევრად დარჩებოდა.

პირველი დღეების აღფრთოვანება მანელდა და მატერიალურმა სინამდვილემ თავი იჩინა. იტალიაში 2-3 წლის ვადით წასვლას საგრძნობი თანხა სჭირდებოდა და ამდენი ფული არსად ეგულდებოდა. ყოველდღიური ხარჯის ხელის მოკერით საჭირო თანხის დაგროვებას დიდი ვადა სჭირდებოდა, ფილიმონს კი მეტად ეჩქარებოდა.

იმ დროს ერთი შეძლებული ოჯახის ქალს ურიგებდნენ, მაკანკლებსაც უგზავნიდნენ. ნაცნობები და მეგობრებიც ცოლის შერთვას და ოჯახის შექმნას ურჩევდნენ. უმტკიცებდნენ, რომ ქალის მშობლები სიხარულით მზად არიან მომავალი სიძის სპეციალური განათლების ხარჯი თავის თავზე აიღონ. ფილიმონი ოჯახის ბორკილებს გაუზბოდა და კატეგორიულ უარს ამბობდა.

ბოლოს და ბოლოს ზოგიერთი მეგობრის რჩევით მან რამდენიმე ქართული წარმოდგენის მოწყობა დააპირა. ფიქრობდა, რომ კარგი



შემოსავალი ექნებოდა, მაგრამ ბევრი რამე ვერ გაითვალისწინა: თეატრის შენობა ხან იტალიურ ოპერას, ხან რუსულ დრამას ჰქონდა დაკავებული. ქართულ დრამას კვირაში მხოლოდ ერთი დღე ჰქონდა და შემოსავალიც ძალიან მცირე. თეატრი თავისუფლდებოდა ზამთრის სეზონის შემდეგ და იმ დროს გაზაფხულ-ზაფხულში ხალხი თეატრს არ ეტანებოდა. არტისტებიც კერძოდ მოწყობილ წარმოდგენაში უფასოდ მონაწილეობას არ თანხმდებოდნენ. მაგრამ ფილიმონი იმ დროს მეტად ოპტიმისტურად იყო განწყობილი. მის მიერ დიდი წვალებით მოწყობილმა წარმოდგენამ და კონცერტმა მატერიალურად მიზანს ეწერა მიაღწია--შემოსავალი არ იყო.

აი რას ლაპარაკობს მაშინდელი, 1867 წლის 25/V და 30/VI „დროება“: „13/V დაიდგა ქართული წარმოდგენა უფ. ქორიძის სასარგებლოდ. წარმოადგინეს მსახიობ ჯაფარიძის მიერ გადმოქართულებული ტრაგედია „მაიკო“ და ანტონოვის „ტივით მოგზაურობის“ 1-ლი მოქმედება“.

ფილიმონს გულუბრყვილოდ ეგონა, რომ „ტრაგედია“ ქვას გახეთქდა, მაგრამ მოტყუვდა.

„გვესმოდა კიდევ, წარმოდგენას ჰქონდა საკეთილო და სამადლო დანიშნულება: მოგროვილი ფულით ღონისძიება უნდა მისცემოდა ერთ ნიჭიერ ყმაწვილკაცს. რათა წაეიდეს სწავლის დასასრულებლად. უმაღლეს სასწავლებელში<sup>1</sup>. ესე ყოველივე იყო საკმაო, რომ ჩვენს წარმატების მოყვარეს და კეთილ-გულიან საზოგადოებას მიეღო სიამოვნებით მონაწილეობა კეთილ-ნათიქრ საქმეში“...

...„უფ. ქორიძე ბევრს ეცადა (როგორც გაგვიგონია ნამდვილი წყაროებიდან) ეშოვნა თეატრი ზამთარში, მაგრამ სულ აშაოდა“.

...„წარმომადგენლებმა მიიღეს მრავალი შრომა, რომ მთელი ერთი თვის შრომას არ ჩაეველო ამაოდ: თითქმის ყველა მოთამაშე ატარებდა ბილეთებს აქაურ შესანიშნავ პირებთან და იმათგან უფრო ბევრი მოდიოდა დამარცხებული და სულ ცოტა--გამარჯვებული. ისიც იყო, რომ ზოგი მოთამაშე, ჰხედავდა რა შემოსავალის მცირედობას, თავის მცირედი

<sup>1</sup> ჩანს, ამის დამწერმა ზუსტად არ იცოდა რა მიზანი ჰქონდა ფილიმონს.

ჯიბით თითონ იღებდა ბილეთებს, ზოგი ლოჯისას, ზოგი სხვა ალაგს და ჰპატიუებდა თავის ნაცნობებს“...

...„ბოლოს, მკითხველო, ამასაც მოგახსენებთ, რომ ამ წარმოდგენას დარჩა, გასაეაღს გარდა, სულ ექვსი თუმანი ანგარიშით, ისიც ორი წილი ასაღები სხვადასხვა პირთაგან. ექვსი თუმანი რვა კაცის ერთი თვის ბეჯითი შრომის ჯილდოთ! ამას ნულარ ვიტყვი, რომ თეატრის შოვნაზედ რამდენი პატიოსანი კაცის ხეწნა და შეწუხება მოხმარდა!.. ეს ფაქტები ცხადად აჩვენებენ, რომ ქართული საზოგადოება დიდის ხალისით არ მიეშურება ხოლმე ქართულ წარმოდგენაზე“. <sup>1</sup>

(ნ.....შვილი)

ასეთივე შედეგი ჰქონდა ფილიმონის მიერ პატარა ხნის შემდეგ მოწყობილ კონცერტს, რომელშიაც, სხვათა შორის, მონაწილეობა მიიღო დ. ყიფიანის მეუღლემ (როიალი).

ფილიმონს გულუბრყვილო იმედი ჰქონდა, რომ ქართველი საზოგადოება ხელს შეუწყობდა და მარცხმა გული გაუტეხა. განსაკუთრებით ეწყინა „დროებაში“ მოთაქსეული წერილის რამდენიმე სტრიქონი

...„თუმცა ის წარმოდგენა, რომელიც იყო ქორიძის სასარგებლოდ, სასარგებლოდ ოპერისა, <sup>2</sup> ჩვენ არ მიგვაჩნია კეთილ საქმედ, მაგრამ აქ ვამბობთ საზოგადოების აზრს“.

მრავალი წლების შემდეგ, როდესაც ფილიმონი მოხუცდა და ამ ძველ ამბავს მოიგონებდა, მეუბნებოდა:

— ნამდვილი დონ-კიხოტი ვიყავი, როდესაც საზოგადოებისაგან დახმარებას ველოდებოდი, ან ვინ ვიყავი მაშინ საზოგადოებისათვის? სრულებით უცნობი, პატარა, უმნიშვნელო მოხელე, კარგი ხმის პატრონი, საკათედრო ტაძრის გუნდის მოძღვრალი! მრავალი დამცირობაც გადავიტანე!.. ახლაც, შეილო, საზოგადო მოღვაწე ვარ, მთელი საქართველო მიცნობა, მათასებს, მაგრამ ეს დაფასება, თუმცა წრფელია, მაინც მხოლოდ სიტყვიერია. მგონია, ისევ დონ-კიხოტი დავრჩი!

ასეთი მწარე ფიქრები მესმოდა მისგან იმ დროს, როდესაც მოხუცებულობით და დიდი შრომით დაღლილი იყო.

<sup>1</sup> დედნის ქართული ენა და სტილი დაცულია. მიხ. კორელი.

<sup>2</sup> ე. ი. ვინმე მომღერლისა.

წარმოდგენის მარცხის წინაღვე მეგობრები ისევ შეუზღუნენ — ცოლი შეირთო. ქალის მშობლები ამბობდნენ: სიხარულით და უანგაროდ ხელს შევეწყობთო, სიძის წარჩინებით ჩვენც და ჩვენი ქალიც ვიამაყებთო. ფილიმონს ქალი მოსწონდა, პატივს სცემდა, მაგრამ დიდხანს ყოყმანობდა, ცოლშვილიანობა არ უნდოდა. ბოლოს და ბოლოს დათანხმდა და იტალიაში წასვლის სამზადისს შეუდგა.

იტალიური ოპერის არტისტებმა მრავალი რჩევა მისცეს და წერილებიც გაატანეს ცნობილ მომღერლებთან და სიმღერის საუკეთესო პროფესორებთან. შეუდგა იტალიური ენის შესწავლას. ეს საქმე გაუადვილდა, რადგანაც სემინარიაში ლათინურს საფუძვლიანად ასწავლიდნენ.

1868 წელს ფილიმონს შორეული ქვეყნების ნახვის დიდისინის ნატვრა შეუსრულდა: გაამგზავრა მილანში, იტალიური მუსიკის და სიმღერის საუკეთესო ცენტრში.

### იტალიაში ყოფნის პირველი პერიოდი. საქართველოში დაბრუნება და იტალიაში მეორედ წასვლა

მილანში მისვლისთანავე, ფილიმონი, წამოდებული წერილების დახმარებით, კარგად მოეწყო. იქაური მომღერლები და პროფესორები გულთბილად მოექცნენ, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ხმა და მუსიკალური უნარი გაუსინჯეს. დიდი მნიშვნელობა იმასაც ჰქონდა, რომ ფილიმონი „ჯორჯანო“ (ქართველი) იყო. პირველი შემთხვევა იყო, რომ ქართველი ადამიანი სიმღერის შესასწავლად იტალიაში წასულიყო. იქ უმეტეს შემთხვევაში სიმღერის შესასწავლად რუსები მიდიოდნენ, ასე რომ ფილიმონი, მილანელ მომღერლებისათვის „არაჩვეულებრივი სტუმარი“ იყო.

სწავლა მაშინვე დაიწყო: ხმის დაყენება, ვარჯიში და მუსიკის თეორია. ბუნებითვე სწორად დაყენებული ხმა პროფესორის მითითებებს ადვილად ემორჩილებოდა, თეორიაც ვადვილებოდა, რადგანაც ეგზარქოსის გუნდში მუშაობამ მუსიკის ძირითადი კანონების ცოდნა მისცა.

სწავლება სწრაფი ნაბიჯებით მიდიოდა და ერთი წლის შემდეგ უკვე ოპერების მარტივ ნაწყვეტებს და „basso profundo“ს შესაფერო მანსებს ითვისებდა. მისი პროფესორი, გვარად, რამდენადაც

მახსოვს, რონკონი, ძალიან მცოდნე, მაგრამ იმავე დროს მეტად სასტიკი და ზოგჯერ უხეშიც. იყო — ლანძღვა უყვარდა.

— როდესაც *maestro* ჩემი მუშაობით უკმაყოფილო იყო — ღიმილით იკონებდა ფილიმონი — გამიჯავრდებოდა და მომაცყვრებდა — *Aa! ascóltami béne, póvera béstla!* (კარგად მომისმინე ხოლმე, შე უბედურო პირუტყვო) — ასეთი ლანძღვა ქართველი კაცისთვის დიდი შეურაცხყოფა იყო, მაგრამ ასეთი ჩვეულება ჰქონდა. მეც ვითმენდი, რადგანაც უსაზღვრო პატივს ვცემდი და ვაფასებდი.

ენა მალე შეითვისა და ხარბად დაეწაფა იტალიის ხელოვნების გაცნობას: თეატრებს (ოპერას და დრამას), მუზეუმებს, გამოფენებს, მაგრამ ამ გაცნობას უგეგმოდ ატარებდა, უსელმძღვანელოდ.

მისი ნაამბობით, იტალიელები კარგი ხალხი აღმოჩნდა. — კულტურული, ქართველებივით ცოცხალი და მკვირცხლი, ზოგჯერ ცხარე, სტუმართმოყვარე. შინ, ოთახში, როგორც ქართველებს, ბუხარი, სუფრაზე ლობიო, ღომი, გორგონძლა, ღვინო<sup>1</sup>. უკვირდა კი, რომ იტალიელები, თითქმის ყველანი ბუნებით მხიარული ხალხი და კარგი მომღერლები, სუფრაზე გუნდურ სიმღერას დაჩვეულნი არ არიან.

— ჩვენში ყველგან; ქალაქებში და სოფლებში განათლებულ და არაგანათლებულ საზოგადოებაში, მით უმეტეს როცა სუფრაზე სტუმარია ხოლმე, ხალხური გუნდური სიმღერა ჩაღდება. თქვენ? სუფრის დროს რატომ არ მღერით? — ეკითხებოდა ფილიმონი.

„თქვენი ქართული წესი ჩამორჩენილია, თუმცა ორიგინალურიც; სუფრაზე ჭამა-სმა არის საჭირო, მეგობრული ბაასი, სიმღერა კი, ნით უფრო გუნდური, ეკლესიაში და ოპერაშია კარგი.

ეს ბრალდება — ჩამორჩენილობა — ფილიმონს საშინლად სწყინდა, მაგრამ ვერ შეედავებოდა რადგან ასეთი ხასიათის დაობისათვის მას პირველ ხანებში შესაფერი სიტყვიერი მასალა აკლდა. ამიტომ ეს ამბავი დროებით „ჩაყლაპა“. მხოლოდ კარგა ხნის შემდეგ ფილიმონმა გაიგო, რომ იტალიაში და საერთოდ მთელს ევროპაში ხალხური გუნდური სიმღერა არ არსებობს და თუ არსებობს — ეკლესიებში. სიმღერის ეს კარგი ტრადიცია მხოლოდ საქართველოშია შემოღებული სოფლად და ქალაქშიაც გუნდური ხალხური სიმღერები და ამ სიმღერების ავტორი და ჰარმონიზატორი თვით უბრალო ხალხია.

<sup>1</sup> ფილიმონი მომღერლებისა და დაბალი ფენების წრეებში ცხოვრობდა.

პირველ წვლიწადსვე ფილიმონმა ბევრი იტალიელი და რუსეთიდან ჩამოსული ახალგაზრდა მომღერალი გაიცნო და დაიპყრობრა. ისინიც ყოველნაირად ხელს უწყობდნენ მას. სხვათა შორის მეგობრებმა იტალიურად მონათლეს: ფილიპპო ქორიძი.

ეს ახალი, შინაარსიანი, წარმტაცი და უზრუნველი ცხოვრება ფილიმონს იმდენად მოეწონა, რომ ხშირად უთქვამდა—ნეტავი, დიდხანს გამიგრძელდებოდეს ასე ყოფნაო. შემდეგშიაც, როდესაც მრავალი წლის შემდეგ საქართველოში მუშაობდა, ხშირად ცხოვრების ძნელად ასატან პირობებით და ქართველი საზოგადოების უყურადღებობით დაღლილი და დაღონებული, გულის ტკივილით იგონებდა ძველ იტალიელ მეგობრებს, მაშინდელ საამო ცხოვრებას და ხან იტალიური წიგნების კითხვით გულს იყოლებდა, ხან თბილისის იტალიური ოპერის გაუქმების შემდეგ დარჩენილ გუნდისა და ორკესტრის წევრებთან მივიდოდა და ებაახებოდა.

ზოგჯერ ჩემთან მოვიდოდა და ეზოდან ჩემს მეუღლეს დაუძახებდა; — რძალო, დღეს სადილად თქვენთანა ვარ! ჩვენებური, გურული. ლობიოთი და იტალიური „რიზოტოთი“<sup>1</sup> მასიამოხუნე!

სადილის დროს „რიზოტოს“ შემდეგ იტყუადა:

„ეხლა იტალიაში ვარ!“

და იტალიის ამბებს მოჰყვებოდა.

იტალიაში ორიოდე წლის ყოფნის შემდეგ სინღერაში იმდენად წინ წაიწია, რომ თუ ოპერაში ჯერ არაა, კონცერტებში გამოსვლა თავისუფლად შეეძლო. მოუთმენლად ელოდა იმ დროს, როდესაც პროფესორი ოპერის სრულ მომღერლად აკურთხებდა და თეატრში დებიუტს მოუწყობდა. ერთი რამე აშინებდა—ვაი თუ დებიუტის დროს დამსწრე საზოგადოებამ ტაშის ნაცვლად სტვენით დააჯილდოოს! მრავალი შესანიშნავი მომღერალით განუბვიკრებული თეატრალური საზოგადოება ძალიან მკაცრი დამფასებელი და კრიტიკოსი იყო. საკმაო იყო ოდნავი ხრინწი, აღელვებით გამოწვეული მუსიკალური შეცდომა, რომ ღარბაზს უღმობელი სტვენა გააყრუებდა. და თუმცა ფილიმონი კარგად იყო მომზადებული, მაინც ღელავდა და ეშინოდა: „უცხოელი ვარო და, როგორც ასეთი იტალიელების ეროვნული გრძნობის გადაღახვა და მუსიკალური კრიტიკის დაკმაყოფილება ვაი თუ ვერ შევძლოო.

<sup>1</sup> „რიზოტო“—იტალიური წესით, ზაფრანით და ყველით შეზავებული ფლავი-

მეორე მხრივ, საოპერო ხელოვნების გარშემო ძალიან ძლიერი ორგანიზაცია არსებობდა, ეგრეთ წოდებული „კლაკა.“ ამ ორგანიზაციას კომერციული ხასიათი ჰქონდა და თავისი გამგეობა ჰყავდა. როდესაც რომელიმე მომღერალი, განსაკუთრებით კი უცხოელი, დებიუტს მიიღებდა, მასთან გამგეობის წევრი მივიდოდა და შინაურულად და ამავე დროს მოურიდებლად აგრძნობინებდა, რომ ამ მომღერალის ბედი ამ ორგანიზაციის ხელშია—ან ცაში აიყვანდნენ, ან დაასამარებდნენ. „კლაკის“ წევრები სპექტაკლზე როგორც ჩვეულებრივი მაყურებლები, მომღერლის დამფასებლები მიდიოდნენ. თუ დებიუტანტი „კლაკის“ სალაროში განსაზღვრულ თანხას არ შეიტანდა, „კლაკის“ წევრები სტვენით, ლაყე კვერცხებით და დამპალი ხილით გაუმასპინძლდებოდნენ. ამნაირად იქმნებოდა საზოგადოების მუსიკალური აზრი—რეცენზია. ზოგიერთ შემთხვევაში „კლაკა“ თავის მოქმედებას პატრიოტული მოსაზრებით ასაბუთებდა: უცხოელი მომღერალი თავის ქვეყანაში წავიდეს და იქ იმუშაოს. იტალიაში კარგი მომღერალი საკმაოდ გვეყავსო.

ეს აზინებდა ფილიმონს, მაგრამ ეს ხიფათი ასცდა. ალბათ მისი პროფესორის დახმარებით და მფარველობით.

სწორედ იმ დროს 1870 წელს, როდესაც როსსინის „სევილიელი დალაქის“ დონ ბაზილიოს როლი უკვე შესწავლილი და შეთვისებული ჰქონდა, თბილისიდან მისი მეუღლის მძიმე ავადმყოფობა აცნობეს. ადრე მიღებული წერილებიდან იცოდა, რომ კარგად არის, მხოლოდ ნაღვლობს და მოუთმენლად ელოდება ფილიმონის დაბრუნებას. ავადმყოფობის ამბავი კი მისთვის სრულებით მოულოდნელი იყო. მაშინვე დაბრუნდა თბილისში, მაგრამ მეუღლე ცოცხალი აღარ დახვდა. რამდენიმე ხნის გლოვის შემდეგ ფილიმონმა იტალიაში დაბრუნება დააპირა: წარმატებით დაწყებული სწავლების შეწყვეტა არც უნდოდა, არც შეეძლო, რადგანაც მომავალი კარიერა უკვე მკაფიოდ ჰქონდა დასახული, მაგრამ წასვლის და იტალიაში ცხოვრების ნივთიერი საშუალება აღარ ჰქონდა.

1872 წლის გაზეთ „დროებაში“ მოთავსებულ, პეტერბურგიდან მოწერილ გ. ქალადიდელის კორესპონდენციაში წერია: „ამ მოკლე ხანში პეტერბურგის სცენაზე ვნახავთ უფალ ქორიძეს, რომელსაც კარგად იცნობს ქალაქისა და ქუთაისის საზოგადოება“.

ჩანს, ფილიმონმა წასვლის წინ თბილისსა და ქუთაისში რამდენიმე კონცერტი მოაწყო და ამითი ერთი მხრივ თავისი თავი ქართველ საზოგადოებას გააცნო, მეორეთი—ამ კონცერტების შემოსავალით ნივთიერად წელი გაიმავრა. ამ კონცერტების შემოსავალი ასი თუმანიც რომ ყოფილიყო, მაინც დიდ ხანს არ ვასტანდა. ასე რომ იმ დრომდე, როდესაც, დაახლოებით 1872 წელს, პეტერბურგის საიმპერატორო ოპერაში მიიწვიეს, დიდ გაჭირვებას განიცდიდა.

როდესაც მე რუსეთში სწავლა გავათავე და საქართველოში დაებრუნდი, ჩვენ, ერთიმეორისაგან დიდი ხნით დაშორებულნი. ხშირად ვბაასობდით და ერთხელ ვუკამბე, რა გაჭირვებაში ვიყავი სტუდენტობის დროს, რომ სშირად ვშიმშილობდი ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, ფილიმონმა გაიღიმა და მითხრა:

„შენ რომ იცოდე, რა ყოფაში ვიყავი იტალიაში მეორედ ყოფნის დროს, გაგიკვირდებოდა. ხშირად ორი-სამი დღის განმავლობაში პირში ლუკმა არ ჩამსვლავ, *figlioli* და *polenta* რა არის. ისიც არ მქონდა. ხანდახან კონცერტებში მონაწილეობას ვიღებდი. მაგრამ ჩემისთანა მშიერი მომღერალი—იტალიელი ბევრი იყო და კონკურენციას ვერ გავუწეედი, პროვინციაში წასვლისათვის საკმაო სახელი ჯერ არ მქონდა და ეს კონცერტებიდან მიღებული შემთხვევითი-პონორარი ძალიან მცირე იყო. ამიტომ ძალაუნებურად ვითმენდი. იტალიელი მომღერლები ამბობდნენ, რომ სიმღერა მშიერ კუქზე საჭირო: ხმა უკეთესად ბგერსო. ეს წესი კარგია, მაგრამ შიმშილის დროს ეს რჩევა არ მანუგეშებდა. შემთხვევები ყოფილა, როდესაც იმ გაჭირვების დროს ვინმე სადილად დამპატიებდა. სწორედ მაშინ სულელური ამპარტანობით უარს ვამბობდი, ვიმიზეხებდი, რომ საღამოს უნდა ვიმღერო და მაძლარ კუქზე ხმა მიღალატებს მეთქი.

მაგრამ გაფუძელი და ბოლოს ამოვტივტივდმ. ამ ატივტივების პირველი ნაბიჯი ასე მოხდა: ერთი დიდი მეგობარი მყავდა, ესპანელი, მშვენიერი ტენორის პატრონი. გვარად „ლოპეც“. ცოლად რუსის ქალი ჰყავდა, დრამატული სოპრანო. მან მომღერლების პატარა, 5-6 კაცისაგან, ჯგუფი შეადგინა, მეც ამ ჯგუფში შემიყვანა და წავგიყვანა სამხრეთ ამერიკაში ქალაქ „რიო დე ჟანერიოში“. იქ მრავალი ესპანელი ეგულებოდა და დარწმუნებული იყო, რომ იტალიიდან ჩამოსული მომღერლების გასტროლებს დიდი წარმა-

ტება ექნებოდა. მართლაც გასტროლოგებმა ძალიან კარგად ჩაიარათვით „ლოპკეს“ სილით ატარებდნენ, მრავალი ტაში მეც მერგო, სასიამოვნო მოგზაურობამ და კარგმა შემოსავალმა ჩემი ახლო მომავალი, პატარა ხნით მაინც, უზრუნველი გახადა. მაგრამ მაშინდელ განირევებას ვერასდროს ვერ დავივიწყებ“.

ამერიკიდან დაბრუნების შემდეგ ფილიმონმა მთელი რიგი საოპერო პარტიები შეისწავლა, მაგრამ დონ ბაზილიო მისი, ყველაზე უფრო საყვარელი როლი იყო. სწორედ ამ როლში გამოვიდა დღი მილანის ცნობილ თეატრში. „La scala“-ში. დებიუტმა კარგად ჩაიარა, მაგრამ „La scala“-ში, ალბათ, პეტერბურგში მოწვევის გამო, არ დარჩენილა.

### პ ე ტ რ ბ უ რ გ შ ი

დაახლოებით 1872 წელს ფილიმონი, ნიკიერი მომღერალი, გამოჩენილი ბანის პატრონი, პეტერბურგის საიმპერატორო ოპერის დირექციამ მოიწვია და კარგი პირობები აღუთქვა. ამითი წარმატების და დიდების გზა ეხსნებოდა. ფილიმონმა ეს წინადადება სიამოვნებით მიიღო და მაშინვე გაემგზავრა პეტერბურგს.

პეტერბურგის საიმპერატორო ოპერაში მსახურობდა იმ დროს ცნობილი, მთელი საზოგადოების საყვარელი და სათაყვანო მომღერალი, სუსანიის როლის შემქმნელი, ბანი პეტროვი. რამდენადაც ფილიმონისა და დედაჩემისაგან ვიცი, პეტროვს და დირექციას შორის უთანხმოება მოხდა, რის შედეგად პეტროვმა სამსახურს თავი დაანება. მდგომარეობა გამწვავდა და არცერთი მხარე ერთიმეორეს არ უთმობდა. მაშინ დირექციამ განიზრახა მოეძებნა და მოეწვია პეტროვის დარი მომღერალი, მით უმეტეს, რომ პეტროვი უკვე მოხუცებული იყო. მიმართეს იტალიაში მყოფ რუს მომღერლებს. ამ მომღერლებმა, ან რუსეთის საელჩომ და, შესაძლებელია, თვით „La scala“-მ მიუთითეს დირექციას მომღერალ ფილიპონ ქორიძეზე. რა ნიადაგზე მოხდა პეტროვისა და დირექციას შორის უთანხმოება, ფილიმონმა არ იცოდა და, რა თქმა უნდა, არც ის იცოდა, რა პირით შეხვდებოდა პეტროვის მოადგილეს პეტერბურგის თეატრალური აუდიტორია, მუსიკალური წრეები და პრესა.





ფილამონ ქობისძის მეუღლე ზინაიდა მიხეილის ასული ვორობეც.



იმ წლებში რუსეთის მუსიკალურ წრეებში დაწყებული იყო მწვავე ბრძოლა ორ ბანაკ შუა. ერთი—იტალიური მუსიკის (მისი სიმფონიურობის, სიმღერის მანერის და იტალიური ოპერების) დიდი მომხრე იყო, მეორე—რუსული ეროვნული მუსიკის. ამ ეროვნული მუსიკის შექმნელნი და სულისჩამდგმელნი იყვნენ: გლინკა, ბალაქირევი, სეროვი და სხვები. განსაკუთრებით კი ბალაქირევის მუსიკალური წრე, ეგრეთ წოდებული „ძაღოვანი ჯგუფი“ (Могучая кучка).

რუსული ეროვნული სული, რუსული ეროვნული თვითშეგნება, რუსი ხალხის მრავალფეროვანი ისტორია, რუსული ფოლკლორი, რუსული ახალი მუსიკის რეალისტური სტილის განმტკიცება და განვითარება, მხატვრული ხალხური სახეების შექმნა—ყოველივე ეს „ძაღოვანი ჯგუფის“ პროგრამას შეადგენდა და ამ პროგრესულმა, ძლიერმა და სამართლიანმა პროგრამამ, ახალი მუსიკალური ტექნიკის, ე. ი. ჰარმონიზაციისა და სიმფონიზაციის ახალი ფორმების დახმარებით, განხორციელება და განსახიერება ისეთ ნაწარმოებებში ჰპოვა, როგორც იყო ვერსტოვსკის „ასკოდოვა მოგრა“, სეროვის „როგნედა“ და განსაკუთრებით გლინკას „ივან სუსანინი“, „რუსლან და ლუდმილა“ და სხვა.

მაშინდელი იტალიის საოპერო მუსიკალური მიმართულება, ოპერების ლიბრეტო და მომღერლების სასიმღერო სკოლა სულ სხვანაირი იყო. ოპერებში მეფობდა ლამაზი, წარმტაცი მელოდია და ზოგჯერ მელოდიური რეჩიტატივი, ბელ-კანტო, რომელსაც სრულებით სადა, მარტივი აკომპანემენტი მიჰყვებოდა. ასეთი აკომპანემენტი ჰქმნიდა ისეთი ხასიათის ფონს, სადაც მხოლოდ მელოდია და მხოლოდ მისი ამსრულებელი-მომღერალი იქცეოდა მსმენელის ყურადღებას. (შემდეგშია, საქართველოში ყოფნის დროს, ფილიმონი ყოველთვის ჟინიანად ამტკიცებდა, რომ რაც უფრო სადა და მარტივია აკომპანემენტი, მით უკეთესია მომღერლისთვისა და მსმენელისთვისაც: მომღერალი უფრო თავისუფლად მღერის, ხოლო მსმენელის ყურადღება გაორებას არ განიცდის და მელოდიას თავისუფლად ითვისებს).

ოპერების შინაარსი აღებული იყო ევროპულ რომანტიული თქმულებებიდან, ხოლო სასიმღერო სკოლა მომღერლისაგან მოითხოვდა და აძლევდა კიდევ სწორად დაყენებულ ხმას, ძლიერად გავარჯიშებულ სუნთქვას, შესანიშნავ „forte“-ს და „piano“-ს, ხმის საამო

მოქნილობას—„bel canto“-ს სცენისათვის კი ევროპულ რომანტულ ეესტს, ლამაზ პოზას და რომანტიულსავე პათოსს. ასეთი ოპერები იყო, მაგალითად, ახლა მივიწყებული და უარყოფილი „ნორმა“, „ლუჩია“, „პურიტანები“ და სხვ. რა თქმა უნდა, იტალიაში იმავე დროს იქმნებოდა და ფეხს იკიდებდა სხვა, მუსიკალურად და ჰარმონიზაციით უფრო ახალი და რთული ოპერებიც, მაგრამ ძველი ნაწარმოებები კიდევ მტკიცედ იცავედა თავის პოზიციებს და მსმენელიც ამ სიმტკიცეს ხელს უწყობდა.

ფილიმონის პეტერბურგში მოწვევის დროს რუსული მუსიკა თითქმის გამარჯვებული იყო, ფრთები გაშალა და ოპერის რეპერტუარში გლინკას „ივან სუსანიანს“ თვალსაჩინო ადგილი ეკირა, მაგრამ „იტალიანშინაც“ საზოგადოების საკმაო ნაწილით წელგამაგრებული, წარმატებით განაგრძობდა თავის მოღვაწეობას.

რუსულ და იტალიურ მიმართულებებს შორის ბრძოლა, მისი სათავეები და ვითარება ფილიმონმა ზერეფედ იცოდა, საზოგადოების სათაყვანო მომღერალ პეტროვის კონფლიქტის მიზეზებიც არ აინტერესებდა და ეს ორი გარემოება არ გაითვალისწინა. მას მხოლოდ თავისი არაჩვეულებრივი სიძლიერის, მოქნილი ხმა, იტალიური სიმღერის სკოლა, თავისი „bel canto“ და იტალიური რეპერტუარი სწამდა და გულუბრყვილოდ ფიქრობდა, რომ ეს თვისებები ქვას გახეთქდნენ და ამიტომ ცა ქუდად არ მიაჩნდა, დედა-მიწა—ქალამნაღ.

პირველად ფილიმონი „სველიელ დალაქში“ გამოვიდა, მის საყვარელ დონ ბაზილიოს როლში. დამსწრეების—კოწია ერისთავის (მხატვარ გიორგი ერისთავის მამის), თბილისისთვის ცნობილ პროფესორ რიადნოვის და პოლკოვნიკ ივანე ნაკაშიძის ნაამბობით, ფილიმონ ქორიძემ აუდიტორიაზე პირველ ხანებშივე დიდი და სასიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინა. წინასწარმეტყველებდნენ, რომ მისი ხმის, გარეგნობისა და მუსიკალობის პატრონი თვალსაჩინო ადგილს დაიკავებს პეტერბურგის მუსიკალურ ცხოვრებაში...

რამდენიმე იტალიურ ოპერებში წარმატებით გამოსვლის შემდეგ ღირექციამ წინადადება მისცა რუსული რეპერტუარი გაეცნო და შეეთვისებინა, უმთავრესად კი—ივან სუსანიანის როლი, მით უმეტეს, რომ ამ როლის შემსრულებელი, პეტროვის ოპერიდან

წასვლის შემდეგ, არავინ იყო. ეს წინადადება ფილიმონს არაფრად ესიამოვნა, რადგან დაჩვეული იყო იტალიურ რეპერტუარს, ხოლო რუსული, მისთვის უცნობი მუსიკა ეძნელებოდა, თუმცა მოვალე იყო ღირექციის მოთხოვნა შეესრულებინა. ოპერის ღირექციას კი მიზნად ჰქონდა ახალი „იტალიელი“ მომღერალი, იტალიურ ოპერებში წარმატებით გამოსული, რუსულ რეპერტუარში გამოეყენებინა.

ამავე დროს ღირექციამ წინადადება მისცა გვარი გამოეცვალა — ესაბუთებდა იმით, რომ ქორიძე არაკეთილხმოვანი გვარიაო, პეტერბურგის მაღალ საზოგადოებას არ ესიამოვნება. ხანგრძლივი დავის შემდეგ შეთანხმდნენ, „ინოროდეცის“ ქართული გვარი ქორიძე შეცვლილიყო „ქორიჯოს“ გვარად<sup>1</sup>. არც ეს ამბავი ესიამოვნა ფილიმონს, მით უმეტეს, რომ მისი გვარის გამოცვლის გარშემო ქორიძეების გვარეულობასთან დავა უკვე ჰქონდა (ბატონყმობის გაუქმების რამდენიმე წლის შემდეგ გამოჩინებულის მწვერვალის ქორიძეებმა გვარის გამოცვლა მოინდომეს და შესაფერი შუამდგომლობა აღძრეს სადაც ჯერ არს: არ უნდოდათ, რომ მათი ყოფილი სახლიკაცები, თავისუფალი გლეხები, ფერღობების მცხოვრები ქორიძეები, წოდებითაც და უფლებებითაც მათთან გათანასწორებულნი ყოფილიყვნენ. ამ შუამდგომლობაზე ფილიმონმა ხელი არ მოაწერა: „ქორიძე ვარ და ქორიძედ დავრჩები, განსაკუთრებულ უფლებებს არ ვეძებ. როგორც ხელოვანს ქორიძედ მიცნობენ და ქორიძედ დავრჩები“. მთავრობის დადგენილებით მწვერვალის ქორიძეები სასულიერო წოდებას მიაწერეს და, რადგანაც ისინი ხშირად ეკლესიის კანდელაკებად იყვნენ, ისეთივე გვარი მიაკუთვნეს — „კანდელაკი“. ასე რომ ქორიძეების მთელ გვარეულობაში მხოლოდ ფილიმონი დარჩა ქორიძედ, დანარჩენები — კანდელაკებად).

თუმცა ღირექციის წინადადება ფილიმონს არ მოეწონა, მაინც მამინვე დაიწყო „სუსანიის“ პარტიის შესწავლა. ამ ოპერის გაყენობის პირველსავე წუთებში მისი მელოდიური მხარე მოეწონა, განსაკუთრებით კი თვით სუსანიის პარტია და ამიტომ მუშაობას დიდი ენერგიით შეუდგა. დანიშნულ დროს ფილიმონი სპექტაკლისთვის მზად იყო.

<sup>1</sup> 1872 წ. „დროება“, პეტერბურგიდან მოწერილი ამბები.

გლინკას ოპერაში მოცემული ისტორიული ეპოქა, მისი დამახასიათებელი ფერადები, ოპერაში ჩაქსოვილი რუსული ფოლკლორი, რუსი გლეხის—სუსანინის ფსიქიკა, მისი პატრიოტული სულისკვეთება, ყოველივე ეს საქართველოში დაბადებულ და აღზრდილ და იტალიაში სიმღერანასწავლ ფილიმონისთვის სრულებით უცნობი და უცხოც იყო. იტალიური სკოლის მიმდევარს და მართლმორწმუნეს, ცოდნით და შესანიშნავი ხმით აღჭურვილს, მას არაფრის არ ეშინოდა, მაგრამ... დადგა სპექტაკლის საღამო. აიხადა ფარდა.

„ხალხით სავსე დარბაზი ღელავდა“... მიამბობდა ივანე ნაკაშიძე, რომელსაც გვეცანი ჩემი სტუდენტობის დროს:

„სხვებთან ერთად მეც ველავდი, ვიცოდი, რომ მიუხედავად ფილიმონის წარმატებისა იტალიურ ოპერებში, ეს სპექტაკლი მისთვის დიდად მნიშვნელოვანი იყო. ის გამოდიოდა ცნობილი პეტროვის მოადგილედ და ეს ამბავი თითქოს შეჯიბრი იყო. გულით მინდოდა, რომ ჩემი თანამემამულე, ქართველი და გურულიც გამარჯვებულიყო და საქართველო ედიდებინა. მაგრამ ხალხმა დიდი-გულგრილობა გამოიჩინა. ჩემი მეგობრები მეუბნებოდნენ, რომ პეტროვი შესანიშნავი არტისტია, მისი სუსანინი დაუფიწყარი მხატვრული სახეა, რაც შეეხება ქორიჯიოს, ის მხოლოდ კარგად მღერის და, რა თქმა უნდა, პეტროვს ვერ შეეძრება, ის კარგია მხოლოდ იტალიურ რეპერტუარში. მე კი მუსიკის დიდი მცოდნე არავარ, ყველა პეტერბურგელ ქართველებთან ერთად ვამბობ, რომ ჩვენი ფილიმონი შესანიშნავი მომღერალია და არა თუ საქართველო, რუსეთიც ხელით უნდა ატარებდეს. ხალხის ვითომ გულგრილობა მიდგომის საქმე იყო“. ასე დაათავა ივანე ნაკაშიძემ თავისი ნაანბობი.

ღედაჩემს, ფილიმონის მომავალ მეუღლეს, პეტროვი უნახავს და მისი სიტყვით, ის მართლაც შესანიშნავი არტისტი იყო, მისი სცენიური სახეები მეტისმეტად ძლიერი და წრფელი იყო და პეტერბურგის საზოგადოება ეთაყვანებოდა მას. და არ არის გასაკვირი, რომ ფილიმონმა, საქართველოს შვილმა და იტალიური სკოლის მომღერალმა მარცხი განიცადა.

რამდენიმე სპექტაკლის შემდეგ პრესა ახმაურდა და გადაამეტებული სიმკაცრით გააკრიტიკა „იტალიანშინას“ წარმომადგენელი ქორიჯიო. არა თუ თამაში, არამედ ხმაც არ დაინდეს.

გაზეთები: „გოლოსი“, „პეტერბურგსკიე ვედომოსტი“ წერ-  
დნენ:

„უფ. კურიცინი (ასე მოუნათლავს გაზეთს უფ. ქორიძე) ხმ ა  
ძალიან მაღალი აქვს. პეტერბურგის საზოგადოებას ამისთანა  
ბოხი ხმა, მგონი სულაც არ გაუგონია, მაგრამ რად უნდა  
კაცს ცარიელი ხმა, თუ მოხმარება არ იცისო“.

„უფ. კურიცინი მხოლოდ ყვირისო. სუსანიანის როლი ითა-  
მაშაო, მაგრამ როგორც აქტიორი სრულებით არ ვარგაო“<sup>1</sup>.  
ამბობდნენ, რომ სუვორინი და ბურენინი ხუმრობით ლაპარაკობ-  
დნენ: „ამ ახალ მომღერალს მკერდში ორთქლის მანქანა აქვს. შა-  
რა-გაზე დადგეს და ყაჩაღები შეაშინოს!“

ჩანს, რომ იმ ბრძოლაში, რომელიც „ძალოვან ჯგუფისა“ და  
„იტალიანშჩინას“ შორის წარმოებდა, ფილიმონ ქორიძე ერთი ბა-  
ნაკის იერიშის უნებური მსხვერპლი გახდა. „აქლემები წაიჩხუბნენ —  
კოზაკი შიგ გაიკეცილა“.

პეტერბურგის ამბებმა ფილიმონზე ძალიან ცუდად იმოქმედა.  
მზად იყო საოპერო კარიერაზე უარი ეთქვა, თან ფიქრობდა: „თუ  
იტალიამ საუკეთესო მომღერლების და მუსიკის მოწინავე ქვეყა-  
ნამ სრულ საოპერო მომღერლად მცნო, პეტერბურგს რაღა უნდა?  
იმიტომ, რომ უცხო ტომის ხელოვანი ვარ, ქართველი, „ინორო-  
დები“? მაშ რად მიწვევდნენ? ან იმიტომ, რომ იტალიური მომღე-  
რალი ვარ და რუსი მუსიკოსების და საზოგადოების ფალაგანს უნე-  
ბლივთ შევეჯიბრე? მათი არაფერი არ მინდა, არც რეცენზენტე-  
ბის ცალმხრივი, მტრული და დამცინავი დაფასება!“ რატომღაც  
ძლიერ ეწყინა რეცენზიაში მისი გვარის დამახინჯება. რუსულად  
ხუმრობით ამბობენ: „Ех ти, куряцкии сын“, ე. ი. კაცუნა, ჩია  
აღამიანო! ფილიმონმა ეს თქმა ლანძღვად მიიღო და ბრაზობდა:  
„კაცუნად მომნათლეს? მაშ კარგი, არ ვუნდებვარ? იტალიაში  
დავბრუნდები, იქ მიცნობენ მაინც! ან ისევ ჩემს გამოჩინებულში  
წავეალ და იქ ჩემს პატარა ყანაში ვიმუშავებ!“

ფილიმონი ბავშვივით ღელავდა და სულიერ წონასწორობას  
შკარავად. ამ მძიმე განცდების დროს გაეცნო თავის მომავალ მც-

<sup>1</sup> 1872 წ. „დროება“ — პეტერბურგიდან მოწერილი კორესპონდენცია.

ულღეს. უკრაინელი ქალი, ინსტიტუტდამთავრებული, უცხო ენების მკოდნე და კარგი პიანისტი—ზინაიდა მიხეილის-ასული ეორობეც ფილიმონის გულითადი მეგობარი, ნუგეშის მცემელი და შემდეგში მისი უახლოესი თანამშრომელი გახდა. სულით ნუ დაეცემიო, ჯან-ღონით და ენერგიით საესე ხარ და, რას ჰქვია, დროებითი უსიამოვნება? ყველაფერს ადვილად გადალახავ და შენსაქმეს ისეე ხალისიანად განაგრძობო.

მართლაც, თავისი ახალი მეუღლის გავლენით, ფილიმონი დამშვიდდა, გამხნედა და მისივე რჩევით საოპერო თეატრთან დადებული ხელშეკრულება დაარღვია, უპირობის ჯარიმა გადაიხადა და მეუღლესთან ერთად იტალიაში დაბრუნდა.

### იტალიაში მიოკიდ ყოფნა და საქართველოში საოლოლოდ დაბრუნება

იტალიაში დაბრუნებისთანავე, დაახლოებით 1873-74 წლებში, ფილიმონის ცხოვრება საფუძვლიანად შეიცვალა, მისი ყოველდღიური ყოფა მისი მეუღლის მიერ შემოტანილი მზითვის წყალობით უზრუნველი გახდა. თანხის ნაწილი ბანკში შეიტანეს, დანარჩენი—ორი-სამი წლის სახარჯო მარაგად დაიტოვეს. ეს ბანკი კერძო პირს ეკუთვნოდა, ვინმე სკოპინ-შუსისკის და მისი კლიენტები უმეტესად სასულიერო წოდებას ეკუთვნოდნენ: არქიელები, მონასტრების იღუმენები და ამგვარი ხალხი. პირველად ფილიმონს ასეთ ბანკში ფულის შეტანა არ უნდოდა: სასულიერო ბანკში რა მინდაო, ამბობდა. მაგრამ მეგობრებმა დაარწმუნეს, რომ ეს ბანკი სხვა ბანკებზე მეტ სარგებელს იძლევა. ფილიმონსა და მის მეუღლეს პრაქტიკული აღლო სრულებით არ ჰქონდათ და ბოლოს და ბოლოს დათანხმდნენ, მაგრამ სასულიერო წოდების მიმართ უნდობლობა, შემდეგშიაც შერჩათ.

ახლა, მილანში ფილიმონის ცხოვრებას ქალის ხელი აშკარად დაეტყო. „ბოჰემა“ შორს დარჩა და წესიერი ყოფა-ცხოვრება დამკვიდრდა. გემოვნებით მორთული ბინა, თავის დროზე ჰამა-სმა, დაწოლა-ადგომა, კულტურული ხალხის გაცნობა-დაახლოება, ჩაცმა-დახურვა და მრავალი სხვა. ყოველივე ეს მისი მეუღლის დედაჩემის მეოხებით ხდებოდა.



ამ წესიერმა ცხოვრებამ ძალიან კარგად იმოქმედა ფილიმონზე, მეტად ხალისიანი და მხიარულიც გახდა. ყოფილი გაქირვება დაივიწყა, დაივიწყა პეტერბურგის მარცხიც.

ახლა ფილიმონი, თავის მეუღლესთან ერთად, მუზეუმებს, სამხატვრო გამოფენებს, წიგნებს, სხვადასხვა ქალაქებში მოგზაურობას ხარბად დაეწაფა, მით უმეტეს, რომ დედაჩემი როგორც კარგად განათლებული ამ მხრივ ფილიმონის „ჩიჩერონე“—ხელმძღვანელი იყო.

ფილიმონის სახლში ყოველთვის მრავალი სტუმარი და მეგობარი დადიოდა: რუსები, იტალიელები, ესპანელები. ყველაზე ხშირად იყვნენ თ. კომისარევესკი (ცნობილი მსახიობი ქალი ვერა კომისარევესკაიას მამა), ემილია პავლოვსკაია<sup>1</sup> (შემდეგში გამოჩენილი მომღერალი, კოლორატურა) და მისი მეუღლე ს. პავლოვსკი, ფილიმონის პირველი ვაჟის მიხეილის ნათლია (შემდეგში მოსკოვის ოპერის რეჟისორი). იტალიელებიდან ჩვენს ოჯახთან დაახლოებული იყო, ფილიმონის დიდი მეგობარი, წიგნების გამომცემელი „რივოლტა“, სიმღერის და პლასტიკის პროფესორი „მაესტრო“ რონკონი, ტენორი „ვალერო“ და ესპანელი მომღერალი „გომეც“, „რიო დე ქანეიროში“ მოწყობილ კონცერტების ინიციატორი და მრავალი სხვა.

მე, თქვენი მონა-მორჩილი 1875 წელს დაეიბადე. ჯერ ოთხი წლის ვიყავი, როდესაც ზოგი მომენტი, რომელიც ფილიმონს ახასიათებდა, როგორც მამას, ჩემს ხსოვნაში კარგად არის აღბეჭდილი. მახსოვს, რომ საბავშვო ბაღში და იქიდან შინ ხშირად მიყვავდი. ერთხელ ბავშვებმა ჩალის ქუდი გამიხიეს. ძალიან შეეწუხდი, მაგრამ ფილიმონს, გაჯავრების ნაცვლად გაეცინა და მაშინვე დამამშვიდა: ახალი, უფრო ლამაზი ქუდი მიყიდა. სასეირნოდ დაეყავდი მილანის ძველ „ბასტიონებზე“. ეს იყო ქალაქის ძველი სამხედრო გალავანი, რომელიც აშენდა იმ დროს, როდესაც მილანს „მედიოლანუბი“ ერქვა. ამ გალავნის ზედაპირი იმდენად ვანიერო იყო,

---

<sup>1</sup> ე. პავლოვსკაია თბილისის საზოგადოებისათვის იმდენად სათაყვანო და საყვარელი გახდა, რომ 1882 წელს მისი ბუნების შენღვე დაპსწრე საზოგადოებამ მისი ეტლიდან ცხენები გამოხსნა, შიგ თვითონ შეება და შინ ისე წაიყვანა (იხ. გაზეთი „კავკაზი“, 1882).

რომ ჩემს დროს ზედ წაბლების ხეივანი მოეწყო, სადაც საეტლო შარაც იყო, საჭვეითო გზაც. ერთხელ, სეირნობის დროს, ფილიმონი ხუმრობით, ჩემს გამოსაცდელად, დიდი წაბლის ხეს მიეფარა, დამემალა. გავიხედე—ფილიმონი არ ჩანს. ჯერ გამიკვირდა, შემდეგ კარგა ხანს ვეძებე, შემდეგ კი შემეშინდა და ტირილი მოვრთე—მამა დაეკარგე—ვყვიროდი. ძალიან შეწუხდა, ყოველნაირად მამშვიდებდა და მანუგეშებდა. ბოლოს ხელში ამიყვანა და ასე მიმიყვანა შინ.

ზაფხულობით იტალიურ შვეიცარიაში დავდიოდით Lago di Como-ზე (კომოს ტბა). ერთხელ, როდესაც თამაშით გართული ვიყავი, დამიძახა და მომასმენინა ჩემთვის უცნაური ხმები. როგორც შემდეგ გავიგე, ეს იყო ადგილობრივი მწყემსების საკრავი—ტიროლის ბუკი, რომლითაც ისინი, მთებში მწყემსობის დროს, ერთი მეორეს ხმას აძლევენ და რომელიც ჩვენებურ კრიმანჭულს ჰგავს. ფილიმონი ერთ ხანს ისმენდა, იღიმებოდა და მკითხვა:

— აბა, რა არის, თუ იცი?

— მამალი!—მეთქი, ვუპასუხე.

გულიანად გადიხარხარა და მითხრა:

— შენ თვითონ მამალი ხარ! ეს კრიმანჭულია, აქაური კრიმანჭული! გაიმეორე!

— კამაჩული!—სიცილით გავიმეორე მე.

მახსოვს, რომ სიცილი უცებ შეწყვიტა, გაჩუმდა და დიდხანს იყო დაფიქრებული. მეც მოვდუნდი, ალბათ ვიფიქრე, რომ ჩემი პასუხი რატომღაც არ მოეწონა და ჩემს თამაშს მიეუბრუნდი. შინ დაბრუნების შემდეგ ტიროლის ბუკის ხმას რამდენიმეჯერ მიბაძა. მე და დედაჩემს გავგიკვირდა, რომ ფილიმონის ყოველთვის ბოხი ხმა ახლა სწორედ მამლის ხმას მიემსგავსა.

მრავალი წლის შემდეგ ეს ამბავი მომაგონა:

— გახსოვს „კამაჩული“ რომ გაგაგონე და „მამალით“ გამაცინე? მაშინ ძალიან დავლონდი. მომაგონდა საქართველო, ჩემი მშობლიური გურია თავისი კრიალა კრიმანჭულით და გული მეტკინა. ახლა ჩვენი სიმღერების და კრიმანჭულის შესახებ ხშირად ვფიქრობ: ჩვენს მომღერლებს რომ იტალიურად გავარჯიშებული, მოქნილი ხმები ჰქონდეთ და კრიმანჭულს კარგი კოლორატურა ასრულებდეს, მთელი ევროპა განცვიფრებაში მოვიდოდა.



ფილიმონ ქორიძე კარდინალის როლში. გალევის ოპერა „ეზრაელა ქალი“. (იტალია 1870-იანი წლები).



ჩვენში კარგი ხმების იმდენი მარაგია, რომ მალე დადგება ღრო, როდესაც გაეარჯიშებული, გამოცდილი მომღერლები ბევრი გვეყოლება, ქართული ოპერა დაარსდება და ჩვენს მუსიკას, მომღერლებს და კრიმანჭულსაც უცხოეთი სიამოვნებით მოისმენს! ნიკიერი მოწაფეები უკვე მყავს. მოგასმენინებ და ნახავ, რა მომავალი მოელით!

ზოგიერთი მათგანი მომისმენია: მართლაც შესანიშნავი ხმების პატრონი იყვნენ. სამწუხაროდ, არცერთი სიმღერის ასპარეზს არ შერჩა: ასე რომ, ფილიმონის ნატვრა მომზადებული მომღერლების შესახებ, მისი ოცნება მომავალი ქართული ოპერის გარშემო, მის დროს არ გამართლდა. მართო ფილიმონი რას გააწყობდა. ქართველ საზოგადოებაში კი ქართული ოპერის დაარსების შესაძლებლობა ჯერ მომწიფებული არ იყო, მხოლოდ ხალხური სიმღერების გუნდები თუ იკიდებდნენ ფეხს!

ფილიმონი დღეს რომ ცოცხალი იყოს და ქართული ოპერა მოესმინა, მის აღფრთოვანებას საზღვარი არ ექნებოდა და ჩვენი მუსიკის საქმეში მხურვალე მონაწილეობას მიიღებდა! მაგრამ მისი გარდაცვალების შემდეგ თითქმის ორმოცი წელიწადი გავიდა და...

მთავარ თემას უნებლიედ გადავუხვიე და მისი იტალიაში მეორედ ყოფნის ამბავს ეუბრუნდები.

იმ პერიოდში, როგორც მოგახსენეთ, ფილიმონი ყოველთვის მხნე და მზიარული იყო და მისი დამახასიათებელი ორიოდ შემთხვევა ისე ნათლად მაგონდება, თითქო გუშინდელი ამბავი იყოს.

დაახლოებით 1878-79 წელს ჩვენ მილანის მთავარ ქუჩაზე—ილ-კორსოზე ვცხოვრობდით. დიდი ბინა გვქონდა და ქუჩის დამყურე დიდი აივანი, საიდანაც ქუჩა მთელი სიგრძით მოჩანდა.

ერთ დღეს ჩვენი ბინა და აივანი ჩემი მშობლების მეგობრებით და ნაცნობებით გაივსო, ყველას ყვავილები ჰქონდათ ხელში, მაგიდებზე და სკამებზედაც აუარებელი ყვავილები ეწყო. აივნიდან, სადაც თვალი გაწვდებოდა, ჩანდა, რომ ყველა აივანი, ფანჯრები და სახურავებიც ხალხით გაქედნილი იყო. ისმოდა რალაც, ჩემთვის გაუგებარი გუგუნის, რომელიც თანდათან ძლიერდებოდა. დავინახე ეტლი, რომელიც აუარებელი ხალხით შემორტყმული ჩვენსკენ

მოდოდა. ხალხი ეტლს ყოველი მხრიდან ყვავილებს ესროდა და ყვიროდა:—Evviva! Evviva! (იცოცხლოს). როდესაც ეტლი სწორედ ჩვენს სახლს მიუახლოვდა, ჩვენმა აივანმაც, ჩემთან ერთად, ყვავილები დაუშინა. დაეინახე, რომ ეტლში ვილაც მოხუცი იჯდა და მასთან ერთად რამდენიმე ქალი. უცებ გაისმა ფილიმონის არაჩვეულგვარი სიძლიერის მქუხარე ხმა: Evviva! Garibaldi! (გაუმარჯოს გარიბალდის!)—შევშინდი, დედაჩემი მომეხვია. მამშვიდებდა და ოთახში შემეყვანა. ფილიმონმა კი, რომლისაგანაც მხოლოდ ალერსი მახსოვდა, ყურადღებაც არ მომაქცია.

რა თქმა უნდა, არ ვიცოდი, რისთვის მოდიოდა ქუჩაში ეს უამრავი ხალხი, რატომ ისროდნენ ყვავილებს, ვინ იყო ის მოხუცი, ან რატომ ესალმებოდა მას ფილიმონი. მხოლოდ მრავალი წლის შემდეგ მშობლებმა მიამბეს, რომ ეს იყო გარიბალდი, იტალიის ხალხის გმირი, რომელმაც იტალია იხსნა ავსტრიელების უღლისაგან, გააერთიანა იგი და მადლიერი ხალხი სიხარულით ეგებებოდა თავის გმირს და პატივისცემის ნიშნად ყვავილებს აყრიდა და ესალმებოდა „Evviva“-ძახილით. სწორედ ჩვენი სახლის პირდაპირ გააჩერეს ეტლი და ხალხს სთხოვეს ყვავილების სროლა შეეჩერებინათ, რადგანაც გარიბალდის მრავალი ჭრილობა ჰქონდა და თაიგულები ხშირად იარებს ხედებოდა. ეს ამბავი ფილიმონმა შემდეგი სიტყვებით დაათავა:—ბედნიერია ის ხალხი, რომელსაც თავისი გარიბალდი ჰყავს!

იტალიაში ყოფნის ამ მეორე პერიოდში ფილიმონი და დედაჩემი ზოგიერთ მეგობრებთან ერთად აწყობდნენ კონცერტებს. მოიარეს იტალიის თითქმის ყველა მნიშვნელოვანი ქალაქი: ტურინი, ლივორნო, ნეაპოლი, ჯენოვა, პავია და სხვა. ყველაზე უფრო ხშირად იგონებდნენ სიცილიის ქალაქ პალერმოს. ფილიმონის აზრით, სიცილიის ხალხი ქართველებით სტუმართმოყვარეა, ცხარე და მშრომელიც, განსაკუთრებით გლეხობა. რკინიგზით მოგზაურობის დროს ყველა მგზავრს ყოველნაირი სანოვაგე თან აქვს, განსაკუთრებით კი ლვინო, შესანიშნავი ლვინო. რა თქმა უნდა, ერთი მეორეს ეპატივებთან, ფილიმონს კი, როგორც უცხოელს, განსაკუთრებით. უარის თქმა შეუძლებელი იყო, შეურაცხყოფად იღებდნენ, საქართველო აგონდებოდა და უარს არ ამბობდა.

ტბილად და ნაყოფიერად მიმდინარეობდა ფილიმონის ცხოვრება. იტალიური ენა ზედმიწევნით შეითვისა, მით უმეტეს, რომ სემინარიაში ლათინურ ენას დიდი ყურადღება ექცეოდა. დედაჩემმა, რა თქმა უნდა, ქართული სრულებით არ იცოდა, ფილიმონი რუსულს მაინცაღამაინც არ ეტანებოდა, ასე რომ ჩვენი პატარა ოჯახი ყოველთვის იტალიურად ლაპარაკობდა. საოპერო რეპერტუარი ფილიმონს უკვე დიდი ჰქონდა, მხოლოდ მისი გამოყენება მილანის ოპერაში ძალიან ძნელი იყო: უცხოელს, რაც უნდა კარგი ხმის პატრონი ყოფილიყო, არ შეუშვებდნენ, სცენაზე გამოსვლის რაც უნდა დიდი სურვილი ჰქონოდა.

ერთხელ ფილიმონმა თოჯინების თეატრი მიყიდა მთელი თავისი გარდერობით, დეკორაციებით და ხელსაწყოთი. თოჯინების თეატრი ძალიან მომეწონა და ბავშვურად სხვადასხვა პიესებს ვდგამდი. მიყურებდა, იცინოდა და მითხრა:

— მოდი, მიქელე, ოპერა დავდგათ! დედაშენიც იმღერებს, შენც: და მეც!

ეს წინადადება მომეწონა და შევუდექი სამზადისს. რა ოპერა იყო, არ მახსოვს, მხოლოდ ჩემი ცდა მარცხით დამთავრდა. როდესაც ფილიმონმა ერთ-ერთი თოჯინის პარტიის შესრულების დროს, ხმა ამოიღო და მქუხარედ დასძახა—„მიფ, პაფ!“ (მგონი ჰუგენოტები იყო), ყველაფერი ამერია. შევწუხდი და საყვედურით ვუთხარი:

— როგორ შეიძლება, მამე, ასე ხმამალა ყვირილი! შემაშინე, კიდევ. თოჯინა პატარაა, შენ კი ისე იძახი, ვითომ შენსავეთ დიდი! ნაზად იმღერე...

მაგრამ ნაზად ვერ იმღერა და მეც ჩემი „დასიდან“ დავითხოვე. მიუხედავად ასე კარვად დალაგებული ცხოვრებისა, სამშობლოს ყოველთვის იგონებდა და საქართველოს ამბავს დიდი სიყვარულით და აღფრთოვანებით გვიამბობდა. დედაჩემს ეუბნებოდა:

— წავალთ და ნახავ: შენს ცივ პეტერბურგს არა ჰვავს. ჩვენში-ჰაერიც უკეთესია, ბუნებაც უხვი და ლამაზია, ხალხიც ძალიან, ძალიან კარგია. იტალია ძალიან მომწონს, მაგრამ საქართველო მირჩევნია... ჩემია!...

ეტყობოდა საქართველოში დაბრუნება სწყუროდა.

1881 წელს თბილისში გაემგზავრა, წასვლის წინ გამოგვიცხადა=

— საქმე მაქვს, ძალიან მალე დავბრუნდები!

მართლაც ძალიან მალე დაბრუნდა და გვითხრა:

— აბა, მოვემზადოთ! თბილისში ვიყავი, იქაურ ოპერაში მიმიწვიეს, გზად ოდესაში რამდენიმე სპექტაკლში მონაწილეობას მივიღებ და იქიდან საქართველოში!

ფილიმონს ეტყობოდა, რომ ძალიან გახარებული იყო. დედაჩემსაც და მეც გვანტერესებდა ახალი ქვეყნების ნახვა.

ოდესაში თეატრში წამიყვანეს. ეს ჩემთვის პირველი შემთხვევა იყო. მიდიოდა „ივან სუსანინი“. მე და დედაჩემი ლოჯიაში ვიყავით, სცენასთან ახლო. ოპერამ არ დამაინტერესა, მაგრამ, როდესაც ბოლო მოქმედებაში პოლონელები სუსანიანს ჰკლავდნენ, იმდენად შეეწუხდი, რომ ყვირილი დავიწყე:

— ნუ ჰკლავთ! მამა ჩემია!

მამშვიდებდნენ—თეატრიაო და თეატრში ხალხს ნამდვილად არ ჰკლავენო. არ დავიჯერე. დავინახე, რომ მამა მოჰკლეს, არც მაშინ დავიჯერე, როდესაც ფილიმონი თავის დასაკვრელად გამოვიდა. სანამ კულისებში არ წამიყვანეს, სანამ ჩემი ხელით მთელი ტანი არ გავუსინჯე და სტატისტი—პოლონელებს მუშტით არ დავემუჭრე, ვერ დავმშვიდდი. ფილიმონმა ბევრი იცინა და მითხრა:

— ყოჩაღ ბიჭიკო! კარგი დამცველი ყოფილხარ!

წარმოდგენის შემდეგ შინ მივედიოდი და გზად დრამის თეატრს ვაგუარეთ. იქ გასტროლები ჰქონდა განთქმულ არტისტ ქალს სარა ბერნარს. სარა ბერნარი ებრაელი იყო. ოდესის ებრაელი მოსახლეობა ორ ბანაკად გაიყო. ერთი მხრით.—დიდი ნიჭის დამფასებელი და თაყვანისცემელი ახალგაზრდობა, მეორეთი—ძველი ადათების მომხრე, მართლმორწმუნე ებრაელობა, რომელიც ებრაელი ქალის სცენაზე გამოსვლის წინააღმდეგი იყო. ამ ძველმა ებრაელობამ დემონსტრაცია მოახდინა: როდესაც სარა ბერნარი წარმოდგენის შემდეგ თეატრიდან გამოვიდა და კარეტაში ჩაჯდომას აპირებდა, გაისმა სტვენა, ყვირილი, გინება. როდესაც ბერნარი უკვე კარეტაში იჯდა, ქვების სროლა დაუწყეს. ერთი ქვა კარეტის შუშას მოხვდა და დაამსხვრია.

უცებ ფილიმონმა მიგვატოვა და ხალხში შეიჭრა. დაუინახე, რომ ხელებს იქნევდა, ვილაცას ჯოხი მოუქნია და იტალიურ ენაზე ყვიროდა:



— ველურებო, მხეცებო!

დედაჩემი ფილიმონს მივარდა, ეზლაუქებოდა, ამშვიდებდა, მაგრამ ამაოდ. მხოლოდ პოლიციელების ჩარევამ შეაჩერა ეს ამბავი. მე მარტო დავრჩი მოშორებით და უფრო ნაწყენი ვიყავი, ვიდრე შეშინებული. მეწყინა, რომ მარტო დამტოვეს, დამივიწყეს. სახლში მოსვლამდე და შინაც ფილიმონი ღელავდა და დედაჩემს ეღებოდა.

ასეთი ცხარე და ფიცხი მამა არასოდეს არ მინახავს. მისი ხასიათის ეს, ჩემთვის ახალი, მხარე გონებაში ისე ძლიერად ჩამებეჭდა, რომ კიდევ დიდხანს მეშინოდა ჩემი სიცელქითარ გამებრაზებინა.

კარგი ხნის შემდეგ მიაშვეს (ანეგდოტსაც ჰგავს), რომ სარა ბერნარმა ეტლში მოხვედრილი ქვა აიღო და ოქროს სალტეში ჩასვა წარწერით: „მწარე საჩუქარი ჩემი ძვირფასი თანამემამულეებისაგან“.

ოდესიდან პირლაპირ თბილისისკენ გავემგზავრეთ. საქართველოს სამხედრო გზაზე ფილიმონს სულ უფრო და უფრო ეტყობოდა აღუღებება. ეტლს ხშირად აჩერებდა და გვეუბნებოდა:

— ხედავთ, რა ქვეყანაა, რა მთებია, რა პაერია!

ერთ წყაროსთან შეჩერდა, წყალი დაგვაღევიანა, თუმცა იმ დროს წყაროს წყლის დაღევას მეეტლესთან კოფოზე ჯდომა მერჩია. თვითონ ფილიმონი კი წყაროს ღარს დაეწაფა და იმდენხანს სვამდა, რომ გამიკვირდა და ვკითხე:

— ამდენი წყალი არ გაწყენს?

— შენ რა იცი... მომიხდება კიდევ! თბილისში მდინარის წყალს სვამენ, ეს კი მთის წყაროა!

მეორე დღეს უკვე თბილისში ვიყავით.

## თბილისში ცხოვრების პირველი წლები

ჩამოსვლისთანავე ჩემმა მშობლებმა მოხერხებული ბინა იშოვეს საოპერო თეატრის ახლოს, ყოფილი ხაზინის პირდაპირ, დღევანდელი ძნელაძის ქუჩის დასაწყისში. ოპერის შენობა „ვოლოვოზნაიას“

ქუჩაზე იყო მოთავსებული. ჩვენი ბინისა და ოპერის შუა „ალექსანდროვის ბაღი“ იყო (ახლა ძნელადიხს). ასე რომ თეატრში მისვლისათვის მხოლოდ ხუთიოდე წუთი იყო საჭირო.

უნდა აღინიშნოს, რომ იმ წლებში თბილისის ოპერა ახალი, რუსული, რთული მუსიკის გაელენას განიცდიდა. ეს იყო რუს კომპოზიტორების გამარჯვების ძლიერი ანარეკლი. თბილისის ოპერაში ხშირად იღვმებოდა „ივან სუსანინი“, „რუსლან და ლუდმილა“ გლინკასი, „როგნედა“, „ასკოდროვა მოგილა“ ვერსტოვსკისა, „დემონი“ რუბინშტეინისა და მრავალი სხვა, ხოლო იტალიური ძველი ოპერები თანდათან ჩრდილში ექცეოდა, მიუხედავად იმისა, რომ თბილისის საზოგადოების დიდი ნაწილი, იმთავითვე დაჩვეული, ისევ იტალიურ ოპერებს ეტანებოდა.

ოპერის დირექტორი იყო პიტოევი, ხოლო მუსიკალური ნაწილის ხელმძღვანელი და დირიჟორი—ტრუფფი, წმინდაწყლის იტალიელი. რამდენადაც ფილიმონისაგან შემდეგ გამიგონია, რეპერტუარის საკითხის ნიადაგზე დირექტორს და დირიჟორს ხშირი შეტაკება ჰქონდათ. პიტოევი ახალ, რუსულ გეზს ატარებდა, ხოლო ტრუფფი—ძველს, იტალიურს.

მუშაობის დაწყებისთანავე დირექციამ ფილიმონს, ხელშეკრულების თანახმად, ახალი პარტიები დაავალა რუსულ ოპერებში. უარის თქმა არ შეიძლებოდა და ფილიმონიც ძალაუვნებურად, თითქმის უხალისოდ შეუდგა ახალი პარტიების შესწავლას. ამბობდა, რომ იტალიური რეპერტუარი დიდი მაქვს, ხოლო რუსული ჩემთვის ძნელი დასაძლევია იქნებაო.

რუსული გამოთქმაც აწუხებდა: იცოდა, რომ ძლიერი ქართული აქცენტით ლაპარაკობდა, ეს კი რუსული ოპერისათვის არაიყო მისაღები.

ასე იყო თუ ისე, ფილიმონი ახალი საოპერო პარტიების შეთვისებას შეუდგა. შევიდოდა დილაობით ცალკე ოთახში, სადაც როიალი ედგა, აკომპანემენტისათვის დედაჩემს წაიყვანდა და იქ ნახევარი ხმით ლილინებდა. კარგად მახსოვს, რომ ძალიან ხშირად მისი გაანჩხლებული ხმა მესმოდა, დედაჩემს რაღაცას ედავებოდა. მის მხიარულ და ხალისიან ხმას და ლაპარაკს ისე ვიყავი დაჩვე-

ული, რომ ყოველთვის მოუთმენლად ვუცდიდი იმ წუთებს, როდესაც თავისუფალი იყო და ჩემთან ბაასი ან გასეირნება შეეძლო. ახლა კი ვღელავდი და მეშინოდა, ვაი თუ ცუდ გუნებაზე იყოს და გამიჯავრდეს. გაჯავრების საბაბს არ ვაძლევდი, მაგრამ მაინც მეშინოდა.

რა ოპერებში და როგორი წარმატებით გამოდიოდა ფილიმონა თბილისის ოპერაში, მე, რა თქმა უნდა, არ ვიცოდი, მაგრამ შემდგომი მისი ნაამბობიდან ვიცი, რომ ძალიან უკმაყოფილო იყო, რომ პრესა ძლიერ გულგრილად შეხვდა მის ახალ მუშაობას. რეცენზიები ფილიმონს ხან სულ არ ახსენებდნენ, ხან უარყოფითად, თითქმის უმტრულად ახასიათებდნენ. და ერთხელ ფილიმონმა ვითხრა:

— თუ პეტერბურგში „ინოროდეცი“ ვიყავი, ჩემს სამშობლოში „ტუზემეცი“ ვაგხდი.

მაშინდელი რუსული პრესა ორი გაზეთის ხელში იყო: „კავკაზი“ ოფიციალური ორგანო და „ნოვოე ობოზრენიე“ თბილისის სომხების ბურჟუაზიის გაზეთი. ქართულ გაზეთს რეცენზენტი არ ჰყავდა. ასე რომ ფილიმონის დაფასება, როგორც მომღერლისა, მხოლოდ რუსულ გაზეთებში იყო.

მაშინდელ ოპერაში ორკესტრის გუნდის და ტექნიკური შემადგენლობის უმრავლესობა და დირიჟორი იტალიელები იყვნენ. მათ იტალიასთან მუდმივი კავშირი ჰქონდათ მიწერ-მოწერით, ეურნალ-გაზეთების გამოწერით.

ორი ასეთი ჟურნალი შემთხვევით გაზეთ „დროების“ რედაქციაში მოხვდა. ამ ჟურნალებში ფილიმონ ქორიძის დახასიათება იყო როგორც მომღერლის. რა თქმა უნდა, „დროება“ ქართველი ხელოვნანის ამბით დაინტერესდა, ეს დახასიათება გადათარგმნა და დაბეჭდა.

(დროება, 1880. № 50/III. ახალი ამბები).

— ათი-თორმეტი წელიწადი იქნება, რაც ერთი ქართველი გვარად ქორიძე, წავიდა იტალიაში სიმღერის სასწავლებლად, რადგან ზინებული, შესანიშნავი ხმა ჰქონდა. მას აქეთ ამ ყმაწვილი კაცის

ამბავი იშვიათად ისმოდა; მხოლოდ ერთხელ-ორჯერ გავიგონე  
თუ წავიკითხეთ, რომ ქართველი ქორიძე (Corizzi) ამა და ამ ოპე-  
რაში მღერისო.

ახლა ჩვენ ჩაგვივარდა ხელში ერთი იტალიური გაზეთი (cosmo-  
rama Pittorico—მხატვრული მიმოხილვა), რომელშიაც ამ ბატ-  
ფილიპე ქორიძეზედ შემდეგი შენიშვნა არის დაბეჭდილი:

„ჩვენს გაზეთში რამდენჯერმე იყო მოხსენებული ეს ღირ-  
სეული არტისტი. განსაკუთრებით იმ დროს, როდესაც ის  
ასრულებდა ძნელსა და შესამჩნეველ როლს მეფის ფილიპი-  
სას ოპერაში „ღონ კარლოს“. ჩვენმა ჟურნალებმა და ყველა  
კორესპონდენტებმა ერთ-ხმად აღიარეს ბატ. ქორიძის ნიჭი,  
ჩინებული მანერები და ბეჯითობა ამ დრამატიულ და  
მუსიკალურ როლის შესრულების დროს.

ბატ. ქორიძე ისეთი არტისტია, რომლის მიზიდვასაც  
თეატრის მებატრონეები ახლა, როდესაც ასეთი სიძვირეა  
კარგი ბოხი ხმის მქონე მომღერლებისა, უნდა ცდილობდნენ.  
იმას აქვს ხმა მაღალი, დიდებული და ამასთან ძალა-დაუტა-  
ნებლად ამწევი მაღალი ნოტებისა. მილანის მცხოვრებლებმა  
დააფასეს ეს თვისება ბატ. ქორიძის ხმისა, როდესაც ამ  
ერთი წლის წინად ის მღეროდა „La scaja“-ს თეატრში ოპე-  
რაში „აფრიკელი ქალი“.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ საცა არ უნდა იმღეროს  
ამ ჩინებულ არტისტმა, ყველგან მოიწონებენ, როგორც ჩვენში  
მოსწონთ და ეს მოწონება თან და თან იმატებს, რაც უნდა  
მძიმე როლის შესრულება იკისროს იმან ოპერაში“.

„ღროება“. 1880. № 68—28/III.

— მოგვყავს კიდევ რამდენიმე ადგილი იტალიური სათეატრო  
გაზეთიდან „Frusta teatrale“ (თეატრალური მათრახი) ქართველ  
მომღერალ ფილიპე ქორიძეზედ, რომელიც ამ უმაღლეს იტალიის  
სხვადასხვა ოპერის თეატრებში მღერის:

„არ არის ჩვენში (იტალიაში) ისეთი თეატრი, რომელსაც  
დიდი ამბითა და პატივით არ მიეღოს ჩინებული ბოხი ხმის



ფილიმონ ქორიძე გუდალის როლში. რეზინშტეინის ოპერა  
„დემონი“. თბილისის ოპერის თეატრში 1882-83 წლებში.



პატრონი, ნომლერალი არტისტი ფ. ქორიძე და არც ერთი ჟურნალი, რომელსაც არ ექოს ის. სხვათა შორის, იმან იმ-  
ღერა მილანის „სკალას“ თეატრში, სადაც შარშან მშვე-  
ნივრად შეასრულა მძიმე როლი მეფე ფილიპე II-სა ოპერა  
„დონ კარლოსში“. ქორიძე ისეთი არტისტია, რომელიც  
თავისი ხმის ძლიერებით და გალობის მანერით ყველა უპირ-  
ველეს თეატრებში პატივცემული იქნება“<sup>1</sup>.

ამ წერილებს გაზ. „დროებაში“ არაერთი კომენტარები არ აქვს.  
თბილისის 1882 წლის რეცენზიები კი სულ სხვა რამეს ამბობენ.

მაგალითად:

„კავკაზი“. 23/X—82 წ.

„ბალ-ნასკარადი“.

პროგრამის თანახმად ქორიძე მონაწილეობს, ხოლო რეცენზიაში  
არც ერთი სიტყვა.

25/XI „რუსლან და ლუდმილა“ გლინკასი. რეცენზიაში აღნიშნუ-  
ლია ყველა მონაწილე, ქორიძეზე ნათქვამია მხოლოდ, რომ ის  
ლუდმილას მამაა და თავისი ქალი ხელში აყვანილი გამოჰყავს.

9/XI. „გალკა“ მონიუშკოსი.

„ბ-ნი ქორიძე თამაშობდა როლს, თუმცა არათვალსაჩინოს,  
მაგრამ მასაც ჰქონდა არია. მაგრამ ეს არია საკმაოდ არა-  
დამაკმაყოფილებლად შეასრულა თავისი გულმოდგინე საბო-  
ლოო ყვირილით ჩვეულებრივი ტაშისცემაც არ გამოიწვია“.

„კავკაზი“. 17/X საკვირაო დღიური.

თეატრალური სეზონის საერთო მიმოხილვა.

აქ მხოლოდ ერთი ფრაზაა (მაყურებლის ხმა) გუდალის  
შესახებ (დემონი—რუბინშტეინის): „რა ტიპიურია ქორიძე!“

იტალიური ჟურნალების დახასიათება და თბილისის რუსული  
გაზეთების რეცენზიები რომ შევადაროთ, არ იქნება გასაკვირი,  
რომ ფილიმონი პირველ ხანებში თავშეკავებით იყო, შემდეგ კი  
—ანჩხლობდა. ეს სიანჩხლე მეტის მეტად მაწუხებდა და, თუმცა  
ჯერ პატარა ვიყავი და ფილიმონის ცუდ გუნებაზე ყოფნის საფუძ-  
ველი და წყარო არ ვიცოდი, ხშირად დაფეიქრებულვარ და ჩემს  
თავს ვეკითხებოდი: დავაშავე რამე? და მხოლოდ რამდენიმე წლის

<sup>1</sup> სამწუხაროა, რომ გაზ. „დროებაში“ აღნიშნული არ არის იტალიის რომელ  
ქალაქებში იცემოდა ეს ჟურნალები. „დროებაში“ წერილების სტილი დაცულია.

შემდეგ დედაჩემისაგან გავიგე, რა აწუხებდა ფილიმონს, მის მხიარულ ხასიათს რა ჩრდილავდა.

იტალიური ყურნალების „დროებაში“ მოთავსებულ წერილებს იმ თავითვე გაეცნო და იცოდა, რომ რუსი რეცენზენტები ქართულ გაზეთებს არ წაიკითხავდნენ, მიუხედავად ამისა, უკვირდა, რომ, თუ იტალიამ, მუსიკის და სიმღერის მსოფლიო მსაჯულმა, მისი ოსტატობა აღიარა და შეაქო, აქაური რუსული პრესა უარყოფით რატომ ექცევა?

— თუ დამსწრე საზოგადოება მხურვალე ტაშით მეგებება: ამ გარემოებას რეცენზენტი ანგარიშს რატომ არ უწევს? ალბათ იტალიური სკოლა არ სწამს! აბუჩად მიგდებენ— ხან გაკვირით მესებთან, ხან სულ ჩუმად არიან. არტისტი მეტად მგრძნობიერი არსებობა— იგი, კარგად ასრულებს თავის პარტიას თუ არა, უნდა მოიხსენიოს: ან მაქოს, ან მლანძლოს საბუთიანად. სრული სიჩუმე კი არტისტისთვის შეურაცხყოფაა!

მაგრამ იყო ერთი რეცენზია, რომელმაც ფილიმონის დიდი ყურადღება მიიქცია. ეს იყო „სველიელი დალაქის“ დონ-ბაზილიოს შესრულების გარჩევა, იმ როლის, რომელიც ფილიმონს ძალიან უყვარდა.

1882 წ. 19/X. „სველიელი დალაქი“.

რეცენზია— ფელეტონი.

ამ ფელეტონის ავტორი აღნიშნავს რა, რომ ბ-ნ ქორიძის ხმა ძლიერია, მაგრამ სინაზე აკლია, რომ მისი რუსული გამოთქმა ზოგჯერ ყურს ეხამუშება, ამბობს:

„იტალიურ თეატრებში „დონ-ბაზილიო“ ჩვეულებრივად ჰომეროსულ სიცილს იწვევს, ბ-ნი ქორიძე კი საკმაოდ სასაცილო არ იყო. თუმცა „ცილისწამების არია“ კარგად შეასრულა“.

პირველად ამ ფელეტონის შესახებ ფილიმონმა დედაჩემს უთხრა: — ავტორს უნდა „არც მწვალი დაიწვევს, არც შამფური“ და ვერ ახერხებს!

მრავალი წლის შემდეგ ერთ-ერთ საუბარში სიტყვამ „მოიტანა და დონ-ბაზილიოს შესრულების შესახებ მითხრა:



— ტყუილია, რომ დონ ბაზილიო არაჩვეულებრივ სიცილს უნდა იწვევდეს, ეს არაა მართალი. როსსინის მუსიკა და ზომარშეს მიერ მოცემული პიესა თავისთავად ხალისიანი, ლიმბის გამომწვევი და მხიარული, „სამკურნალო“ ოპერაა, რადგანაც ადამიანი, რაც უნდა ცუდ გუნებაზე იყოს, ამ მუსიკის მოსმენის დროს ძალაუვნებურად კარგ, ხალისიან გუნებაზე დგება. ვიცი, რომ დონ ბაზილიოს ბევრი შემსრულებელი იტალიაშია ც და აქაც სხვადასხვანაირი ყალბი ხერხებით ცდილობენ, როგორმე ქანდაკას ასიამოვნონ: ხან მაგიდის ქვეშ შეძერებიან, ხან პარტნიორს ვითომდა უცაბედად დაეტაკებიან და ძირს ეცემიან, თითქმის ყირამალა დგებიან. ეს ყალბი გემოვნების არტისტებია. როსსინის ოპერას არავითარი დამატებითი ახსნა-განმარტება არ სჭირდება. ვისაც არტისტული ალღო და გემოვნება აქვს, სცენაზე ტაკი-მასხარაობას არ დაიწყებს!

ასე ამბობდა უკვე მოხუცებული ფილიმონი და მისი თვალები ახალგაზრდულად ბრწყინავდა.

თბილისის პრესა მეტად აწუხებდა, მით უმეტეს, რომ რეცენზიები აშკარად ტენდენციური ხასიათისა იყო. ბოლოს და ბოლოს, თბილისის რუსულ ოპერაზე გული აუცრუვდა.

უნდა აღინიშნოს, რომ მაშინდელი იტალიური მომღერლების საოპერო ხელოვნება, მათგ ოსტატობა, სიმღერის მანერა, საოპერო ტრადიციები რუსული მომღერლებისაგან დიდად განსხვავდებოდა.

იტალიელი მომღერალი მისდევდა ეგრეთ წოდებულ „ბელ კანტოს“ რომანტიკულ-პირობით, მაგრამ ლამაზ პოზას და შესტს. იტალიელ მომღერალს, მით უმეტეს სიმღერის „მანესტროებს“ ეფექტი უყვარდათ. რომელიმე არიის დაბოლოების დროს სცენის სიღრმეში მიდიოდა, საბოლოო ფრაზას იქ იწყებდა და იქიდან ბოლო ნოტი ერთი სუნთქვით, დინჯად რამპასთან „მიჰქონდა“ და არიას ასე ათავებდა. ამის ჯილდოდ მქუხარე ტაშს იღებდა. ეს ერთნაირი ტრადიცია იყო.

რუსი მომღერალი—პირიქით: სიმღერის, პოზის და საერთოდ თამაშის უბრალო, რეალურ მანერას მისდევდა.

ეს ორი მიმართულება ერთი-მეორის მოწინააღმდეგე ბანაკი იყო. იერიში და გამარჯვება რუსულ ბანაკს ჰქონდა.

გასაკვირი არ არის, რომ რუსულ ოპერაზე ფილიმონის გულის აცრუება თანდათან ძლიერდებოდა. მასში ერთიმეორეში გადახლართული ორი გრძნობა იყო: ერთი მხრივ—იცოდა, რომ უკვე სახელგანთქმული ხელოვანი—მომღერალია, საქართველოს სიამაყე, როგორც ეუბნებოდნენ ქართველი მეგობრები და თეატრის მრავალრიცხოვანი აუდიტორია, მეორე მხრივ—ნამდვილი ქართველი იყო, რომელიც მიუხედავად უცხოეთში დიდი სახელის მოხვეჭისა, ყოველთვის სამშობლოსკენ მოისწრაფოდა. ასე რომ დიდ რყევაში იყო: ზოგჯერ ისევე იტალია მონატრებოდა ხოლმე, ამავე დროს სამშობლოს მეორედ დატოვება არ უნდოდა. და სწორედ ამ მერყეობის დროს, საქართველოს საზოგადოებრივმა სინამდვილემ ახალი გზა უკარნახა.

### ქართული სიმღერა-გალობლის ჩაწერის დაწყება

ფილიმონის თითქმის ჩამოსვლისთანავე ქართველი ინტელიგენციის საუკეთესო წარწომადგენლები მას დიდი სიხარულით მიეგებნენ. უცხოეთიდან მშვიდობით ჩამოსვლას და დიდი სახელის მოხვეჭას ულოცავდნენ, ხაზს უსვამდნენ, რომ ფილიმონმა თავისი ნიჭით პირველმა გააცნო ევროპას ქართველი ხელოვანი. საქართველოში დიდ წარმატებას უსურვებდნენ და ამბობდნენ, რომ ის ხელოვნებაში საქართველოს ფალავანია.

ამ ახალ ნაცნობებიდან პირველ ხანებში მახსოვს ახალგაზრდა მხატვარი გაბაშვილი. ხატვა ძალიან მიყვარდა და ყოველთვის ვაწუხებდი, რომ ჩემთვის რამე დაეხატნა. უარს არ მეუბნებოდა და მე დიდი გაკვირვებით ვხედავდი, რომელსაც ის ფანქრის რამდენიმე მოსმით ხან ფილიმონის ფიგურას, ხან მთელ რიგ ბანიან სახლებს მოხაზავდა. შემდეგ მან ზეთის ფერადებით ფილიმონი დახატა „გუდალის“ როლში რუბინშტიინის ოპერა „დემონიდან“-ის პორტრეტი ამ რამდენიმე წლის წინათ მოთავსებული იყო გაბაშვილის შემოქმედების გამოფენაზე.

მეორე, ვინც კიდევ უფრო დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე, აკაკი წერეთელი იყო, რომელიც მოკლე ხანში ჩვენი ხშირი სტუ-

შარი გახდა. კარგად მახსოვს მისი მხიარული ხმა და კილო, მისი ცოცხალი სახე. ალბათ ბავშვები უყვარდა, რადგანაც ხშირად მებაასებოდა, მეხუმრებოდა.

არ შემძლია არ მოვიგონო ერთი მომენტი, რომელიც ძალიან კარგად მახსოვს და მაშინდელ მხიარულ აკაკის ახასიათებს.

ერთხელ ფილიმონმა ჩემი ოთახიდან გამომიყვანა და გამაცნო:

— აგერ, ბ-ნო აკაკი, ჩემი პატარა ვაჟი, მიხეილი!

წინ წაიწიე, როგორც წესი მოითხოვდა, ქუსლები დაევაკუნე და გავჩერდი. ვიცოდი, რომ სანამ უფროსი ხელს არ გაგიწვდის, შე თვითონ არ უნდა გაეუწოდო.

— გამარჯვება, ყმაწვილო კაცო!

ხელი გამომიწოდა და მაგრა ჩამომართვა, როგორც ტოლს. გუნებაში გამეცინა: სადაური ყმაწვილი კაცი ვარ, ვიფიქრე, ძლიერ რვა წლისა ვარ. შევხედე —მოპლიმარე სახე და თვალებიც, ხშირი ხუჭუჭა თმა, ლამაზი მრგვალი წვერი. მომეწონა. ხელში წიგნი მეჭირა.

— ეს რა წიგნია?

— მაინ რიდი! დაკარგული და! —იმ დროს კითხვა კარგად ვიცოდი და ბევრს ვკითხულობდი.

— ოო, მაინ რიდი? მამეგობრები ვყოფილვართ. მაინ რიდი მეც ძალიან მოეწონს, მაგრამ დიდი ხანია არ წამიკითხავს. სხვარა წავიკითხავს?

— პუშკინი... „რუსლან და ლუდმილა!“ —და, მისი კილოთი გათამამებულმა, მეტიჩრულად ზეპირად წაუყუითხე ამ პოემის შესავალი.

— ყოჩაღ, ყოჩაღ! ლამაზი ლექსები გცოდნია! აი, როდესაც ქართული გეცოდინება, ბევრ კარგ ლექსს წაიკითხავ.

— განა ბევრია ქართული ლექსები?

— ძალიან ბევრია და ძალიან კარგიც!

— მაშ, ქართულს ძალიან მალე ვისწავლი, ლექსები მიყვარს...

— აგრე, ჩემო პატარა მეგობარო, კარგს იზამ!.. აბა, საიდუმლოდ გეტყვი... —უფროსებს გადახედა და თვალები ეშმაკურად უღიმოდა:

— მეც... ხანდახან... ლექსებს ვწერ... ჩემი ლექსები პუშკინის ლექსებივით ლამაზი არ არის, მაგრამ... ზოგი ჩემი მეგობარი წემს ლექსებს მოთმინებით კითხულობს.

მის სიტყვებში ჩაქსოვილი ხუმრობა შემდეგ გაეგმა, როდესაც წამოვიზარდე.

— აბა, მიქელე, გაიგონე და კარგად დაიხსომე!—მითხრა ფილი- მონმა:—ეს არის ჩვენი ცნობილი, საყვარელი პოეტი, აკაკი წერეთელი! ახლა კი წადი, შენს საქმეს მიხედე და სტუმარს ნულარ აწუხებ!

— ნახვამდი, ჩემო პატარა მეგობარო; მალე კიდევ მოვალ და მაშინ ბევრ რასმეზე ვილაპარაკებთ!—და ხელი ისევ მაგრად ჩამომართვა.

ასეთია ჩემს ხსოვნაში მაშინდელი აკაკი. შემდეგშიაც, როდესაც ქართულ თეატრში ვმუშაობდი, ხშირად ვხვდებოდი და მისი მხნე და მხიარული ბუნება, მგონი, ისეთივე დარჩა, როგორც ჩემი ბავშვობის დროს იყო.

1880 წელს თბილისის ოპერის სამსახურში გუნდის წევრად (და „კომპრიმარიოდ“<sup>1</sup>) შევიდა ახალგაზრდა მომღერალი, ბარიტონი მელიტონ ბალანჩივაძე, რომელმაც სწორედ მაშინ საოსტატო სასწავლებლის კურსი დაამთავრა. მან ახალგაზრდებისაგან გუნდი შეადგინა და ამ გუნდით დროგამოშვებით გამოდიოდა „არწრუნის“ თეატრის სცენაზე. პროგრამაში შედიოდა უფრო იმერულ-გურულ-მეგრული კილოს სიმღერები, რომლებსაც მელიტონი საფუძვლიანად გაეცნო ქუთაისში. თავისი მამის, ქართული სიმღერის დიდად მოყვარულ მღვდელ ანტონის სახლში. თვით მელიტონის და გიორგი ბოკერიას<sup>2</sup> ნაამბობით, ანტონ ბალანჩივაძემ მოიწვია ცნობილი, ეგრეთ წოდებული „სრული“ მგალობელი რომანოზ გრიგოლის-ძე დუმბაძე. ის დადიოდა დაბა-დაბა, სოფელ-სოფელ და მსურველებს ძველ გალობას ასწავლიდა. როდესაც დუმბაძე ბალანჩივაძის სახლში დროებით დაბინავდა, მელიტონი ამ ძველ გალობას და საერო სიმღერებს უსმენდა და ეჩვენდა. ასე რომ თბილისში ჩამოსვლისას მელიტონს ქართული სიმღერა-გალობის საკმაო მარაგი ჰქონდა და თავის გუნდს ზეპირი წესით ასწავლიდა.

<sup>1</sup> „კომპრიმარიოდ“—რეპლიკების და სულ უმნიშვნელო, პატარა როლების შემსრულებელი.

<sup>2</sup> გიორგი ბოკერია—წარსული საუკუნის მეორე ნახევრის საზოგადო მოღვაწე-მასწავლებელი, ქართული სიმღერა-გალობის კარგად მცოდნე.

მელიტონი ფილიპონის ნათესავი იყო<sup>1</sup> და ფილიპონის თბილისში ჩამოსვლისთანავე მასთან მივიდა, დაუახლოვდა. მას შემდეგ ჩვენთან ხშირად დადიოდა და ფილიპონის მიერ ქართული გალობა-სიმღერების აღდგენის საქმეში მისი უახლოესი თანამშრომელი გახდა.

როდესაც ფილიპონმა ქართული ზეპირი მუსიკის ნოტებზე გადალება განიზრახა, ამ საკითხით დაინტერესებულნი ჩვენთან გიორგი წერეთელი, დიმიტრი ყიფიანი და ალექსანდრე ყაზბეგი დადიოდნენ. ყაზბეგთან გაცნობა ორიგინალურად მოხდა: ერთხელ აკაკიმ ფილიპონს მოუტანა გაზეთ „დროების“ ნომრები და უთხრა:

— ყაზბეგის მოთხრობაა „ელგუჯა“, საინტერესოა. წაიკითხე.

ფილიპონი კითხვას შეუდგა და ამ მოთხრობამ იმდენად გაიტაცა, რომ ორიოდღეჯერ რეპეტიციაზე დააგვიანა და საერთოდ, კითხვის დროს, თითქოს ამ ქვეყნად არ იყო. დედაჩემმა ჰკითხა:

— ისეთი გატაცებით რას კითხულობ?

— ძალიან საინტერესო მოთხრობაა. დამაცა, გავათაყებ და შინაარსს გვიამბო.

მე იმ დროს „მაინ-რიდი“ ყველაზე უკეთესი მწერალი მეგონა და მოუთმენლად ვკითხე:

— მაინ-რიდს სჯობია?

— სულელი ხარ, მიქელე! სად შენი „მაინ-რიდი“, სად ამ მოთხრობის დამწერი!

კითხვა გაათავა თუ არა, შინაარსი გვიამბო. თუმცა ფილიპონის გადმოცემა, ალბათ, ავტორის ფერადებს მოკლებული იყო, გმირების თავგადასავალი მაინც იმდენად წარმტაცი იყო, რომ სულგანაბული ვისმენდი: მე ხომ, პატარა მსმენელს, მხოლოდ თავგადასავალი მაინტერესებდა.

დედაჩემი დიდხანს ჩუმად იყო, მერე ჰკითხა ფილიპონს:

— ვინ არის ამ შესანიშნავი მოთხრობის ავტორი?

— მწვემისი!..—ლიმილით უპასუხა ფილიპონმა.

— შენ, ფილიპონ, ყოველთვის მეხუმრები, მე კი!..

— ნუ აჩქარდები! გავიგე, რომ მალე გავვეცნობა და მაშინ გაიგებ.

<sup>1</sup> მელიტონის ბაბუას ცოლად ქორიძის ქალი ჰყავდა.

მართლაც, უაზბეგი მელიტონთან ერთად მოვიდა. ფილიმონმა დედაჩემი გააცნო.

— ეს ჩემი მეუღლე გახლავთ, ჩემი ვულითადი მეგობარი. როდესაც ხუმრობით ვუთხარი, რომ „ელგუჯას“ ავტორი მწყემსია, გაიოცა! — უაზბეგმა გაიღიმა, ხელი ჩამოართვა და თქვა:

— გასაოცარი არაფერია, ქალბატონო...

ამ საგანზე მეტი არაფერი არ უთქვამს და ფილიმონს ქართული მუსიკის შესახებ დაუწყო ბაასი. მე კი ვუყურებდი და მწყემსობის ნიშნებს ვეძებდი, მაგრამ საამისო ვერაფერი ვერ დავინახე.

მწყემსის კომპალი მიანიც ჰქონდეს, ვფიქრობდი, და ძალიან მიკვირდა.

იმავე ხანებში გაგვეცნო საშუალო ინტელიგენციის რამდენიმე პირი. ისინი საერთოდ, მწერლებსავეთ ცნობილი არ იყვნენ, მაგრამ ფილიმონის მომავალ მოღვაწეობაში დიდი როლი ითამაშეს.

ილია კიკნაველიძე, სინოდალური კანტორის მდივანი, კარგი მომღერალი — ბანი, ქართული მუსიკის მცოდნე.

საშა ბერიძე, ტენორი, სასოფლო-სამეურნეო ბანკის მოხელე.

ესენი შემდეგში მელიტონ ბალანჩივაძესთან ერთად ფილიმონის მიერ მოწყობილ კონცერტებში თბილისსა, ქუთაისსა და იმერეთის დაბა-სოფლებში მონაწილეობას იღებდნენ.

მოდით დავხატო ქართული ძველთა-ძველი კილოების მცოდნე „სრული მგალობლები“: ნესტორ კონტრიძე, მელქისედექ ნაკაშიძე, ივლიანე წერეთელი და სხვები.

ამ ხალხში ფილიმონმა ქართული გალობა-სიმღერის აღორძინების საკითხში დიდი თანაგრძნობა და მტკიცე დასაყრდენი ჰპოვა.

გარდა ამისა ფილიმონს ქართულ სუფრაზე ხშირად იწვევდნენ. იქ ყოველთვის ისმოდა გუნდური სიმღერები და ძველებური რომანსები თარის თანხლებით. ფილიმონი ბანს აძლევდა, მაგრამ ხშირად გაჩუმდებოდა, გუნდს მოეცლებოდა. როდესაც შეეკითხებოდნენ — რატომ გაგვიჩუმდი ფილიმონ? — დაფიქრდებოდა და იტყოდა: — ამ სიმღერას ვეღარ ვცნობ... წინათ ამ სიმღერას სხვა-ნაირად ამბობდნენ. ახლა სრულებით შეცვლილია, დამახინჯებულია, თავისი ელფერი დაჰკარგვია.

— შე დალოცვილო, ადამიანი იცვლება, სიმღერაც შეიცვლება... — უპასუხებდნენ ფილიმონს.

— ძველებური სჯობია! აი, ამ სიმღერაში, ბავშვობიდანვე მახ-  
ზავს, დამწყებს მაღალბანი მიჰყვება და ბანი შემდეგ აგვირგვინებს.  
ახლა კი გამოდის, რომ სამივე ხმა დამწყებია. აბა, პირველი-  
დაიწყე... ახლა შენ, მაღალბანო, მელიტონ, კრინს გადაები... აგ-  
რე... ახლა მე შევალ, გვირგვინად გადავეფარები!.. ხედავთ? ახლა  
სულ სხვაა, კილოც შეეცვალა, სიძლიერეც მოემატა! ასე არ არის?

ზოგი ეთანხმებოდა—ახლა კარგიაო, მაგრამ თან უმატებდნენ:

— ეს ძველი წესი აღარავის არ გვახსოვს, დავიწყებულია და  
სად ვდიოთ?

ფილიმონს კი ძველი სიმღერების სისწორე ხშირად აფიქრებდა  
და თავის აზრს მელიტონს გაუზიარებდა ხოლმე.

ძველთა-ძველ ეკლესიებში დადიოდა და იქაც მის ყურს საეკ-  
ლესიო გალობის ცვლილებანი ეხამუშებოდა.

მელიტონის ნაამბობიდან ჩანს, რომ სწორედ იმ დროს ჩაესახა  
ფილიმონს ქართული სიმღერა-გალობის სწორი კილოების ჩაწე-  
რა-შენახვის სურვილი.

იმავე გიორგი ბოკერიას ცნობით, რასაც თვით ფილიმონი და  
მელიტონი ადასტურებენ, ქართული სიმღერის საქმე ასე ყოფილა:

„ოთხმოციან წლებამდე ჩვენში ქართულ სიმღერას და მის  
სწავლა-განვითარებას არავითარი ფასი არ ჰქონდა. აქა-იქ იყვნენ  
დარჩენილნი სოფელ-ქალაქად საერთო და საეკლესიო მუსიკის  
მოყვარულ-მიმდევარნი, რომელთა გარშემო იკრიბებოდნენ ახალ-  
გაზრდები, უფრო დიაკვნები და სამღვდელო პირები, რომელნიც  
ზეპირი წესით ითვისებდნენ და ინახავდნენ ძველთა-ძველ კილოებს:  
ძღუდს პირებს, წირვის წესს, სამგლოვიარო საგალობელთ და სხვა.

საერო-სამოქალაქო და სამხედრო სიმღერებს კი მოსარჩლე და  
გამაერთელებელი არაეინ ჰყავდა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ  
აშულ-მეფანდურეებს და მეთარეებს, რომელნიც მუდამ ქალაქის  
ფარგლებში ტრიალებდნენ. ქართული მუსიკის შემნახველი იყო  
მხოლოდ ქართული სუფრა, ნადით ყანის თოხნა (მამითადი), მკა,  
რთველი და დღესასწაულები (ხატობა)“.

ამავე ცნობის მიხედვით:

„ქ. ქუთაისში იყო ცდა ლოტბარ ანდრია მრეკლიშვილის მიერ.  
ქართული საერო და საეკლესიო ადმინისტრაციამ და სამოსწავლო  
მთავრობამ მას ნება არ დართო. მასწავლებელმა მიხეილ მაქაუა-

რიანმა, არქიელის გუნდის ლოტბარმა, სცადა ქართულ სიმღერათა სანიმუშო კრებულის გამოცემა, მაგრამ ველარ მოახერხა. მის შემდეგ გამოჩნდა ახალგაზრდა მომღერალი, ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის მასწავლებელი ანდრია ბენაშვილი, რომელმაც ნოტებზე გადაიღო ზოგიერთი ქართული სიმღერები, როგორც აღმოსავლური, ისე დასავლეთური და გამოსცა პირველი სანიმუშო კრებული<sup>1</sup>. რამდენიმე წლის შემდეგ, ფილიმონმა, ერთ-ერთი ბაასის დროს, მითხრა:

„რა თქმა უნდა, მე მაშინაც, საქართველოში დაბრუნების პირველ-სავე წელს, ვხედავდი, რა მდგომარეობაშია ჩვენი მუსიკა. მისი ზეპირი წესით შენახვა სახიფათო იყო: ქალაქებში და განსაკუთრებით თბილისში ჩვენი მუსიკა—ძველი რომანსები, სუფრული სიმღერები ევროპული, ე. ი. იტალიურ-რუსული გემოვნების გავლენის ქვეშ მოხვდა და ეს გავლენა თანდათან ძლიერდებოდა. ქართულ ეკლესიასაც შეეხო რუსული სასულიერო მუსიკის გავლენა. სემინარიადამთავრებულ, რუსული სასულიერო მუსიკით აღზრდილ მღვდლებსაც ზოგჯერ, სოფლად სამსახურის დროს, ჩვენს საგალობლებშიაც საამისო ცვლილება შეჰქონდათ. არა ერთხელ მომისმენია ასეთი დამახინჯებული გალობა. ნამდვილი, ხელუხლებელი ქართული სიმღერა-გალობა მხოლოდ მოშორებულ სოფლებში, ძველ მონასტრებში და ძველთა-ძველ ქართულ ოჯახებში ინახებოდა. მაგრამ იქაც ქართული მუსიკა სხვაგვარ ცვლილებას განიცდიდა: ოჯახის უფროსი, ან რომელიმე მოხუცი ბერი, ან სიმღერის კარგად მცოდნე მომღერალი გლეხი ასწავლიდა რომელიმე ძველ კილოს თავის შვილებს და შვილიშვილებს. ესენიც, როცა მოხუცდებოდნენ, უფროსებისაგან გაგონილ სიმღერებს თავის შვილებსა და შვილიშვილებს გადასცემდნენ ხოლმე. მაგრამ ამ ზეპირ გადაცემას ერთი ნაკლი ჰქონდა: თითქმის ყოველი თაობის წამყვან მომღერალს თავისი გემოვნება ჰქონდა და ზოგჯერ სუსტი მუსიკალური მეხსიერებაც. ასე რომ მომღერალ-მასწავლებელს სიმღერის კილოში უნებლიე ცვლილება შეჰქონდა. მაშინდელი ზოგიერთი გუნდიც ზეპირი წესით მღეროდა და ლოტბარებიც თავისებურად ასწავლიდნენ. ზოგმა მოყვარულმა რამოდენიმე კილო ჩაწერა და ვინ იცის, როგორ ჩაწერეს! ამ საქმეს დიდი ცოდნის და ენერჯის პატრონი სჭირდებოდა, მაგრამ მთელი საქართველოს



ყველა კუთხეს ვერ მისწვდებოდა? სწორად ჩაწერას რამდენიმე მსოფლიო ადამიანი უნდოდა, საშვილიშვილო საქმე იყო. მე ამას ვგრძობდი და, რა თქმა უნდა, ვლელავდი. და თუ ბოლოს და ბოლოს ქართული მუსიკის უცვლელად შენახვას შევუდექი, მეტწილად მელიტონის და ჩემი მეგობრების, აკაკის, გიორგი წერეთლის, დიმიტრი ყიფიანის რჩევა-წაქეზებით. მერე... ხომ იცი, შვილო, გავბედე... და ამ გამბედაობის დაფასება მომავალი თაობის საქმეა“...

მართლაც, 1882 წელს ფილიმონი ამ საქმეს შეუდგა. ერთი მხრივ—ოპერაში სამსახური საქმავო თავისუფალ დროს არ აძლევდა და მიუხედავად თბილისის პრესის განწყობილებისა, მას, იტალიაშივე დიდების შარავანდელით მოსილს, არ უნდოდა უბრძოლველად დაეტოვებინა ოპერაში სამსახური. მეორეთი—მშობლიური მუსიკის შენახვა-აღორძინების საკითხი ახალისებდა, იტაცებდა. დიდად კულტურული საქმეაო, ამბობდა, და თუ მე დავიწყებ, სხვებიც მოწყვებიანო. ამ საქმეს დიდი გაქანება სჭირდება და კარგად შენახული და დამუშავებული ქართული მუსიკა თავისი ორიგინალობით და სილამაზით ევროპის მუსიკის გვერდით თამამად დადგება. ამ აზრმა გასქრა და 1883 წლის ბოლოს ფილიმონმა თბილისის ოპერას თავი დაანება.

1882 წელს მან მელქისედექ ნაკაშიძესთან და ნესტორ კონტრიძესთან ერთად ძველი საეკლესიო კილოების ჩაწერა დაიწყო. ფილიმონი ამტკიცებდა, რომ ქართულ საგალობლებში ისეთი რთული და ძლიერი თემები მოიძებნება, რომ ნიკიერი კომპოზიტორის ხელში სიმფონიის საფუძვლად გახდება.

შემდეგ მან გადაახალისა მელიტონ ბალანჩივაძის მიერ შედგენილი გუნდი, შეიყვანა შიგ ახალი მომღერლები—ილია კიკნაველიძე, საშა ბერიძე და სხვები. კონტრიძე და ნაკაშიძე მრჩეველებად დააყენა და გუნდს ზოგჯერ თვითონაც ხელმძღვანელობდა. გუნდი ღროვამოშვებით საჯაროდ გამოდიოდა და მისი წარმატება ფილიმონს მეტად ამხნეებდა. მის გვერდით ყოველთვის მელიტონი, ძალიან ხშირად აკაკი, ზოგჯერ გიორგი წერეთელი იყვნენ. დედაჩემი პირველ ხანებში თითქოს დაიბნა. ეს ახალი საქმე მისთვის სრულებით უცნობი და უჩვევი იყო: ქართული მუსიკის მისთვის ახალი წყობა, პარმონიზაცია, მოულოდნელი აკორდები და საერთოდ ჩვენი სიმღერების ელფერი, მის, ევროპულ და რუსულ მუსიკას დაჩვეულ ყურს, თითქოს აწუხებდა.

ფილიმონმა ერთხელ ჰკითხა თურმე:

— ზინაიდა, ხედავ, დიდი საქმის გაკეთებას ვაპირებ? რას მეტყვი, დახმარება რითი შეგეძლება?— და პასუხად მიიღო:

— მართალია, ფილიმონ, მაწუხებდა და ახლაც მაწუხებს შენი საოპერო კარიერაზე გულისაცრუება. ეს საქმე გამოსწორდებოდა, მაგრამ ვიცი, რომ აქ საქმე მხოლოდ გულის აცრუებაში არ არის. ვხედავ, რომ შენი განზრახვის ფესვების სათავე შენი სამშობლოს ხმა და ამას წინ როგორ დავუდგები. უკრაინელი ვარ და ჩემი სამშობლო მეც მიყვარს. ამიტომ ცხადია, რითაც შემიძლია, დაგეხმარები, ხელს შეგიწყობ. მე მხოლოდ შენი შეილების დედა ხომ არა ვარ, არამედ ერთგული მეგობარია<sup>1</sup>.

მართლაც ამ ახალ საქმეში ფილიმონს დიდი დახმარება გაუწია: მუსიკალური სმენა, მუსიკალური ალლო დიდი ჰქონდა. ასე რომ სულ მოკლე ხანში ჩვენს მუსიკას ადვილად შეეთვისა. ნოტების წერაში ძალიან კარგი ხელი ჰქონდა. მისი ჩაწერილი და გადაწერილი სიმღერები ძალიან ადვილად იკითხებოდა. რაც შეეხება ფილიმონს, მისი ხელი საკმაოდ ძნელი გასარჩევი იყო. ახლა ფილიმონის ბუნება სრულებით შეიცვალა, ისევე მხნე და ხალისიანი გახდა, ისეთი, როგორიც იტალიაში იყო თავისი დიდი წარმატების დროს. იტალიაშივე შექმნილი მეგობრები, თბილისის ოპერის მომღერლები, თითქოს ეცლებოდნენ: მათთან მეგობრობა წინანდებურად წრფელი იყო, მაგრამ ჩვენთან ხშირად აღარ დადიოდნენ. ზოგი მათგანი საოპერო კარიერის მიტოვებას უსაყვედურებდა და ეუბნებოდა: „ხვალინდელ ქათამს დღევანდელი კვერცხი გერჩიოს“.

ამგვარი სიტყვები ფილიმონს ზოგჯერ დააფიქრებდა, მაგრამ ეს დაფიქრება წუთიერი იყო: ახალი საქმე ყველაფერს ავიწყებდა და როდესაც შემდეგში თბილისის პრესას მოიგონებდა, გულიანად იცინოდა და ამბობდა:

— იცი, მაშინდელ ცივად ან მტრულად განწყობილ პრესას რა უყავი? სამიზნო წაყართვი: ჩემი წასვლის შემდეგ რეცენზენტები ჩემზე ველარაფერს დასწერდნენ, ხახამშრალი დარჩნენ!

ისე გამოდიოდა, თითქო ფილიმონმა მაშინდელ პრესაზე გულუბრყვილოდ, თითქმის ბავშვურად შური იძია.

<sup>1</sup> იმ დროს ჩემს ხსოვნებს შევძინათ ქალი—ჩემი და ვალენტინა.

მაგრამ ასეთი მომენტები იშვიათი იყო, ხალისი სქარბობდა. მთელი დღე ისმოდა სიმღერა, ჩემთვის სრულიად ახალი და უჩვეულო სიმღერა, რომელიც ხან უცებ წყდებოდა, ხან განახლებოდა და გრძელდებოდა. ხან ერთი ხმა ისმოდა მრავალი განმეორებით, ხან სამი ხმა. მე ძალიან მიყვარდა დედაჩემის დავკრა: მაშინ შემოღებულ იყო „ქალწულის ლოცვა“, „მინდვრის მელოდია“ და ამგვარი. ამ მელოდებს სიამოვნებით უკრავდა, ზოგჯერ შუბერტის რომანსებს, ან შოპენის ნოქტიურნებს. ეს რბილი და ტკბილი მუსიკა ზღაპრულ განწყობილებას მგვრიდა. ეს განწყობილება გამიმწარდა მაშინ, როდესაც ჩვენს სახლში სულ სხვა მუსიკა გამეფდა. ცუდ გუნებაზე ვხდებოდი და დედაჩემს შეეჩიოდი: ნაცნობ მუსიკას რა უყავით?

ფილიმონმა ერთხელ მითხრა:

— ცხვირი ნუ ჩამოგიშვია! ჯერ პატარა ხარ და სულელი. გავადრო და ჩვენი მუსიკა ისევე შეგიყვარდება, როგორც მე მიყვარს! ჩვენს ახალ სტუმრებს ვაკვირდებოდი: მოდიოდნენ საერო პირები-ზოგი ვეროპულად ჩაცმული, ზოგი ქართულად—ჩოხებით და ხანჯლებით. მოდიოდნენ სასულიერო პირები: სხვადასხვა ფერის ანაფორები ეცვათ, გულზე ხან ვერცხლის, ხან ოქროს ჯვრები ჰქონდათ. ყველა გრძელწვერიანი, ჩასუქებული ბერები შავი ანაფორებით, თავზე ბარტყულები ეხურათ და ამ ბარტყულებიდან გრძელი, თითქმის კოქებადღე, შავი ქსოვილები ჰქონდათ ჩამოფენილი. ამ ბერებს ძალიან პირქუში გამოხედვა ჰქონდათ. მეშინოდა კიდევ მათი. შემოვიდოდნენ თუ არა, კედელზე რაიმე ხატს ეძებდნენ და რომ ვერ ნახავდნენ, უმიზნოდ პირჯვარს იწერდნენ. შემდეგ ზოგი ვალობას იწყებდა. ცოტა ხნის შემდეგ ამ ვალობას ისე შევეჩვიე, რომ აინუნშიაც არ ვავადებდი. მე ყურადღებას არავინ არ მაქცევდა, ყველა თავისი საქმით იყო გართული. ამით ესარგებლობდი, სადღაც კუთხეში ჩაეჯდებოდი და ცნობისმოყვარეობით ვაკვირდებოდი ამ ჩემთვის ახალს, ნაირ-ნაირ ხალხს. მხოლოდ აკაკი არ მივიწყებდა და ჩემთან მოდიოდა. ერთხელ მკითხა:

— ეს სიმღერა მოგწონს?

გულწრფელად ვუპასუხე:

— არა!

წუთით დაფიქრდა, მომღერლებს დახედა და თქვა:

- მე კი მომწონს...
- რას მღერიან?— შევეკითხე.
- ლოცულობენ!
- ლოცულობენ? განა აქ ეკლესიაა? განა ეს ლოცვებია?
- ეკლესიას ხომ ჰგავს?
- მაშ ხატები სად არის?— გაკვირვებით შევეკითხე.
- ვერა ხედავ, რომ ეს მღვდლები თითონ ხატებსა ჰგვანან?— და გაიცინა.

ვგრძნობდი რომ ხუმრობს, თვალები უცინოდა, მაგრამ მისი ხუმრობა მხოლოდ შემდეგში, ჯვიან გავიგე.

ეს ხალხი თითქმის მთელი დღე ჩვენს სახლში იყო. სადილობის დროს ფილიმონი არ უშვებდა, დედაჩემიც გუდმოდგინედ ეპატოეობდა. პატივის შემდეგ სტუმარი სუფრაზე ჯდებოდა და საჭმელებს დიდი ხალისით შეექცეოდა. ჩემი ყურადღება ერთმა მღვდელმა მიიპყრო. მაღალი ტანის იყო, ჩასუქებული, წითური თმა და წვერულვაში ჰქონდა და ვეებერთელა მუცელი, შუბლი ოფლით დაცვარული. ისე ხმამაღლა ქშინავდა, რომ საერთო ლაპარაკს ჰფარავდა. ჰამის დროს ძლიერად ახრაშუნებდა და იმდენს ჰამდა, რომ გაკვირვებისაგან პირდაღებული ვუცქეროდი.

მელიტონმა ერთხელ ვერ მოითმინა და უთხრა:

— არ გაწყინოს, მამაო!

— არა შეილო, ღვთის მოცემული არ მაწყენს!— და ჰამა გაზარძო.

ბერები ძალიან ცოტას ჰამდნენ: ხორცეულს არ ეკარებოდნენ, მხოლოდ წვანილეულობას და ლობიოს მიირთმევდნენ.

ერთს იმავე მელიტონმა ხორცზე მიუთითა და უთხრა:

— მიირთვი, ბერო! იღუმენს არ ვეტყვი, ნუ გეშინიან!

მაგრამ ამ სიტყვამ არ გასჭრა. მელიტონის გვერდით ვიჯექი და ვკითხე:

— რატომ არ ჰამს?

— მარხულობს, საიქიოში წასვლას აპირებს. ასე არ არის, ბერო?

ბერმა არაფერი არ უპასუხა, მე კი მაშინ არც მარხვა ვიცოდი, არც საიქიოს ამბავი.

სიმღერების ჩაწერის დროს აკაკი ხშირად მიუჯდებოდა მომღერლებს, უსმენდა და ზოგჯერ იტყოდა:

— ეს სიმღერა კარგია, მაგრამ ჩვენს ზემო იმერეთში სხვანაირი კილო გამოიგონია...

— მაინც?

აკაკი სულ ჩუმად, ნახევარი ხმით დაამღერებდა, მელიტონი ალლოს მაშინვე აულებდა:

— საჩხერის კილოა, წერეთლების. ბაბუაჩემისაგან გამოიგონია.

გურულები—კონტრიძე და ნაკაშიძე შეედავებოდნენ. ფილიმონი ბოისმენდა და ამ კილოსაც ჩაწერდა. დედაჩემი შეეკითხებოდა:

— ორივე გადავწერო?

— ორივე, ზინაიდა, ორივე კანონიერია! რომელი აჯობებს, მერე ენახოთ!

ასე და ამგვარად დაიწყო და ძალიან ჩქარი ტემპით ვითარდებოდა ქართული სიმღერა-გალობის ჩაწერა. რამოდენიმე თვის განმავლობაში ძალიან ბევრი სხვადასხვანაირი კილო ჩაიწერა, ასე რომ ერთხელ მელიტონმა ფილიმონს უთხრა:

— ფილიმონ, სული მოგვათქმევინე. რაც დაგროვილია, ახლა გადარჩევა და მოვლა უნდა. ბევრია და...

— სულის მოსათქმელი დრო არა გვაქვს. რაც ჩაწერილია, ეს ერთი მესაედიც არ არის იმისა, რაც საქართველოს სხვადასხვა კუთხეში არსებობს. კონტრიძე და ნაკაშიძე უფრო გურულ გალობა-სიმღერას იცნობენ. სხვებიც არიან, ჩვენი მუსიკის საფუძვლიანად მცოდნენი, ისინიც უნდა გავიცნო, დავიახლოვო. მე კიდეც ერთი რამე მაწუხებს: იმედი მქონდა, რომ ჩვენი მუსიკის მოყვარულნი, ლობაბარები მოვიდოდნენ, მხარში ამომიდგებოდნენ და საქმე კარგად მოეწყობოდა. მარტო მე ვერ გაუფლავებ. მაგრამ ჯერჯერობით არა- |  
ვინ არ მოდის. ჩაწერილი მასალით ორი-სამი კონცერტი უნდა გა- |  
იმართოს. მოისმენენ და ამითი მოყვარულნი და მცოდნენი უნდა მო- |  
ვიზიდოდ. |  
ჯერ არ მოსულან, მაგრამ მოვლენ. ახლა კი სულ მოკლე ხნით დასავლეთ საქართველოს მოვივლი და იქ ახალ რამეს გავეცნობი.

მართლაც, მოიარა სულ მოკლე ხნით, ქვემო იმერეთი, სამეგრელო და გურია. აქ დაუახლოვდა ისეთ კარგ მგალობლებს, როგორიც იყვნენ: ნიკოლოზ შოშიტასძე მეძმარიაშვილი, ნიკოლოზ კანდელაკი, რაქდენ ხუნდაძე, ტარასი ტყეშელაშვილი და დავით ჩხარელის შვილიშვილი ივლიანე შოთაძე. სამეგრელოში (მარტვილი)— დიტო ჭალაგანიძე. გურიაში—ანტონ და დავით ღუმბაძეები. და

ქართული მუსიკის დიდი მცოდნე—დეკანოზი ვასილ ანტონისძე ქუთათელაძე (ხონელი).

ყველანი დიდი აღფრთოვანებით შეხვდნენ ფილიმონის განზრახვას. ზოგი თბილისში ჩამოდიოდა, ზოგთან თვითონ ფილიმონი დადიოდა. ამნაირად საქმე გაფართოვდა და გაღრმავდა.

მელიტონმა ჰკითხა:

— ასლა შენი განზრახვა უზარმაზარი გახდა. აიტან, ფილიმონ?

— თუ არ მომშორდები, მელიტონ, ავიტან. დასავლეთ საქართველოს მასალას ავიტან. იქაურ სიმღერა-გალობას ვიცნობ. რაც შეეხება ქართლ-კახეთს, ამ სიმღერებს ისე კარგად არ ვიცნობ. მათ თავისი მცოდნენი ჰყავთ: პოლიევკტე და ბასილი კარბელაშვილები, მოლოდინაშვილი, აუშევი, მღებრიშვილი, ჩუბინიშვილის ოჯახი და სხვები. ამ საქმეს ისინი კარგად შეასრულებენ. ქუთაისში ყოფნის დროს გავიცანი ქართული მუსიკის მოყვარულნი, ახალგაზრდა ლოტბარები—ანდრია მრეველიშვილი, მიხეილ მაჭავარიანი, ანდრია ბენაშვილი. მუშაობენ, აგროვებენ, წერენ და თუ ისურვებენ და ჩვენს საქმეში ჩვენთან ერთად ჩაებმებიან, ჩვენს ბედს ძალი არ დაჰყვებს!

— დაჰყვებს, ფილიმონ, დაჰყვებს! შენზე ბევრად უფრო ახალგაზრდა ვარ, მაგრამ ვიცი, დაჰყვებს! ძალიან გულუბრყვილო ყოფილხარ! მოვლენ კი? მოგვედღებთან? ყველას თავთავისი მიზანი აქვს, თავთავისი გაგება. ჩემი გუნდის შედგენა პატარა საქმეა, მაგრამ ამ საქმეშიაც დაჰყევვა ნაგემი მაქვს?

— არა, მელიტონ, მოვლენ! არ დაუუჩოქებ, თვითონ მოვლენ.

— კარგი, ფილიმონ, აღდგომა და ხეალო!

ფილიმონი ჩაწერას განაგრძობდა და 1883 წლის ბოლოს და 1884 წლის დასაწყისში იმდენი მასალა დაგროვდა, რომ ამის დაბეჭდვა არა თუ სასურველი გახდა, არამედ აუცილებელიც. ამ საქმეს საგრძნობი თანხები სჭირდებოდა. თბილისში შესაფერი სტამბა, მგონი, ჯერ არ იყო. ფილიმონის აზრით, საჭირო იყო წასალის გაგზავნა ან რუსეთში, ან იტალიაში და ამ საქმეს სანდო და მცოდნე ადამიანი გაჰყოლოდა. თვითონ ფილიმონი ვერ გაჰყვებოდა, ასე ენერგიულად დაწყებულ საქმეს ვერ მიატოვებდა. ისიც არ იყოს, ხარჯების გაწევის საქმეში მოისუსტებდა, მომპირნე არ იყო. ერთ დროს მელიტონის გაგზავნას აპირებდა.

— ისევ შენ წადი, მელიტონ, ამ საქმეს ჩემზე უკეთესად მოახერხებ. როდესაც პირველი და, შესაძლოა, მეორე კრებულიც გა-

მოვა, ფართო საზოგადოება, საეროც და სასულიეროც დაინახეს, რომ ეს საქმე სინამდვილეა და ჩვენს განზრახვას იწამებს. მაშინ...

— ფილიმონ, ამ პირველი კრებულისათვისაც ხომ ნაღდი ფულია საჭირო. მერე ეს ფული სად არის? ხელში გაქვს?

— მაქვს!

მელიტონმა გაკვირვებისაგან თვალები გააქყიტა.

— მაქვს, მელიტონ! ბანკში! შავი ღლისთვის მქონდა შენახული ცოლის მზითვებიდან. „სასულიერო“ ბანკში.

— „სასულიერო“ ბანკი არ გამიგონია.

— „სასულიერო“ მეთქი, ვამბობ, რადგან ამ ბანკში მონასტრები, ეკლესიები და არქივები ინახავენ თანხებს. სასულიერო წოდება მაინცდამაინც არ მიყვარს, ახლა კი გამოდგა. რამოდენიმე ათასია... დასაწყისისთვის საკმარისია!

ამ საუბრის შემდეგ ორი-სამი დღეც არ გასულა, რომ ვაზეთ „კავკაზში“ დაიბეჭდა ოფიციალური ცნობა, რომ „სკოპინ-შუისკის“ ბანკი გაკოტრდა. კლიენტებს არა თუ შეტანილი თანხების ნაწილი, ერთი კაპეიკიც არ მიეცემათ. („კავკაზი“, 1882 წ. 20/X).

ერთ ხანს ფილიმონი გაბრლებულივით იყო, ხმას არ იღებდა. მაგრამ მისმა მხნე ბუნებამ დასძლია, დედაჩემიც ანუგეშებდა:

— ჯერ-ჯერობით სულიერი და ფიზიკური ღონე საკმაოდ გაქვს, დაწყებული საქმე განაგრძე და შემდეგ კეხი მობრუნდება.

ჩაწერის საქმე ცოტა ხნით თითქმის შეჩერდა, მაგრამ მალე განახლდა, და ჩვენს სახლში ქართული სიმღერა-გალობა ისევ გაისმა. ოპერაში სამსახურს განაგრძობდა და საცხოვრებელი მინიმუმი შერჩა. 1883 წელს სამსახურიც მიატოვა და დროგამოშვებით კონცერტებში მონაწილეობდა. 1884 წელში კი ქართული მუსიკის გარშემო წამოიჭრა რამდენიმე რთული საკითხი, რომლებსაც დიდი ფრთხილი მოვლა დასჭირდა.

## ქართული სიმღერა-გალობის ჩაწერის და დაბეჭდვის საკითხი

კრებულების დაბეჭდვას დიდი თანხები სჭირდებოდა.

ქართული მუსიკის აღდგენა-ჩაწერა—ეს უადრესად კულტურული საქმე, ქართველ საზოგადოებას ძალიან აინტერესებდა, მაგრამ მხოლოდ პლატონური ინტერესი საკმაო არ იყო.

სულიერად მდიდარი, მაგრამ ნივთიერად ღარიბი მოწინავე ინტელიგენცია უმწეო აღმოჩნდა. რჩევები კი მრავალნაირი იყო. ვილაცაშვილს წინადადება შეიტანა: მთელი რიგი კონცერტები და წარმოდგენები უნდა გაიმართოს და თანხები დაგროვდებოდა. ოპტიმისტურად და თითქმის რომანტიკულად განწყობილი ფილიპონის ბუნებასაც კი ეს გზა უარყო: კარგად ახსოვდა იტალიაში წასასვლელად მის მიერ მოწყობილი წარმოდგენა.

— მართალია, მე მაშინ სრულიად უცნობი, კერძო პირი ვიყავი და ჩემთვის არავის არ ცხელოდა, დღევანდელი საერო საქმე კი მთელი საქართველოს საზრუნავია, მაგრამ ამ კონცერტებს და წარმოდგენებს იმდენი აუცილებელი ხარჯი მოჰყვება, რომ ბოლოს და ბოლოს აღარაფერი დარჩება. — ამბობდა ფილიპონი.

ერთმა (მგონი ალექსანდრე ბერიძემ) საადგილმამულო ბანკზე მიუთითა. მაგრამ, როდესაც ამ ცდას კერძო გზით ნიადაგი გაუსინჯეს, აღმოჩნდა, რომ ამ ბანკს თავისი უშუალო ამოცანები აქვს: მემამულეების ხელისშეწყობა და მამულების შენახვა, რაც შეეხება სიმღერა-გალობას, ეს ქართული სუფრის ან ქართული ეკლესიის საქმეაო.

დიდი შეცენატებიც არ ჩანდნენ.

ერთხელ ფილიპონი შინ გახარებული მოვიდა და მას ილია კიჟნაველიძე მოჰყვა. დახედნენ მელიტონი და რამოდენიმე მეგობარი.

— შენ რალაც კარგ გუნებაზე მოხვედი, ფილიპონ! კარგი ამბავი მოიტანე? — ჰკითხა მელიტონმა.

— ძალიან კარგი!

— მაინც?

ფული აღმოჩნდა!

— სად, ფილიპონ, რანაირად?

— აგერ ილიამ ეგზარქოსის საბუკოს წევრ ბერებთან წამიყვანა არქიმანდრიტ გრიგოლთან (დადიანთან) და მაკარისთან (ბატატაშვილთან). აუუხსენი, რა საქმე განვიზრახეთ და რა დაბრკოლება გველობება. გაუხარდათ. ამ საქმეზე ბევრი გავგიგონია, სიამოვნებით დაგეხმარებნით და საკირო თანხას მოგიხებრებნით.

და ფილიპონმა კმაყოფილებით შეხედა დამაწრეებს.

— დაიცა, ფილიპონ, არ გამიგონია, რომ ეს, ორი ბერი იმდენად შეძლებულია, რომ... — ჰკვირებოდა მელიტონმა.



— არა, მელიტონ, ეს მათი პირადი თანხები ხომ არ არის. ამიხსნეს: ჩვენს ეკლესიებს და მონასტრებს დიდი ქონება აქვთ და ფულიც. მთელ საქართველოში იმდენი გკლესია და მონასტერია, რომ მილიონი ადვილად მოგროვდებოთ. ზოგი მონასტერი ძალიან ღარიბი ჩანს, ნამდვილად კი ფული შენახული აქვს. მაღავენ, უშინიათ, არ წაართვანო. ასე, მელიტონ!

— მაშ გინდა ყვეს კაკალი გააგდებინო?

— ურწმუნო ხარ, მელიტონ! აგერ, ილიას თანდასწრებით თქვეს. ილია კიკნაველიძე, სინოდალური კანტორის მდივანი, ამ ახალი საქმის ძალიან ერთგული, ფილიმონის სიტყვებს დაემოწმა და თქვა:

— სწორედ ყვეს კაკალი გავარდება. მონასტრები და ეკლესიები ფულს გაიღებენ, თუ სასულიერო მთავრობა ნებას მისცემს. გრიგოლი და მაკარი ეგზარქოსს სათანადო მოხსენებას გაუქეთებენ, მეც დავებმარები და, მგონი, ეგზარქოსი ხელს შეგვიწყობს.

მელიტონი დიდი ყურადღებით ისმენდა, დაფიქრდა და მერე თქვა:

— რა ვქნა, მეტი გზა არა მაქვს, დაუჯერებელი უნდა დავიჯერო. სასულიერო მთავრობისა არაფერი მწამს, გამარუსებელ პოლიტიკას აწარმოებს, მაგრამ ვცადოთ და მერე ვნახოთ!..

აკაკი კი ამბობდა:

— ეგზარქოსი თავის აღებულ გზას არ შეცვლის, მაგრამ ზოგჯერ ქართველი საზოგადოების თვალისასახვევად ლმობიერების წილახს გაიკეთებს ხოლმე... საქმე თქვენ თვითონ განაგრძეთ, მე კი ეგზარქოსთან საქმე არა მაქვს!

ამგვარად საქმე გადავიდა სასულიერო მთავრობის ხელში.

ამავე დროს ფილიმონი. მელიტონთან ერთად ქართული სიმღერა-გალობის ევროპული ნოტებით ჩაწერის შესაძლებლობის და აუცილებლობის ერთგვარ პროპაგანდას ეწეოდა. ელაპარაკებოდა და არწმუნებდა ყველას, ვინც ჩვენს სახლში შემოდის: მღვდლებს, ბერებს, საერო პირებს, რომელნიც ფიქრობდნენ, რომ ქართული მუსიკა ევროპულს, მისთვის უჩვევ და უცხო ნიშნებს—ნოტებს ვერ მიიღებს, ვერ შეითვისებს.

ფილიმონის ნაამბობიდან მახსოვს ამ პროპაგანდასთან დაკავშირებული მოსაუბრის კრიტიკა-პასუხის რამდენიმე მაგალითი:

— შენ, ბატონო, მეუბნები, რომელიმე ქართული საგალობელი ევროპული ან რუსული ასოებით დაიწეროს და შეინახებაო.

— ასოებით კი არა, ნოტებით.—აწყვეტინებს ფილიმონი.

— კეთილი, ბატონო, აგრე იყოს, ნოტებით. მერე, ვთქვათ, ამნაირად, შენებურად ჩაწერილი საგალობელი ჩვენს სოფელში წავიღე. ვინ რას გაიგებს, ვინ წაიკითხავს? მეე? თუ ჩემი მნათე? ვერ გაიგებენ, გვერდზე გადასდებენ და ისევ ძველებურად იგალობებენ. ვიცი, რომ ამ ახალი წესის შესწავლას და გარჩევას დიდი განათლება სჭირდება. ამისათვის არა გეცალიან. ეკლესიას უამისოდაც ბევრი საქმე აქვს. ეკლესია ღმერთის იარაღია და ამ ახალ უჩვეულო საქმისათვის დროს ტყუილად არ დახარჯავს. ნურც შენ დახარჯავ!

მეორე მღვდელს ესაუბრა და ის ამბობდა:

— ავიღოთ და ქართული სიტყვები, მაგალითად, „ბაყაყი“, ან „წვერი“ რუსული ასოებით დავწეროთ. რომ წავიკითხოთ, რა გამოვა?—არც ქართული, არც რუსული. დამახინჯებული იქნება. ჩვენს საგალობლებშიაც, სიმღერებშიაც იგივე ამბავი იქნება.

— არა, თქვენ სიტყვების და ასოების სწორ გამოთქმას ეხებით. მართალი ხართ ეს სიტყვები—ბაყაყი ან წვერი—რუსული ასოებით რომ დაიწეროს, ბაყაყი და ცვერი გამოვა, რადგანაც რუსულ ან-ბანში არც ასო შ, არც შ არსებობს. ასე რომ, ეს სიტყვები დამახინჯდება, მართალი ხართ, არც რუსული იქნება, არც ქართული. მაგრამ მე ან-ბანის ასოებზე არ ვლაპარაკობ, მუსიკაზე გეუბნებით. მუსიკაში, ქართული იქნება, რუსული თუ იტალიური, სიმღერის ყოველ ხმას ერთი, ყველა ხალხისათვის საერთო ნიშანი, ანუ ნოტი აქვს. ეს ნოტები ევროპამ შემოიღო და ამ ევროპული ნოტების საშუალებით ჩაწერილი ქართული კილო არც დამახინჯდება, არც დაიკარგება.

მაგრამ მოსაუბრე თავისას არ იშლიდა.

კიდევ ერთი თითქმის სასაცილო შემთხვევა იყო: პირქუში სახის ბერი ერთხანს უსმენდა ფილიმონს, მერე შეაწყვეტინა და გაჯავრებულმა უთხრა:

— ქართული გალობა ქართულ ეკლესიას თვით უფალმა ღმერთმა. შთააგონა და ჩვენს ეკლესიას მაშინვე შეუწახა!—და პირჯვარი გადაისახა.

— ეს გალობა თუ ჩაიწერება და მით უმეტეს მანქანებზე დაიბეჭდება, დიდ ცოდვას ჩაიდნეთ. ყოვლისშემჯღერებული უფალი განრისხდება და რაც შენახული გვაქვს, იმასაც წაგვართმევს!

და საჩქაროდ წავიდა, პასუხსაც არ დაუცადა.

— საშუალო საუკუნეები ჯერ არ გათავებულა თურმე!.. ნაღვლიანად თქვა ფილიმონმა, მელიტონმა კი ბეკრი იცინა.

არქიმანდრიტებმა თავისი დაპირება შეასრულეს და გეზარქოსს მოხსენება გაუკეთეს. გეზარქოსი პავლე რუსეთის „უწმინდესი სინოდის“, ან უკეთ რომ ვთქვათ, პოპედანოსკის განკარგულებით ბესარაბიიდან საქართველოში იყო გადმოყვანილი და მას ქართული ეკლესიის ბედ-იღბალი ჩააბარეს. მან რუსეთიდან მოიყვანა, გერეთ წოდებული „თეთრი ბერი“, ვინმე ჩუდეკვი და სქეინარიის რექტორად დანიშნა. ორივენი ერთი-მეორეს კარგად იცნობდნენ და ქართული ეკლესიის გამარუსებელ პოლიტიკას მეგობრულად ანხორციელებდნენ.

გეზარქოსმა ბერების მოხსენება გაიკნო, თითქოს ჰოიწონა და საკითხის გადასაწყვეტად დანიშნა კომისია შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარედ—არქიმანდრიტი მაკარი, მოადგილედ—ჩუდეკვი, წევრად—არქიმანდრიტი გრიგოლი, მდივნად—ილია კიკნაველიძე. ამნაირად შედგენილი კომისია არც წვადს დასწავადა, არც შამფურსო,—ამბობდნენ. ფილიმონს მტკიცედ სწამდა კომისიის დადგენილების სასიკეთო შედეგი და დიდი მოუთმენლობით უცდიდა კომისიის სხდომას. ქართველი ინტელიგენციაც ამ სხდომით დიდად დაინტერესებული იყო. დიპლომატიური მოსაზრებით სხდომა ღია იყო და ქართველი საზოგადოების რამდენიმე პირი დაესწრო. მელიტონის ნაამბობიდან ჩანს, რომ, სხვების გარდა, დაესწრნენ და შემდეგ მონაწილეობაც მიიღეს აკაკიმ, გიორგი წერეთელმა და ალექსანდრე ყაზბეგმა.

სხდომის დასაწყისშივე ინიციატივა ჩუდეკვიმ აიღო. მან ჯერ ქართული ეკლესია, ქართველი ერი, საქართველოს შესანიშნავი ბუნება დიდად შეაქო. შემდეგ დასმულ საგანს უშუალოდ შეეხო. მან სთქვა, რომ ეს კეთილგანზრახული და ღვთისაგან კურთხეულ საქმეს დიდი დაბრკოლება აქვს. მცოდნე პირებისაგან ვიციო, რომ ქართული გალობა იმდენად თავისებურია, სხვა ხალხის გალობისაგან იმდენად განსხვავდება, რომ მისი ჩაწერა არსებული რუ-

სული ნოტებით შეუძლებელია. მოგვიხდება ქართული გალობის შესაფერი სამუსიკო ნიშნები გამოვიგონოთ. ამ საქმეს დიდი შრომა, დიდი დრო და დიდი ხარჯიც დასჭირდება. სამწუხაროდ, ქართულ ღარიბ ეკლესიას ასეთი ხარჯი არ შეუძლია გაიღოს.

სხდომას ესწრებოდა მღვდელი აუშევი, ქართული გალობის მცოდნეც და მოყვარულიც. მან მტკიცედ და მოურიდებლად უპასუხა:

— თქვენი აზრი, თითქოს ქართულ მუსიკას რაღაც ახალი, არარსებული სამუსიკო ნიშნები სჭირდება, სრულებით შემცდარია. უკვე ჩაწერილია მრავალი საგალობელი ევროპული ნოტებით. თქვენ ეს ამბავი, ალბათ, ან არ იცით, ან არ გინდათ იცოდეთ. ჩვენ კი ვიცით, დღეს საჭიროა ამ დაწკებული საქმის განგრძობა და ნივთიერად ხელისშეწყობა. თვით ქართული ეკლესია ამას საჭიროებს!

ამ გაბედულმა პასუხმა ჩუღეცკი გააბრაზა და მან კილო შეცვალა, შინაარსით გესლიანი, დამცინავი და ამავე დროს გარეგნულად მეტად ტკბილი კილოთი იმავე საგანს შეეხო, მხოლოდ სხვა მხრივ:

— დაეუშვათ, რომ ქართული გალობა ჩაიწერა, დაიბეჭდა და გავრცელდა...—ამბობდა ჩუღეცკი,—მაგრამ, რას მისცემს ეს ამბავი ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიას, მის სამწყოსს, მრევლს? რას მოისმენს იგი? თქვენი გალობა არაკეთილზმოვანია, ყურს ეხამუშება, ევროპული ყურისთვის ნამდვილი კაკოფონიაა. რატომ არ გინდათ მიიღოთ და შეითვისოთ კეთილზმოვანი, ღვთისაგან ნაკურთხი და დალოცვილი, სლაგური გალობა, რომელიც მთელ დიდ რუსეთში მიღებულია და ევროპაშიაც უდავოდ მოწონებულია. ეს ხომ ქართული ეკლესიისათვის დიდი კულტურული შეძენა იქნება!..

ამ სიტყვებმა დამსწრე საზოგადოებაში დიდი აღელვება გამოიწვია. ბერები, გრიგოლი და მაკარი დაიბნენ და ხმა ვერ ამოიღეს. ფილიმონი გაცხარდა, წინ იწევედა, ხელები უკანკალბდა. მელიტონი მის კალთას ეწეოდა და ამშვიდებდა. მაშინ აკაკი წამოხტა, ჩუღეცკის სიტყვა შეაწყვეტინა და გამოაცხადა:

— თქვენ შეგიძლიათ ჩვენს განზრახვაზე პირდაპირ უარი თქვათ, ეს თქვენი უფლებია. მაგრამ თქვენ ჩვენს წმიდათა წმიდას ტლანქად შეეხეთ, თქვენ ფიჭრობთ, რომ ჩვენ, ქართველები რამდენიმე ხნის შემდეგ, თქვენი ლოცვა-კურთხევით, სლაგებად გადავიქცევით. ეს დიდი შეცდომაა! საქართველოს დიდი ისტორია, მდიდარი

უძველესი კულტურა და ჩვენი საკუთარი წინსვლისთვის გაწაღ-  
დული გზა აქვს. უხვმ ძალას ამ გზის შეცვლა არავეთარ შემთხვე-  
ვაში არ შეუძლია. ასი წლის განმავლობაში ქართველ ერს თავისი  
სახე არ შეზღავნა და შეუცვლელად შეურჩენია. შექმნილია შეი-  
რჩენს. ქართველი ერი თავის შუუდარებელ მუსიკას, რომელშიაც  
თავისი უკვდავი სული აქვს ჩაქსოვილ-ჩაქარგული, უთქვენოდაც  
მოუვლის და განავითარებს, თქვენი დანშარება არ სჭირდება!

აკაკის გიორგი წერეთელი მოჰყვა.

— ჩვენს ხალხს სამღვდულოების და ეკლესიის დახმარება არ სჭარ-  
დება. ის თავის საყვარელ საქმეს თვითონვე მოაგვარებს და დაა-  
გვირგვინებს. იგი ბავშვი არ არის, მალე საკუთარ ფეხზე დადგება  
და არც ტატიტ ტარებას, არც მოწყალებას არავის არ თხოვს.

ამის შემდეგ ალექსანდრე ყაზბეგმა, მოკლედ უარყო რა ჩუდეც-  
კის აზრი და კილო, გამოაცხადა, რომ ყოველივე ამ კომისიაში  
თქმული გაზეთებში იქნება დაბეჭდილი.

ჩუდეცკიმ ბერ მაკარისა და გრიგოლისაგან შეიტყო მათი ვინაობა,  
დაიბნა და თითქოს ბოდიშს იხდიდა, მაგრამ ვერ მოახერხა და  
ბოლოს მოკლედ მოჭრა და კატეგორიულად გამოაცხადა, რომ ქარ-  
თული ეკლესია მეტად ღარიბია, ვერავითარ თანხებს ვერ გაიღებს.  
და ამ სიტყვებით ქართული გალობის საკითხი ამოწურა. ამის შემ-  
დეგ ბერმა მაკარიმ, ჩუდეცკის ქარნახით, კრება დახურა<sup>1</sup>.

მიუხედავად იმ მძიმე შთაბეჭდილებისა, რომელიც საეგზარქო საბ-  
ჭოს სხდომამ მოახდინა ყველაზე, ფილიმონმა იხტიბარი არ გაიტეხა  
და, როდესაც მელიტონმა ხუმრობით უთხრა—ესეც შენი სასული-  
ერო მთავრობაო—გაიღიმა და თქვა:

— მართალია, ამ სხდომის ამბავი ძალიან მეწყინა, მაგრამ ამავე  
დროს წამაქეზა კიდევც!..

— მაინც? ჩემს აზრს დაადგები?—ჰკითხა მელიტონმა.

— დავადგები. შენი აზრი, მგონი, სწორია. გიორგი წერეთლის  
სიტყვებმაც დამაჯერა: ამ საქმეს თვით ხალხი მოაგვარებსო.

— ახლა რას იზამ?

— ახლა ფართო, არაოფიციალური კრება უნდა მოვიწვიოთ:  
მღვდლები, დიაკვნები, მნათეები, ინტელიგენცია. უკვე ჩაწერილ

<sup>1</sup> აქ მოყვანილი სიტყვები არა ერთხელ მაქვს გაგონილი თვით ფილიმონის,  
მელიტონისა და გ. ბოკოიასაგან. ზუსტი შინაარსი დატული მაქვს, ხოლო ცალკე  
თქმების, სიტყვების სტენოგრაფიულ სიზუსტეს, რა თქმა უნდა, ვერ დავიცავდი.

სიმღერა-გალობას მოისმენენ და, იმედი მაქვს, ამ საქმისათვის პრაქტიკულ ნაბიჯებს გადასდგამენ. რაც შეეხება იმ ურწმუნო თომებს, რომლებსაც ეპკვი აქვთ ქართული მუსიკის ევროპული ნოტებით ჩაწერა შეიძლება თუ არა, ვაჩვენებ, თუ როგორ კეთდება ეს საქმე. ნახავენ და დაიჯერებენ.

— შე დალოცვილო, აქამდე სად იყავი?—საყვედურით უთხრა მელიტონმა.

ქართული მუსიკის ჩაწერის და დაბეჭდვის ფართოდ დასმული საკითხი იმ დროს მთელ საქართველოს მოედო და საჯარო ღია კრებამ, სადაც ჩაწერილის შესრულებაც და ახალი ჩაუწერელი საგალობლების ჩაწერის ტექნიკაც იქნებოდა ნაჩვენები, ხალხში დიდი ინტერესი გამოიწვია. კრებას აუარებელი ხალხი დაესწრო: სასულიერო პირები, ინტელიგენცია, მოხელეები.

ჩვენი ბინის დიდი დარბაზი ხალხით გაიჭედა. იდგა მხოლოდ რთილი, მრავალი სკამი და ერთი პატარა მაგიდა. ზედ ნოტების ქაღალდები და ფანქრები ეწყო. ისმოდა ხანგრძლივი, მიყრუებულ გუგუნს. ამ კრების ავტორებს არაჩვეულებრივი საზეიმო და ამავდროულად ნერვიული განწყობილება ჰქონდათ. ფილიმონი ხშირ-ხშირად ხან დარბაზში შედიოდა, ხან მეზობელ ოთახში ბრუნდებოდა. მელიტონს, აკაკის, დედაჩემს რალაცას გაკვირვებულად აკაკიმ ჰკითხა:

— რა მოგივიდა, ფილიმონ? ოპერის პრემიერა ხომ არა გაქვს?

— პრემიერაზე უფრო მნიშვნელოვანი რამეა!—უპასუხა ფილიმონმა, მე, რა თქმა უნდა, ამ საქმის არაფერი გამეგებოდა; მაგრამ ბავშვური ცნობისმოყვარეობით შეპყრობილი, კარები ოდნავად შევიღე და დარბაზში მყოფ ხალხს ვათვალიერებდი, თავიც შევყავი. ფილიმონმა დამინახა და გამიჯავრდა—აქ რა გინდა? შენს ოთახში შედიო! მაგრამ აკაკიმ ხელი მოაკვიდა და შეკიყვანა.

— რას ერჩი, ფილიმონ? არაფერს აშავებს! პირიქით: ამ ამბავს დაინახავს და მომავალში გაიგებს და მოიგონებს!

მიმიყვანა ერთ ბერთან. მალალ-მალალი და ძალზე გამხდარი იყო. სახის გამომეტყველება იმდენად პირქუში ჰქონდა, რომ შემეშინდა და უკან ვიხვედი.

— წმინდაო ბერო, ამ ბავშვს ხომ არ უკბენ? ხელი ჩამოართვი, ფილიმონ ქორიძის შვილია!



ბ-ნი ფილიპონ ქორიძე და მისი ხორაო.





ბერმა ნაძალადევი ღიმილით ხელი გაშომიწოდა, ცივი და ოფლიანი ხელი.

სიჩუმე ჩამოვარდა. ფილიმონი წინ დადგა და ხალხს რაღაც გამოუცხადა, მე კი ამ დროს კუთხეში მივიმალე.

წინ სამი მომღერალი გამოვიდა. ესენი იყვნენ, როგორც შემდეგ ვაგიგე, მელიტონ ბალანჩივაძე, ილია კიკნაველიძე და ალექსანდრე ბერიძე. ხელში ხელნაწერი ნოტები ეჭირათ. ფილიმონმა კამერტონით ტონი მისცა. მომღერლებმა შეასრულეს რამდენიმე საგალობელი და საერო სიმღერა. ამის შემდეგ ფილიმონმა ხალხს გამოუცხადა:

— ეს, თქვენს მიერ მოსმენილი სიმღერა-საგალობლები მხოლოდ ზეპირი წესით ინახებოდა. თანდათან იცვლებოდა, მახინჯდებოდა. ახლა, თქვენთვის ეს კარგად ნაცნობი სიმღერა-საგალობლები, შესწორებულია, ჩაწერილია და საშვილიშვილოდ შეინახება ამ დარბაზში, ალბათ, არიან ჩვენი ქართული სიმღერა-გალობის კარგად მცოდნენი. თქვან, სწორად არის ჩაწერილი თუ არა? აუცილებელია თუ არა ნოტებით ჩაწერის წესით ჩვენი მუსიკის სამუდამოდ შენახვა?

გაისმა ხმები:

— სწორია! კარგი საქმეა! ძალიან საჭირო საქმეა!

სხვა ხმებიც იყო, რომლებიც ამბობდნენ, რომ ეს ახალი ამბავი არ არის. ფილიმონმა უპასუხა, რომ ხალხის დიდ უმეტესობას, სოფლებში, შორეულ, მივარდნილ კუთხეებში, წარმოდგენაც კი არ აქვს, რომ ქართული მუსიკა ევროპული ნიშნებით, ნოტებით სწორად და ზუსტად ჩაიწერება. და თუ ვინმე ისევ ემკვირა, ახლავე გაჩვენებთ ჩაწერის წესსა და ხერხს.

ფილიმონის წინადადებით თვითონ კრებამ თავიანთ შორის გამოიჩყო გალობის და სიმღერის მცოდნე რამდენიმე მომღერალი, ამოირჩიეს ნაკლებად ნაცნობი სიმღერები და იქვე შეასრულეს.

ფილიმონმა რამდენიმეჯერ გაამეორებინა, თან ერთი ხელით თითო ხმას ჩუმად უკრავდა, მეორეთი ნოტის ქალაღზე სწერდა. შემდეგ დედაჩემს გადასცა და მან ახლად ჩაწერილი ძალიან გარკვეულ ხელით გადასწერა.

მაშინ მეზობელ ოთახიდან დაიბარეს სამი მომღერალი, ოპერის გუნდის წევრები, რომელთაც ახალი ნოტების ამოკითხვა კარგად

იცოდნენ და ახლახან ჩაწერილი ნოტები მისცეს. მელიტონმა ცალკე გაიყვანა, რომ ამ ნოტებს წინდაწინვე გაცნობოდნენ და ათიოდე წუთის შემდეგ დარბაზში შემოიყვანა.

ფილიმონმა ტონი მისცა და მომღერლებმა ეს სიმღერები ზუსტად შეასრულეს. მთელი კრება ამ უჩვეულო ცდას დიდი ყურადღებით უსმენდა. როდესაც სიმღერა გათავდა გაისმა ერთგულთა და ხანგრძლივი ტაში. ამ ტაშს დიდი ხმაური მოჰყვა: ყველა თავის შთაბეჭდილებას ერთი-მეორეს უზიარებდა, ყველას სახეზე დიდი კმაყოფილება ეწერა, ფილიმონი წინ წამოდგა.

— პატივცემულნი! ვხედავ რომ აქ, ამ დარბაზში გავონილით და ნანახით კმაყოფილი ხართ. ბევრი თქვენგანი მიმტკიცებდა, რომ ჩვენი ქართული მუსიკა თავისი თავისებური ხასიათით ევროპული ნოტებით ვერ ჩაიწერება, საშვილიშვილოდ არ შეინახება და, მაშასადამე, ან სულ მივიწყებულნი იქნება, ან რუსული მუსიკის გავლენის ქვეშ მოექცევა. არც ერთია კარგი, არც მეორე, ახლა ხომ გჯერათ, რომ ჩვენი გალობა-სიმღერის ზუსტად და სწორად ჩაწერა-შენახვა არც ისეთი ძნელი საქმეა, როგორც ზოგიერთი განათლებული ადამიანი ფიქრობდა. პატივცემულო სამღვდელოებავ! ეს საქმე დაწყებულია, მაგრამ ამ საგალობლების დაბეჭდვას კარგი ფული სჭირდება. ამისათვის ჩვენ სასულიერო მთავრობას მივმართეთ, მაგრამ უარი გვითხრეს— ჩვენი ქართული ეკლესია მეტად ღარიბიაო და ფულს ვერ გაიღებსო. ახლა ამ საქმეს თქვენ მოუარეთ, ნივთიერად ხელი შეუწყვეთ! თქვენი ერთსულოვანი ტაში, ვხედავ, აჰის თავდები იქნება!

ფილიმონის გამოსვლას მაშინვე მელიტონი მოჰყვა.

— ბატონებო! ნუ გეწყინებათ და ჩვენი ქართველი ხალხი ტაშზე ძალიან უხვია, მაგრამ ერთსულოვანი ტაში ტაშითვე თავდება. ამ საქმეს დავეირგვინება სჭირდება. ჩვენი ქართული მუსიკა, საერო იქნება თუ სასულიერო, ჩვენი ერის დიდი სიმდიდრეა, დიდი განძი. ამ განძს დროზე მოუარეთ, თორემ ხელიდან გაგეცლებათ. თითო ეკლესიას, თითო მონასტერს ცოტაოდენი ფული-ჯოველთვის აქვს და კეთილი საქმისათვის ამ ფულის დახარჯვის უფლება ისევ თქვენა გაქვთ. ვერც საეგზარქო საბჭო, ვერც სინოდი ხელს ვერ შეგიშლით! ნურც შეეკითხებით! თქვენი ტაშინამდვილი ნივთიერი ხელისშეწყობით დაავირგვინეთ!

კრების დახურვის შემდეგ ფილიმონთან ჩამდინივე დეკანოზი მივიდა და უთხრეს:

— ხელს აუცილებლად შეგიწყობთ, საშუალება, რა თქმა უნდა, გვაქვს, მხოლოდ ფულის საკითხში სიწესტეა საჭირო. უნდა, თქვენთან ერთად დაწვრილებით გააოვიანგარიშოთ მომავალი ხარჯები, რომ უხერხულ მდგომარეობაში არ ჩავარდეთ არც თქვენ, არც ჩვენ. ამას კი ცოტაოდენი დრო დასჭირდება. არხეინად იყავით, ბატონო ფილიმონ! ამ კრების დამსწრენი აღფრთოვანებით ვგებებიან თქვენს მიერ დაწყებულ საქმეს.

როცა დეკანოზები წავიდნენ, აკაკიმ ღიმილით უთხრა ფილიმონს:

— არ ვიცოდი, რომ ასეთი მჭერმეტყველი ყოფილხართ!

— რასა ბრძანებთ, ბ-ნო აკაკი! მგონი დამცინით!

— არა, მართლა, თქვენმა მოკლე სიტყვამ შთაბეჭდილება მოახდინა.

— საჯაროდ ლაპარაკი სრულიად არ შემიძლია. ალბათ, ხალხური თქმის არ იყოს — „გაპირდება მაჩვენე — გაქცევას გაჩვენებო!“ — შეიფერა აკაკის სიტყვა ფილიმონმა.

მართლაც, ფილიმონი მჭერმეტყველი არასოდეს არ მახსოვს.

— ჩემი მჭერმეტყველება სცენაზეა, სიმღერაში! — ამბობდა ხოლმე.

### მართული მუსიკის ჩაწერის ამბები

ამ კრების ერთსულოვანმა და აღფრთოვანებულმა დადგენილებამ ფილიმონს ფრთები შეასხა და გაორკეცებული ენერჯით განაგრძო დროებით შეჩერებული მუშაობა. ჩვენს სახლში სიმღერა-გალობა დილიდან თითქმის შუალამემდის ისმოდა. დედაჩემი ფილიმონს ხშირად ედავებოდა:

— ფილიმონ, ჭამა-სმის და დასვენების დროც გავიწყდება, სული მოითქვი მაინც!

— არა, ზინაიდა, ეს საქმე ჭამა-სმაზეც და დასვენებაზედაც ბევრად უფრო მნიშვნელოვანია! აი, დღეს თითქმის სამოცი სიმღერა

ჩაეწერე სხვადასხვა ვარიანტებით!—ლიმილით უპასუხებდა ფილი-  
მონი.

მიდი-მოდოდნენ და რცვლებოდნენ მრავალი მომღერალ-გად-  
მომცემები ზოგი ქართლ-კახეთიდან, უმეტესად დასავლეთ საქარ-  
თ-ველოდან, უფრო კი გურიიდან, სადაც, ფილიმონის აზრით, სიმ-  
ღერა-გალობა უფრო რთულია და შინაარსიანია. აგონდებოდა ის  
კილოები, რომელნიც მას ბავშვობისას გაუგონია მამამისის და  
პაპამისისაგან: „ხელხვაი“, „ყანური“, „ნადური“ და რამდენიმე  
სადღესასწაულო-საეკლესიო გალობა.

ნესტორ კონტრიძე, მელქისედექ ნაკაშიძე, ივლიანე წერეთელი,  
რადენ ხუნდაძე, დიტო ჭალაღანიძე და სხვები ჩვენი ხშირი  
სტუმრები იყვნენ. ფილიმონი ხშირად ედავებოდა:

— ნესტორ, ამ „ნადურში“ მოძახილი ძალიან გვიან იწყებს,  
აგვიანებს. ვხედავ, დრომ კილო და ხასიათი შეუტყვალა.

— თუ დამიჯერებ, ფილიმონ, ჩემი გადმოცემა სწორია, მამა-  
ჩემმა მასწავლა!

— მამაშენი, ნესტორ, კარგი მომღერალი იყო, მაგრამ მამა-  
ჩემთან და პაპაჩემთან შედარებით ბავშვია. მე სულ პატარა ვიყა-  
ვი, როდესაც პაპაჩემი, მამაჩემის ბაბუა, თითქმის ოთხმოცი წლის  
იყო და მისგან ეს უძველესი კილო ვამიგონია. მეხსიერება კარგი  
მაქვს და მიზი სიმღერა კარგად მახსოვს. შენ, ნესტორ, ნუ გეწ-  
ყინება და ჩემი შესწორება სწორია. კარგი, იმასაც ჩაეწერ და  
ამასაც. ყოველნაირი უნდა ჩაეწერო. „ნადური“ და „ხელხვაი“  
და სხვა სიმღერაც დასავლეთ საქართველოში სხვადასხვაფერია.  
ამ სიმღერებს იმერეთში სხვანაირად მღერიან, გურიაში კიდევ  
სხვანაირად. მელიტონის ბაბუასგანაც მოძისმენია უძველესი სხვა-  
დასხვა კილო. აგერ დიტოს და მელქისედექს ვკითხოთ, უძველესი  
იმათ იციან.

— კი ბატონო, ფილიმონ, ორნაირიც ჩაეწერე და სამნაირიც.  
უფრო სრული იქნება.—უპასუხებდა კონტრიძე.

ამგვარი გაცხოველებული მუშაობა ნაყოფიერად გრძელდებოდა.  
შხოლოდ ფილიმონს ერთი რამე აკვირვებდა: სად არიან ქართლ-  
კახური სიმღერა-გალობის მცოდნენი? და თუ არიან, ამ ჩემს დაწ-  
კბულ საქმეს რად გაურბიან? აკაკი ანუგემებდა:

— მოვლენ, ფილიმონ, მოვლენ და ამ საქმეში კარგად ჩაებნებინან! ხომ იცი, რომ ეს ხალხი, ცოტა მიძივე ხასიათისაა და... შენ კი შენი საქმე შენებურად განაგრძე!

ფილიმონი მუშაობას განაგრძობდა და თან მოუთმენლად, უცდიდა სამღვდელოების რეალურ, ნივთიერ პასუხს. განსაკუთრებით უცდიდა დეკანოზ დავით ლამბაშიძეს, რომელიც დიდო აღფრთოვანებით შეხვდა ამ ახალ საქმეს. ის სცემდა ყვირილაში (ახლანდელ ზესტაფონში) სასულიერო ჟურნალს—„მწყემსს“, რომელიც საქართველოს ეკლესიის საკითხებს აშუქებდა. იგივე ჟურნალი ისევ დავით ლამბაშიძის რედაქტორობით, იბეჭდებოდა რუსულ ენაზედაც.

თვით დავით ლამბაშიძე განათლებული, კარგი ქართველი და დიდი ენერჯის პატრონი იყო. არა თუ მცირე წოდების სამღვდელოებაზე გავლენა ჰქონდა, არამედ საეკლესიო მთავრობაც ანგარიშს უწყევდა. ჩამოვიდა თუ არა თბილისში, მაშინვე ფილიმონთან მივიდა და ქართული გალობის ჩასაწერი ფულის დაგროვების მდგომარეობა უამბო. აღმოჩნდა, რომ ამ საქმის წინააღმდეგი არცერთი ეკლესია ან მონასტერი არ არის. მხოლოდ ფულების გაღების საკითხი რთულდება: ყველა ერთი მეორეს უყურებს—ვინ რამდენს გაიმეტებს. უცნაური აუქციონი შეიქმნა: ვინ ნაკლებს გადაიხდის. ამიტომ საჭიროა ან განკარგულება, ან ბრძანება, რომლის შედეგად საეკლესიო ყულაბები გაიხსნება და ფული თავს ამოჰყოფს. ქართული სიმღერა-გალობის ჩაწერა-დაბეჭდვის საკითხით ძალიან დაინტერესებულია დასავლეთ საქართველოს ეპარქიის ეპისკოპოსი გაბრიელი. მისი განკარგულებით დაარსდა კომიტეტი, რომელსაც დავალებული აქვს ამ ფრიალ მნიშვნელოვან საქმეს სათანადოდ მოუაროს. ასეთივე კომიტეტი არსდება თურქმე აღმოსავლეთ საქართველოს ეკლესიის ეპარქიასთან ეპისკოპოს ალექსანდრეს თავმჯდომარეობით.

კომიტეტის დაარსება ფილიმონს მაინცდამაინც არ მოეწონა. მან უკვე იცოდა, რომ ქართული სიმღერა-გალობის აღდგენის საკითხი საზოგადოების და პრესის სუბ-ბაასის საგანი გახდა. ისიც იცოდა, რომ საზოგადოებრივი აზრი ორად, თითქმის ორ ბანაკად გაიყო: ერთი ბანაკი ქართლ-კახური გალობა-სიმღერის

მომხრე იყო, მეორე კი—იმერულ-გურულისა. თავისი ეპეები ფილიმონმა დაეთ. ლამაზიძეს გაუზიარა. მან ფილიმონი დააპ-  
შვიდა:

— რა გაწუხებთ, ფილიმონ! სამუშაო ყველას ეყოფა. ქართლ-  
კახურ და იმერულ-გურულ გალობის აღდგენას ერთი კაცი ვერ  
მოერგვა. იმერეთის კომიტეტი, თქვენი ხელმძღვანელობით, ჩვენს  
იმერულ-გურულ გალობას უპატრონებს. ამის თავდებია ჩვენი  
უსამღვდელოესი გაბრიელი. ქართლ-კახურის ჩაწერას კი, გავიგე,  
ეპისკოპოსი ალექსანდრე პირადად კისრულობს, თავისი პირადი  
ხარჯით. ის ჩვენ ხელს არ შეგვიშლის. რაც შეეხება მრავალნაირ  
მითქმა-მოთქმას, ჩვენში სხვანაირად არ ხერხდება: ჩვენს ხალხს  
დაპკა-დაპკა უყვარს. ხმებს ნუ აპყვებით, ეიცო, რომ არც ერევით.  
მუშაობა დამშვიდებით განაგრძეთ, დანარჩენი ჩვენი საქმე იყოს.  
მალე გაბრიელი დაგიბარებთ მოსალაპარაკებლად და ხელშეკ-  
რულების დასადებად. ჩვენი ფალავანი ბრძანდებით და... თქვენ  
იცით!

მარხლატ, ზეპირი მითქმა-მოთქმაც ბევრი იყო, გაზეთ-ჟურნა-  
ლებშიაც (1884 წლის „დროება“ და „მწყემსი“) ერთი-მეორის  
საწინააღმდეგო წერილები იბეჭდებოდა; რომელ გალობას უნდა  
მიეცეს უპირატესობა—ქართლ-კახურს, თუ იმერულ-გურულს? რო-  
მელია უფრო სრული? ვის უნდა მიენდოს ამ საქმის შესრულება?  
და მრავალი სხვა საკითხი.

ეპისკოპოს ალექსანდრეს აბრალებდნენ, თითქოს ის ქართული  
გალობის ნოტებზე გადაღების წინააღმდეგია. ამ ხმებმა ფილიმონი  
ძალიან შეაწუხა. ეპისკოპოსი ალექსანდრე სასულიერო წრეებ-  
ში ვაჟლენიანი პირია და ხელს შეგვიშლისო, ფიქრობდა ფილი-  
მონი. მაგრამ ალექსანდრემ ამ ხმებს პასუხი ვასცა. ჟურნალ  
„მწყემსში“ დაიბეჭდა მისი განმარტება (1884 წ. № 17).

„ა) მე არა თუ წინააღმდეგი არასოდეს არ ვყოფილვარ ქარ-  
თული გალობის ნოტებზე გადაღებისა, არამედ საქართველოს  
ეგზარქოსის ნებადართვით, მე თვითონ ვკისრულობ ქართლური და  
კახური კილოს საეკლესიო გალობის აღდგენას ჩემის ხარჯით, რაც  
კი მოუნდება ამ საქმეს.

ბ) მე არასოდეს არ ვყოფილვარ წინააღმდეგი გურული კილოს  
გალობისა, არამედ ვამბობდი და ვამბობ, რომ გურული კილოს

გალობა კარგია თავის საწმობლოში—გურიაში, ხოლო ქართლში და კახეთში გურული გალობა ეერ ჰოიდგამს ფეხს, როგორც ეს დაამტკიცა გარემოებამ და გვიჩვენა გამოცდილებამ. ვამბობ, რომ გურული კილოს გალობა არ შეიძლება დამყარდეს, გავრცელდეს ქართლ-კახეთში იმისათვის, რომ გურული გალობა, როგორც იმერულიცა, განსხვავდებიან ქართლური გალობისაგან, როგორც კილოთი, ისე ხასიათით.

გ) მე არასოდეს არ ვყოფილვარ ქართული საეკლესიო გალობის აღდგენის კომიტეტის წინააღმდეგი, მაგრამ მე კერძოდ არა მსურს ვიქნე წევრად, ანუ თავმჯდომარედ კომიტეტისა“.

ამ გარემოებამ ფილიმონი დააფიქრა.

— თუ კომიტეტის წევრობა არ სურს, ჩანს კომიტეტის საქმიანობაც არ სწამს. პირადად კისრულობს, თავისი ხარჯით. თუ საამისო ხარჯი შეუძლია, შეძლებული ყოფილა. მაშ აქამდე სად იყო? ან ვის უნდა დაევალოს ამ დიდი საქმის შესრულება?—შეკითხა ფილიმონი მელიტონს.

— ვისა?—უპასუხა მელიტონმა:—შე დალოცვილო, შენ თითქოს კურში ცხოვრობ! არ იცი, რომ, როცა თაფლია, ბუზებიც გაჩნდებიან ხოლმე. ახლა ჩვენი სიმღერა-გალობის ჩაწერა ბევრს მოუწავდა, თუ... კარგ ფასს მისცემენ! შენ კი ფასზე არც ფიქრობ, ვხედავ! მაგრამ ეს შენი პირადი საქმეა.

— ვინ არიან?

— საქმეც იმაშია, ვინ არიან! ცნობილი რუსი კომპოზიტორი იპოლიტ-ივანოვი. მეორე—ცნობილი დირიჟორი ტრუფფი, იტალიელი. მესამე—მომღერალი, ლოტბარი რატილი. ჩეხი! ტრუფი იძახის, რომ ჩემთვის სულერთია, ჩინური სიმღერა იქნება თუ სხვა, ყველაფერს ადვილად ჩავწერ სულ მოკლე ვადაშიო. შენ რა გგონია, სხვებიც გაჩნდებიან და მაშინ უყურე სეირს!..

— ეს საქმე სეირის საყურებლად კი არ დამიწყია, მელიტონ... ნაწყენმა უპასუხა ფილიმონმა და განაგრძო:

— არავის არ ვეჯიბრები, კომიტეტმა, ვისაც უნდა, იმათ მიანდოს საქმე, მაგრამ უბედურება ის არის რომ ეს ხალხი საქართველოს არ იცნობს, მათ სისხლ-ხორცში ქართველის სულისკვეთება არ მეტყველებს, ქართველი დედის ძუძუ არ უწოვიათ, ჩვენს მიწა-წყალზე არ არიან გაზრდილნი... აბა, თუ ქართული მუსიკის

სილამაზეს არ გრძნობენ, რას გააკეთებენ? გააფუჭებენ, დაამახინჯებენ. ეს, ჩვენთვის უცხო ხალხი, ანგარებით არის საესე!

— რა გაღელვებს, ფილიმონ, ჯერ არავისთვის არ ჩაუბარებიათ!..

— სირცხვილი არ არის, მელიტონ, რომ ჩვენს მშობლიურ, დიად საქმეს უცხოელი აკეთებდეს! ჩვენში გაწყდა ხალხი, თუ რა არის!..

— არა, ფილიმონ, არ გამწყდარა, მაგრამ რა ვიცი!.. აგერ, ქუთაისში ანდრია მრეელიშვილმა ქართული სიმღერა-გალობის ნიმუშები ნოტებზე გადაიღო, კონცერტებიც კი გამართა, მაგრამ მერე გაჩუმიდა, აღარა ჩანს, ხმას არ იღებს. ხელი შეუშალა ვინმემ, თუ რა მოუვიდა, არ ვიცი...

— მოსულიყო ის დალოცვილი, ერთი მეორეს დაეუკავშირდებოდათ, საერთო საქმისთვის კარგი იქნებოდა, თორემ იმ გადამთიელებს ხომ არ გადაევიცილები, საქმეს გააფუჭებენ... რაც შეეხება იპოლიტოვ-ივანოვს, კარგი მუსიკოსია, კარგი კომპოზიტორიც, თუმცა ქართველი არ არის სულისკვეთებით. მაგრამ, სულ ერთია, მას ეპისკოპოსი ალექსანდრე წელს უმაგრებს!.. ეს!.. თავი მომაბეზრა ამ ხმების აყოლამ, ძარღვებს მიშლის და მაცდენს. აგერ, დღეს, თითქმის არაფერი არ გამოიკეთებია!..

— ჰო და ნუ გაცდები, ფილიმონ, მანდილოსანი ხომ არა ხარ, რომ ხმებს აჰყვ! ძარღვების მოშლის წინააღმდეგ მალამო ხომ გაქვს—აკაკის ფელეტონი—ჩვენი საქმის მთლიანად ამოპწურავია-გადაიკითხე, ხოლმე და... ნამდვილი მალამოა!

გაზეთ „დროებაში“ მოთავსებული აკაკის ფელეტონი სათაურით — „რამდენიმე სიტყვა ქართული გალობის აღდგენის გამო“, ფილიმონის აზრით ამ საქმისათვის დიდად მნიშვნელოვანი იყო და ამიტომ თითქმის მთლიანად მოგვეყავს, მით უმეტეს, რომ საგანს-ყოველი მხრიდან ეხება<sup>1</sup>. ფელეტონის პირველი დებულება ენის გამოსწორებას და შენახვას ეხება. შემდეგ ფელეტონი ქართულ გალობას ეხება.

„რაც ენის შესახებ ვთქვით, ისევე ითქმის ქართულ გალობაზედაც. თავდაპირველად ბერძნულიდან შემოგვიღია გალობა, მაგრამ ისე კი გაგვიქართულებია, ესე იგი მიგვიცია ისეთი ადგილობრივი კილო და ხასიათი, რომ დედანს აღარ გვაგონებს და ჩვენს ეკლესიას, პატივსაცემად და საგონებლად იმ

<sup>1</sup>. „დროება“. 1884 წლის თებერვალი.



პირველი მოძღვრისა, ქართულ გალობაში „ისპოლა“ დაუტოვე-  
ბია და დღესაც ბერძნული სიტყვით გალობს<sup>1</sup>.

ენისა არ იყოს, გალობაც ადრევე ერთი და იგივე ყოფილა  
საზოგადოდ საქართველოში და დღეს ისიც დამახინჯებულია.  
ამ ნაკლოვანებას კი ყოველთვის ეგრძნობდით, გვინდოდა  
როგორმე ნოტებით აღგვედგინა, მაგრამ დღემდის მცოდნე  
პირები გვარწმუნებდნენ, რომ შეუძლებელიაო.

დღეს კი, როდესაც ბ. ქორიძემ მაგალითი გვიჩვენა, ყოვე-  
ლი კუთხიდან გამოჰყვეს თავი და შინაური თუ გარეული  
იმას იძახის: არა, მე უკეთ შევადგენ და არა მეო კეთილი  
და პატიოსანი! ძალიან კარგი, მაგრამ სამწუხარო ის არის,  
რომ იმათ პირადი რამ ანგარიში და კულაბზიკობა ამოქმე-  
დებთ. სხვადასხვა ჩვეულებრივ ხრიკებს იქამდე მიუღწევიათ.  
რომ ლამის საქმე არივდარიონ რალაც წვრილმანური პატ-  
რიოტობის გამოჩენით.

ამ შემთხვევაში ჩვენ გვაკვირგებს კომიტეტის მოქმედება:  
ის ისეთ რამეებს აპყობია, რომ თუ ერისკაცთაგან საზო-  
გადო თანაგრძნობისა და დახმარების სურვილი აქვს ამ საქ-  
მეში, ასე არ უნდა იქცეოდეს! ერთი ამბობს: „მე ჯერ შევი-  
წავლი ნოტებს, მერე დავივლი იმერეთს, შევისრულებ გა-  
ლობას და მერე დავიწერთო“. მერე არწმუნებს, რომ მე  
არც ენა ვიცი, არც ხასიათი, მაგრამ ნოტებზე კი, რაც  
გინდათ თვალის დახამხამებაში გადაგიღებთო და სხვა-  
დასხვა.

კომიტეტიც ყურს უგდებს და არ იცის რა ჰქნას. საქმეს  
ტყუილზრბრალოდ აქიანურებენ და საგულისხმო ვერა-გამოურ-  
ჩევიათ რა. ბოლოს კი, თითქოს აუქციონით ჰყიდდენ რამეს.  
გადაუწყვეტიათ, ვინც უფრო იაფად გადაიღებს, იმას მიც-  
ცემთო და, რასაკვირველია, რომ ესეც უზრალოდ და  
უსარგებლოდ დროს დაკარგავა.

როგორ თუ გადაიღებს? ჯერ აღდგინება უნდა და მერე  
გადაღება! განა დაწერა და გადაწერა ერთი და იგივეა? ვინც

<sup>1</sup> ამ დებულებას, ე. ი. ჩვენი გალობის საბერძნეთიდან შემოღების საკითხს-  
დღევანდელი ქართული მუსიკისმცოდნეობა სხვა თვალსაზრისით აშუქებს.

V კი „ანბანი“ იცის, იმას ადვილად შეუძლია უმეტ-ნაკლებოდ გადახატვით გადასწეროს, მაგრამ თუ ენა არ იცის და შესწავლილი არ აქვს, რომლიდანაც სწერს, როგორ გაიგებს—სად რა შეცდომაა, სად მეტია, სად აკლია, და მაშ როგორღა გაასწორებს და აღადგენს დედანს.

გალობაც ასეა: „ანბანურად“ ნოტებით მისი გადაღება ძნელი არ არის, მაგრამ აღდგინება? ნუთუ ქართული გალობა ისე დასრულებულია, რომ აღარა ეჭირვება რა, გარდა ნოტებით გადაცემისა? და სად არის ეს გალობა? ზოგი ამტკიცებს, „ქარბელოვის“ გალობააო და ზოგი იძახის „გურულიო!“ უკაცრავად კი გახლავარ, მაგრამ ორივე მხარე კი სტყუის!.. „ქარბელოვის“ გალობა არის მხოლოდ პირველი დასაწყისი გალობისა, პირველი გაკვეთილი და იმ პირველ მუხლით ყოველ საგალობელს, ისე, როგორც ახალი მოსწავლე ამოსაღებით ჰკითხულობს ყოველგვარ წიგნს: „ალილოს“, „სალხინოს“, „საზაროს“, „საძილიაპიროს“, „სადღესასწაულოს“ და „ქრელს“, თუ სხვას, ყველას ერთიანად ამავ კილოხმით გალობენ.

გურული გალობა, მართალია, სრული სკოლა არის, მაგრამ მეტის კრიმანქულებით გადაუსხვავებიათ, გადაუცდენიათ კანონზე და ძველებურად ველარც ის ხატავს საგანს. და მაშასადამე ეს გალობები რომ გადავიღოთ და მითი მოვრჩეთ საქმეს, პირველ შემთხვევაში უგუნურობა იქნებოდა, და მეორეში—შეცდომა. არა, კომიტეტს თუ მართლა გულწრფელად ჰსურს გალობის აღდგინება, უნდა აიჩინოს მცოდნე პირი. იმან უნდა მოიაროს მთელი საქართველო, ყოველ კუთხეში და ყველგან დაუგდოს უფრი საერო კილოხმებს, თითონაც—შეისწავლოს, ნამეტანი რაც შეჰპარვია გალობას, გამოორიცხოს, რაც აკლია—შეავსოს, აღადგინოს ნელ-ნელა, აუჩქარებლად და სხვებსაც ასწავლოს. ამგვარად შედგება სკოლა და გალობაც თანდათან სისრულეში მოვა. როგორც საქმის მოსარჩლე და არა პირადობისა, ვიტყვი, რომ ამგვარი მოთავე კიდევა გეყავს, ბ. ქორიძე. ვისაც გაუგონია მისგან ნოტებზე გადაღებული გალობა და სიმღერები, თუ არ ეინით, წინააღმდეგობას ვერ დაიწყებს. ჩვენ არ ვიტყვით,

რომ კიდევ უკეთესიც არ შეიძლებოდა. მაგრამ ეს საზოგადო კანონია ყოველიფრისათვის. დღეს თუმცა მხოლოდ მარტო სამ ხმაზედ არის შედგენილი ეს გალობა, დანარჩენი ხმები არ ჩაერთვის და გუნდიც არ შემდგარა, მაგრამ მაინც გულს ელხინება მოსმენა. განსაკუთრებით გურული კრიმანკულები საუცხოოდ არიან გადაღებულნი. გალობას მხოლოდ ერთი მცირე რამ შეენიშნეთ, რომელიც ადვილი გადასასწორებელია: სამივე ხმა ერთად იწყებს და ეს წინააღმდეგია ქართული გალობის: „მოძახილი“ მიტომ ჰქვიან ერთ ხმათაგანს, რომ მერე უნდა მოეხმაროს. საზოგადოდ, მთქმელი იწყებს, მაღალბანი მოსძახებს, კრინი აბამს, ბანი მხარს აძლევს, ღვრინი აგვირგვინებს და ძილი ატკბობს...

ამას ყველას თაე-თავის დრო აქვს და შიდა და შიდ შეერთებულად ხმას გამოსცემენ ხოლმე და კიდევ ამაშია ჩვენი გალობის ტკბილ-ხმოვანების საიდუმლო.

ა კ ა კ ი .

ეს ფელეტონი 1884 წლის დასაწყისშივე იყო დაბეჭდილი. ფილიმონი ბეჯითად ინახავდა მას და, როდესაც მითქმა-მოთქმით და ქართო მოტანილი ამბები შეაწუხებდა, გადაიკითხავდა, დამშვიდდებოდა, მუშაობას განაგრძობდა, სანამ კიდევ რომელიმე მორიგ ახალ ჭორს არ მოუგონებდნენ.

1884 წლის ზაფხულში ქართული გალობის ჩაწერის შესახებ ეპისკოპოს ალექსანდრეს და კოპოზიტორ იპოლიტოვიანოვს შორის დაიდო ხელშეკრულება. ამ ხელშეკრულების შინაარსი მუხლობრივად დაიბეჭდა ჟურნალ „მწყემსში“ ამავე წლის ოქტომბერში. ფილიმონმა შინაარსი ისევ ზაფხულში გაიცნო მელიტონისაგან. ზოგი მუხლი აინტერესებდა, ზოგი კი აწუხებდა. ხელშეკრულებაში ნათქვამი იყო:

1. საიმპერატორო მუსიკალური სასწავლებლის თბილისის განყოფილების დირექტორი იპოლიტოვი მოვალეა ნოტებზე გადაიღოს გალობები: იოანე ოქროპირისა, ეასილი დიდისა და გრიგორი ორმეტყველის.

2. იპოლიტოვი მოვალეა წირვის ჩაწერის შესრულებისთანავე, ე. ი. 1886 წ. 1-ლ ოქტომბერს მცხეთის ტაძარში შეასრულოს ჩაწერილი წირვა.

3. იპოლიტოვს ჰონორარად მიეცემა 2000 მან.

4. ყველა ნოტებზე გადაღებულ ნომრებს, პეტერბურგის ცენზურაში გატარების შემდეგ, ეპისკოპოსი ალექსანდრე თავის ხარჯზე ბეჭდავს, ყველა დაბეჭდილი ეგზემპლარი და მათი გაყიდვის შემოსავალი ეკუთვნის ეპისკოპოს ალექსანდრეს.

5. ეპ. ალექსანდრე იპოლიტოვს უნიშნავს მომღერლებს: თბილისელ მღვდლებს: პოლიევქტე და ვასილ კარბელაშვილებს, გრ. მღებრიშვილს და ა. მოლოდინაშვილს.

ფილიმონმა გაიცნო ეს პირობები და მელიტონს უთხრა:

— ეს საქმე რომ კარგად შესრულდეს, იპოლიტოვმა ქართლ-კახეთი უნდა მოიაროს, ადგილობრივად შეისწავლოს გალობა. მაგრამ როგორ მოახერხებს? სახელმწიფო მოხელეა, სამსახურს ხომ არ მიატოვებს! ეს ოთხი მღვდელიც განა საქმარისია? არც ენა იცის!..

— არა უშავს... გაქართველდება!.. — ხუმრობით უთხრა მელიტონმა.

— გაქართველებული რუსი რალაც... არ მომწონს, მაგრამ ამას თავი დავანებოთ. მე სხვა მაფიქრებს...

— მაინც?

— ამ ხელშეკრულებას რალაც კომერციული სუნი უდის. შემოსავალი მე მეკუთვნისო და... რას ნიშნავს ეს?

— იმას ნიშნავს, ჩემო ფილიმონ, რომ დანახარჯი უნდა აინაზღაუროს. შენი საქმე რომ იყოს, რას იზამდი?

— უფასოდ დავარიგებდი! ჩემი თანხები რომ არ დამკარგოდა, უთუოდ უფასოდ დავარიგებდი. ეს ხომ კულტურის საქმეა!

— რომანტიკოსი ყოფილხარ, ფილიმონ! მეორე მხრივ — ხასიათი ძალიან გამოგეცვალა: სულ უბრალო რამეზე ღელავ, შფოთავ!

— ეს საქმე უბრალო რამე არ არის, ქართული საქმეა, მთელი საქართველოს საქმეა! ამიტომ ვღელავ!..

და მართლაც, მეც, პატარა ბიჭი, ფილიმონის ხასიათში დიდ ცვლილებას ვხედავდი და ვგრძნობდი: თუ ერთი წლის წინათ მხოლოდ ალერსით მექცეოდა, ახლა ხშირად სრულიად უმიზეზოდ მიჯავრდებოდა, მტუქსავდა. ღედაჩემსაც ხშირად ძალიან მკვახედ ელაპარაკებოდა. მომღერლებთან მუშაობის დროსაც ხშირად მისი გაანჩხლებული ხმა მესმოდა. არც არის გასაკვირი: ოპერის ასპა-

რეჟის, მისი საყვარელი საქმის ნიტოვება; ახალი საქმის დაწყება და მის გარშემო მრავალნაირი მოსაზრებები; ბანკის გაკოტრება და ამის შედეგად ნივთიერი მდგომარეობის შეცვლა; კრებებზე რექტორ ჩუდუცკის გამოსვლები; მღვდლებთან და ბერებთან ხშირი დავა; ქართული მუსიკის ნოტებზე გადაღების საჩვენებელი კრება; პრესაში მოთავსებული, ხშირად ყალბი ცნობები და საზოგადოებაში მრსიაურულე მითქმა-მოთქმა და კორები.

ყოველივე ეს ფილიმონას ხასიათზე არასასურველად მოქმედებდა და მუშაობაშიაც ხელს უშლიდა.

მახსოვს ერთი შემთხვევა, როდესაც ფილიმონი მეტის-მეტად ცუდ გუნებაზე დადგა. არც ანჩხლობდა, არც უჯავრდებოდა ვისმეს. ორიოდ დღის განმავლობაში ხმას არ იღებდა და თავის ოთახიდან არ გამოსულა. დედაჩემი ფრთხილად, ცერებზე დადიოდა. მე სხვაგან მისტუმრებდა. არც მომღერლები მოდიოდნენ. დედას ვკითხე:

— მაშა ავად ხომ არ არის? მასთან მისვლა შეიძლება?

— დიახ, შეილო, ავად არის, ძალიან მალე მორჩება, ახლა კი ნუ შეაწუხებ. წადი მეზობელთან, იქ ბავშვებში გაერთობი.

მხოლოდ შემდეგში გავიგე, რამ შეაწუხა ფილიმონი: სემინარიის რექტორმა ჩუდუცკიმ სემინარიის სტუდენტი ლალიაშვილი დაითხოვა. საპასუხოდ ლალიაშვილმა მოჰკლა ჩუდუცკი. ამ ამბავმა მთელი ქალაქი შეაშფოთა: ქართველი ინტელიგენცია რეაქციონერ ჩუდუცკის მოკვლას კმაყოფილებით შეხედა, ხოლო რუსი საზოგადოება განრისხდა. ამავე დღეს ხმა გავრცელდა, რომ ამ ამბავს არასასურველი შედეგი მოჰყვებოდა. მართლაც, ჩუდუცკის მოკვლის პასუხად საკათედრო ტაძარში ამჟონიდან ეგზარქოსმა პავლემ საქართველო შეაჩვენა.

„ანათემა იმ ხალხს, რომელმაც ასეთი ბოროტმომქმედი შობა!“ — წარმოსთქვა ეგზარქოსმა.

ამ საჯარო შეჩვენებამ ქართველი საზოგადოება დიდად შეაწუხა. მითხრეს, რომ ფილიმონი იმდენად აღელდა, ხელები აუკანკალდა; სიტყვას ვერ ახერხებდა. ყველანი თავიდან მოიშორა და თავის ოთახში ჩაიკეტა. როდესაც შედარებით დამშვიდდა და ნორმალურ ღონეზე დადგა, მის ხელში ერთ ფურცელ ქაღალდს ვხედავდი. გადაიკითხა და ჯიბეში ჩაიდებდა. მხოლოდ მაშინ,

როდესაც უმაღლესი სასწავლებელი გავათავებ და საქართველოში დაებრუნდი, ერთხელ საუბრის დროს უჯრიდან პატარა ქალაღდი ამოიღო და მომაწოდა. ეს ქალაღდი დიმიტრი ყიფიანის წერილო იყო ეგზარქოსისადმი მისი შეჩვენების პასუხად. ქალაღდში ეწერა:

„თქვენო მაღალუსამღვდელოესობავ!

განნიტვეთ შეცოდება ჩემი, უკეთუ დაუჯერებელი ხნით აღეღებული, ამ შეცოდებას ჩავდივარ.

მაგრამ ეს ხმა გაწერთ წარნოთქმას შეჩვენებისა იმ ქვეყნის, რომლის მწყესვას, ვითა მღვდელმთავარი და ქრისტეს წარმომადგენელი, მოწოდებული ხართ.

თუ ეს სიმართლეა, მეფევ, თქვენი ღირსების ერთადერთი ხსნა იმაშია, რომ შემრცხვენელი შერცხვენილ ქვეყანას მოშორდეს.

და თუ ეს სიმართლე არ არის, მომიტვეთ და ამ მიტვეების ნიშნად თქვენმა მწყემსმთავარის მარჯვენამ დამლოცოს“.

ღიმიტრი ყიფიანი<sup>1</sup>.

— აი, ამ „კაღნიერმა“ წერილმა დაღუპა ჩვენი ღიმიტრი ყიფიანი — ნაღვლიანად მითხრა ფიღიმონმა.

მაღე დავით ღამბაშიძემ მოიწვია ფიღიმონი იმერულ-ღურული გაღობის აღდგენის კომიტეტის სხღოვაზე, სადაც ფიღიმონმა დამსწრეთ თავისი გეგმები გააცნო.

ამის შემღევ ეპისკოპოს გაბრიელის კანტორამ დაიბარა მოსალაპარაკებღად და ხელშეკრუღების დასადებღად. თვით გაბრიელმა მთღიანად მოიწონა ფიღიმონის გეგმები და მის მიერ დანიშნულმა კომისიამ ფიღიმონთან ხელშეკრუღება დაღღო. კომისიაში იყვენენ — ანტონ ბალანჩივაძე, კიკაჩვიშვილი, კეიშვილი. ამ ხელშეკრუღების თანახმად ფიღიმონს ევალებღდა ნოტებზე გადაეღღო იონანე ოქროპირის მთელი ღიტურღია და კიღევ მრავალი გაღღობანი: მწუხრი, საძიღისპირო და მრავალი სხვა, სულ 500 ნოღმერი. ვაღღა ორი წელიწადი იყო. ჰონორარი ეღღეღდა თვით ფიღიმონს ცაღკე და მომღერღებს — ცაღკე.

<sup>1</sup> ეს წერიალი შემღევ დაბეჭდილი იყო არაღღეგაღღურ წიღნში: Дуринов, Русская церковь при Победоносцеве.

ეს პირობები ფილიმონმა დიდი კმაყოფილებით მიიღო და მაშინვე მთელი ოჯახით გადასახლდა ქუთაისში და ამბობდა:

—ახლა მე ჩემი მუშაობის განსაზღვრული უბანი მაქვს, ხელს არავინ არ შემიშლის, არც ერი, არც ბერი, დამშვიდებით ვიმუშავებ და ამ პირობებში ჩემი მუშაობა დიდად ნაყოფიერი იქნება.

### ფილიმონის მუშაობა ქუთაისში

მართლაც, ქუთაისში ჩამოსვლისთანავე ფილიმონი წინანდებურად მხნე და მხიარული გახდა. დიდი ხალისით შეუდგა იგი მუშაობას და, ხელშეკრულების თანახმად შეკვეთილ საეკლესიო საგალობლების გარდა, საერო სიმღერებს წერდა, მით უმეტეს, რომ მასთან მომუშავე მომღერლებმა საერო კილოებიც ზედმიწევნით იცოდნენ.

ფილიმონი დარწმუნებული იყო, რომ, თუ ეკლესიის მთავრობამ საგალობლების აღდგენა, ჩაწერა და დაბეჭდვაც საჭიროდ სცნო, ქართველი ინტელიგენციაც ამ მაგალითს აუცილებლად მიბაძავს.

ქუთაისში ფილიმონს თანამშრომლები—მღვდლები და საერო ხალხიც—შეემატა. ზოგი ქუთაისის მკვიდრი იყო, ზოგი—გურიისა—სამეგრელოდან დროგამოშვებით ჩამოდიოდა. ესენი იყვნენ: ანატონ და დავით დუმბაძეები (მამა და შვილი), როსტო ქალაგანიძის შვილი დიტო (მარტვილიდან), ნიკო შოშიტას-ძე მეძმარიაშვილი, ნიკოლოზ კანდელაკი (ოკრიბიდან), რაჟდენ ხუნდაძე, ტარასიტყეშელაშვილი, ივლიანე შოთაძე (დავით ჩხარელის შვილიშვილი), დეკანოზი ვასილ ანტონის-ძე ქუთათელაძე (ხონელი), რომელიც, როგორც ძველი კილოების სხვებზე უფრო მცოდნე, ჩაწერილ მასალას ამოწმებდა და ზოგჯერ ასწორებდა.

ამ მომღერლებიდან ზოგი ისეთი ოჯახის შვილები იყვნენ, სადაც ძველი სიმღერები საუკუნეებით ინახებოდა და მემკვიდრეობით თაობიდან თაობაზე გადაეცემოდა. იმისათვის, რომ კილო ხელუხლებლად შენახულიყო, გალობა-სიმღერები სპეციალური ნიშნებით იწერებოდა და ფიცხერი ალთჰმის ქვეშ ჩაწერილის შიფრი ოჯახის უფროსთან ინახებოდა. ამ წესის ამბავი ფილიმონს ძველმა ხალხმა უამბო. ძველთაძველ დროს, თურმე, ჩვეულებად იყო სხვა-

ქასხვანაირი შეჯიბრი: მარულისათვის ბედაურებს განსაკუთრებული წესით და კვებით ინახავდნენ და ამზადებდნენ. ჭიდაობისათვის მოჭიდავე ფალავანებსაც განსაკუთრებული მოვლით და ხერხებით ამზადებდნენ და ამ ხერხებს საიდუმლოდ ინახავდნენ, რათა მოპირდაპირე მხარემ ეს ხერხები არ გაიგოს. სიმღერა-გალობაშიაც ხშირი შეჯიბრი ყოფილა. სოფელი—სოფელს, ეკლესია—ეკლესიას, გვარეულობა—გვარეულობას ეჯიბრებოდა. და ეს საიდუმლო ნიშნები, გვარეულობის მიერ ჩაწერილ და შენახულ კილოს მოპირდაპირის ცნობისმოყვარეობისაგან ჯავშანივით იფარავდა.

ამ ძველი ამბის მთქმელმა ერთხელ ფილიმონს დიტო ჭალაგანი-ქეზე მიუთითა: აი, ამ კაცს საგვარეულო ჩანაწერი აქვსო. ფილიმონი დიტოს შეეკითხა, მაგრამ დიტომ იუარა. ფილიმონი აღარ მოეშვა, უმტკიცებდა, რომ თუ ჩვენს გალობა-სიმღერას სპეციალური ნიშნები აქვს, ჩვენ ძველთაძველი კულტურა გვქონია. ეს რომ დიდი განძიაო და რატომ არ გინდა გაამჟღავნო? მაგრამ დიტო არ ტყდებოდა. ეტყობოდა კი, რომ მის ხელში ასეთი ჩანაწერი არსებობდა. მეც გამიგონიაო, პაპაჩემს რაღაც ჰქონია, მაგრამ პირადად მე თავის დღეში არ მინახავს. მე ისე ვმღერი, როგორც პაპაჩემმა მასწავლა. აგერ, თქვენ ბ-ნო ფილიმონ, ჩვენს ნამღერეს წერო. ეს ხომ კარგად შეინახება და სხვა რაღა არის საჭიროო!

ფილიმონი არ ცხრებოდა და შემდეგშიაც ამ საკითხს უბრუნდებოდა, მაგრამ დიტო თავისას იძახოდა--არ ვიციო, არა მაქვსო.

ყოველ შემთხვევაში მუშაობა ცხოვლად მიმდინარეობდა. ქუთაისში ყოფნის პირველსავე წელიწადს ხელშეკრულებაში აღნიშნული ამოცანის ნახევარზე ბევრად მეტი შესრულდა. საერო სიმღერებიც ბლომად იყო ჩაწერილი.

ფილიმონის თქმით, „ბერიც და ვერიც“ მის ჩამოსვლას და მუშაობას დიდი ხალისით ეგებებოდა და მითქმა-მოთქმა, ხელის შემწეული ჭორები არ იყო. ყოველდღიური ყოფის პირობებიც უზრუნველი იყო. მაშინდელი ქუთათური ინტელიგენციაც გაიცნო. პირველ ხანებში ხშირად დადიოდა სპირიდონ მაჭავარიანის, ცნობილ ვარინკა წერეთლის—„სულიკოს“ ავტორის მამის ოჯახში. იქსადარბაზო ოთახში როიალი იდგა და ფილიმონი ხშირად დედაჩემს როიალთან დასვამდა და საშინაო კონცერტს მართავდა. ასრულებდა იტალიურ არიებს და რომანსებს, ხოლო დედაჩემი ბეთხოვე-



ნის, შოპენის და სხვა კომპოზიტორების ნაწარმოებებს. ვარინკა, იმ დროს ძალიან ნორჩი, მუსიკას სულგანაბული უსმენდა. ერთხელ, დიდი მორიდებით დედაჩემს თხოვა—შენსავით დაკვრა მასწავლეო. დედა სიამოვნებით დათანხმდა და ორი-სამი წლის განმავლობაში მუსიკას ასწავლიდა. თვით მასპინძელი სტუმარს უსადილოდ ან უვახშმოდ არავითარ შემთხვევაში არ გაუშვებდა. ღმერთმა სტუმარი გამომიგზავნა და ფიზიკური როგორ გაუშვაო! მოიწვევდა მეზობლებს და ქეიფი იმართებოდა. პირველ ხანებში ასეთ მასპინძლობას ფილიმონი ადვილად იტანდა, მაგრამ შემდეგში გაუბრუნდა და მიწვევაზე ან ავადმყოფობას, ან შინ არყოფნას მოიმიხეზებდა. ზოგჯერ იტალიური „რიზოტო“ მოენატრებოდა. იმ ხანებში ქუთაისში რამდენიმე იტალიელი ოჯახი ცხოვრობდა. ერთ მათგანს „ოსტერია“ (სამიკიტრო) ჰქონდა ჯაჭვის ხიდთან. მივიდოდა და ზაფრანით შეზავებულ და დაფხვილ ყველით წაყრილ ფლავით და სამიკიტროს პატრონთან იტალიურ ენაზე მუსაიფით ერთობოდა.

ფილიმონს ერთგვარი ჩვეულება-წესი ჰქონდა: თავისი ნამუშევარის შესამოწმებლად გარეშე ხალხს მიმართავდა. ვალობა-სიმღერის მთელი რიგი ნიმუშების ჩაწერას შემდეგ იწვევდა რამდენიმე პირს, მუსიკის მცოდნე და არმცოდნესაც და მოასმენინებდა ჩაწერილს. სიმღერის დროს მსმენელების სახის გამომეტყველებას დიდი ყურადღებით თვალს ადევნებდა და მისი ნამუშევარის ვარჯისობის დასკვნას იქ ეძებდა. შემდეგ ეკითხებოდა—მოგწონთ თუ არაო? მოწონება და ქება-დიდება ყოველთვის უნეი იყო, მაგრამ ფილიმონი ამას არ ჯერდებოდა. ამბობდა, რომ ამ ქება-დიდებაში თავაზიანობაც, ქათინაურებიც არის ჩაქსოვილი, ქართველური ზრდილობაც: აქაო და მასპინძელს არ უნდა ვაწყენინოთო! მეორე მხრივ, ეს ხოტბა, შესაძლებელია, თვით სიმღერის საამო და ტკბილი ჰანგით არის გამოწვეულიო. მე მკაცრი გარჩევა-კრიტიკა მირჩვენია, მომღერლების ოსტატობის და ჩემი ჩანაწერის კრიტიკაო. და აპიტომ ფილიმონი, დროგამოშვებით, შემოწმების მეორე საფეხურზე, მეორე ეტაპზე გადადიოდა. ეს იყო საჩვენებელი კონცერტების ხშირი მოწყობა ქუთაისსა და დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. მიზნად ჰქონდა ერთის მხრივ ქართული სიმღერა-ვალობის ხალხში, დაბა-სოფლებში გატანა ჩაწერილი კილოე-

ბის შესამოწმებლად, მეორეთი—ძველთაძველი, მივიწყებული და ახლა აღდგენილი სიმღერების პროპაგანდა. დარწმუნებული იყო, რომ უბრალო, უშუალო და წრფელი მსმენელის გამოხმაურება კონცერტის დროს, სწორი კრიტიკა იქნება. იმ დროს სოფლებში და პატარა დაბებში ამგვარი კონცერტები იშვიათი ხილი იყო და ტაშიც, მოწონების ნიშნად, თითქმის არ იყო შემოღებული. კონცერტის ყურადღებით და დამწვიდებით მოსმენა, სიჩუმე შესრულების დროს და კონცერტის შემდეგ შთაბეჭდილების სიტყვიერო გაცვლა-გამოცვლა ფილიმონისათვის საკმაო იყო.

სანიმუშო პროგრამას ის კიდევ თბილისში ყოფნის დროს ამზადებდა, თვით კონცერტებს კი ჯერ ქუთაისში, შემდეგ დაბა-სოფლებში მართავდა.

ამ კონცერტების ძირითადი პროგრამა სამ ნაწილად იყო შედგენილი: საეკლესიო საგალობლები, საერო სიმღერები და ევროპული არიები და რომანსები. როიალთან ყოველთვის დედაჩემი იყო. მომღერალთა შემადგენლობა, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, თითქმის მუდმივი და უცვლელი იყო: მელიტონ ბალანჩივაძე (ბარიტონი), საშა ბერიძე (ტენორი), ილია კიკნაველიძე (ბანი) და ნესტორ კონტრიძე, რომელიც გურული კრიმანჭულის განთქმული ოსტატი იყო.

ასრულებდნენ სასულიერო საგალობლებს: „შენ ხარ ვენახი“, „მოვედით და ესვათ სასუმელი ახალი“, „მზისა შემოქმედი“, „აწ ძალნი ცათანი“ და სხვა. საერო სიმღერები: „ხელხვავი“, „პატარა საყვარელი“, „ხასანბეგურა“, „შეიდეკაცა“, „ვახტანგური“, „ფაცხა მეგრული“, „შავი შაშვი“... ევროპული რეპერტუარიდან: „დონ ბაზილიოს“, „დონ კარლოსის“, „ერნანის“ და სხვა არიები, შუბერტის „ორი გრენადერი“, დარგომიქსკის „მოსუცი კაჭრალი“ და მრავალი სხვა.

ფილიმონის გარდა მელიტონიც ასრულებდა ევროპულ და ძველ ქართულ რომანსებს.

წმინდა სასულიერო კონცერტი გაიმართა ქუთაისში 1884 წ. მარტის პირველ რიცხვებში ეპისკოპოს გაბრიელის კანტორის თხოვნით: თვით გაბრიელს სურდა ფილიმონის ნამუშევარის გაცნობა, რომ მომავალი ხელშეკრულება უფრო საფუძვლიანად ყოფილიყო შედგენილი და ხელმოწერილი.

ამ კონცერტს პრესა გაეხმაურა და რამდენიმე რეცენზია იყო დაწერილი. ერთი მათგანი გაზეთ „დროების“ 1884 წლის 15 მარტის ნომერში იყო მოთავსებული „გარეშე მაყურებლის“ ფსევდონიმით- ავტორი რამდენიმე მომენტს ხაზგასმით ახასიათებს:

...„ხალხი მოუთმენლად მოელოდა ამ კონცერტს. დგება კონცერტის დღეც—მთელი თეატრი სავსეა ხალხით, აქა-იქ მოსჩანან რუსებიც, სულ ცოტა-ცოტა მეხუთედ ნაწილს მაინც დეპუტატები შეადგენენ<sup>1</sup>. სამეგრელოს დეპუტატებს მეორე წყობა უჭირავთ. ყველას უბრწყინავეს სახე, ზოგიერთი წინდაწინვე ემზადებიან კრიტიკისათვის, ზოგნიც იჭვიანად იყურებიან...“

ფარდა ახადეს. მაყურებლებში ისეთი სიჩუმეა, რომ ბუზი გაფრინდეს, გაიგონებ. ყველანი თითქო გაქვავებულან, ისე უძრავად სხედან“...

განყოფილების გათავებისას „უეცრივ მთიდავ გადმოვარდნილ ნიაღვარსავით მოსკდება ერთბაშად ტაშის კვრა და ბარაქალას ძახილი. ამ კონცერტმა მომავლან „სამშობლოს“ პირველი წარმოდგენა. კონცერტმაც და „სამშობლომაც“ მაყურებელი საზოგადოება ერთი და იმავე გრძნობით გაიტაცა ერთი და იმავე ფიქრით აფიქრა, თუმცა, რა საკვირველია, „სამშობლოსაგან“ მოხდენილი შთაბეჭდილება უფრო ღრმა და ძლიერი იყო...

...მაყურებელი საზოგადოება მოიყვანა აღტაცებაში ორმა უმთავრესმა დიახ რომ სასიამოვნო გარემოებამ. ერთი ის, რომ ბატ. ქორიძეს შეუძლია ჩვენი გალობა-სიმღერის ნოტებზე გარდაღება. ბევრს ჰგონია, რომ მარტო ნოტების ცოდნაა საჭირო, რომ გალობა და სიმღერა გარდილოს კაცმა, მაგრამ ეს ტყუილია—ამის გარდა ნიჭიც, გარდაღების ტალანტიც მიუცილებლად საჭიროა. მეორეც ისა, რომ ბატ. ქორიძეს ეხლავე შეუგნია ჩვენი გალობა-სიმღერის უმთავრესი ხასიათი და ეს ხასიათი გარდაუტანია ნოტებზე... ბევრმა სცადა ჩვენში გალობის ნოტებზე გარდაღება, მაგრამ მხოლოდ ბატ. ქორიძემ შესძლო პირველის, მართლა რომ რიგიანის ნაბიჯის

<sup>1</sup> იმ დღეებში დასავლეთ საქართველოს მასწავლებელთა ყრილობა იყო.

გადადგემა... მაგრამ ბატ. ქორიძე ერთობ ნუ დაენდობა თბილისის გემოს, თორემ მოსტყუვდება“...

...ერთი რამე უნდა შევნიშნოთ ბატ. ქორიძეს—მისი მგალობლები: დამწყები, მოძახილი და ბანი ყველანი ერთად იწყებენ გალობას, მაშინ როდესაც ნამდვილად ესე არ არის. ჩვენში გალობა-სიმღერაში ჯერ იწყებს დამწყები, შემდეგ მოჰყვება მოძახილი და ბოლოს—ბანი“...

ფილიმონი დიდი ყურადღებით კითხულობდა რეცენზიებს, არ ნერვიულობდა, დამშვიდებით ეცნობოდა ავტორების აზრს და ამბობდა:

— ეს რეცენზენტები მიდგომით არ წერენ, ჩანს მათაც ესმით და უყვართ საგანი, უყვართ ჩვენი მუსიკა და ზოგიერთ საკითხში არ ვეთანხმები, ყველას თავისი აზრი და გაგება აქვს. მომღერლებმა სიმღერა ერთად უნდა დაიწყონ თუ ცალ-ცალკე, ერთი მეორის მიყოლებით ეს—ჩამწყერის ფანტაზიაზე და გემოვნებაზე არ არის დამოკიდებული. ამ წესს თვით ხალხი ჰქმნის თავისი ეთნოგრაფიული და ისტორიული პირობებიდან გამომდინარე ხასიათის მიხედვით. ამისდა მიხედვით, ქართლ-კახეთს თავისი წესი აქვს შემუშავებული. გურია-სამეგრელოს—თავისი. ყოველ შემთხვევაში ძალიან კმაყოფილი ვარ, რომ ჩემი შრომა სწორ და ნაყოფიერ შედეგს იძლევა!

ასეთი წარმატებით შესრულებული კონცერტი ფილიმონმა გაიმეორა იმავე წლის 29 ივნისს სოფელ მარტვილში „პეტრეპავლობის“ დღესასწაულის დღეს. კონცერტის შემდეგ ადგილობრივმა საზოგადოებამ დიდი ზემოთ მადლობა მიუძღვნა.

— საშვილიშვილო საქმე გაგიკეთებიათ, რომ ჩვენი გალობა სწორ გზაზე დაგიყენებიათ!—უთხრა ერთ-ერთმა დადიანმა.

დაბა-სოფლებში ფილიმონმა მრავალი კონცერტი მოაწყო: ყვირილაში (ახლანდელ ზესტაფონში), სამტრედიოში, კულაშში, ხონში, ოზურგეთში, სუფსაში, ლანჩხუთში, ჩოხატაურში, ძველ სენაკში და სხვაგანაც. თითო კონცერტი ფოთსა და ბათუმში მოეწყო ადგილობრივი სკოლის სასარგებლოდ („დროება“ 12 X, 84 წ.).

ძველ სენაკში ყოფნის დროს ფილიმონმა გაიგო, რომ მახლობლად დედათა მონასტერია (ნოსირში), სადაც ძველთაძველი გალობის კილოები იყო დაცული. მაშინვე მივიდა, წირვა-ლოცვა მოი-

სმინა, მაგრამ ამითი არ დაკმაყოფილდა, უნდოდა მღვდელმსახურების გარეშე მოესმინა გალობა. როდესაც მონაზვნებმა გაიგეს, რომ მათი გალობა უნდა ჩაიწეროს და შემდეგ დაიბეჭდოს, უარი თქვეს, განსაკუთრებით კი მონასტრის წინამძღოლმა ქალმა. მხოლოდ ადგილობრივი მოსახლეობის ზოგიერთი გავლენიანი პირის დახმარებით მონაზვნებმა ეს თავისებური „ყაღალა“ მოხსნეს და კერძო სახლში, სათამოს, თითქო საიდუმლოდ, წინამძღოლი ქალის დაუსწრებლად მრავალი საგალობელი შეასრულეს. გარდა ამისა, წარმართობის დროიდან გადმოსული საერო სიმღერებიც, „ბატონების“ დასამშვიდებელი და ავადმყოფების მოსარჩენი კილოები. ზოგიერთი ძველთა-ძველი კილო ფილიმონმა ზეპირად დაიხსომა, ჩაწერა და ცალკე შეინახა. ამბობდა, რომ ასე ოსტატურად, ორიგინალურად შექმნილი აკორდები, მშვიდი და დამაჯერებელი რითმის ჰანგები, არასოდეს არ გაუგონია.

დაბაში და განსაკუთრებით რომელიმე სოფელში კონცერტის დასრულების შემდეგ ფილიმონი ყოველთვის ხალხში გაერეოდა და ეცნობოდა მოხუცებს, მათ შთაბეჭდილებას, აზრს გამოკითხავდა და არა ერთი შემთხვევა ყოფილა, რომ პროგრამაში შესრულებულ გალობას ან სიმღერას სათანადოდ ასწორებდა. ყურს მოჰკრავდა რომელიმე კილოზე წამოსროლილ თქმას: ეს „კანდელაკურია“, ან — „წულუკიძეებისა“, „დუმბაძისა“, მაშინვე გამოკითხავდა ამ გვარეულობის ამბავს.

— ეს კონცერტები ჩემთვის არა მხოლოდ ჩემი ნამუშევრის ჩვენებაა, არამედ ქართული მუსიკის შესასწავლი კონსერვატორიაა, — ამბობდა ფილიმონი.

და ამიტომ, რაც უნდა მიყრუებული სოფელი ყოფილიყო, მიდიოდა და კონცერტს მართავდა. მისი მომღერლებიც წასვლაზე უარს არ ამბობდნენ: ისინიც ამ იდეით დაინტერესებულნი მიყვებოდნენ ფილიმონს მიუხედავად იმისა, რომ ორი მათგანი, კიკნაველიძე და ბერიძე, სამსახურში იყვნენ.

განსაკუთრებული წარმატებით ჩატარდა კონცერტი ხონში მგალობლების ქუთათელაძეების და წულუკიძეების სამშობლოში. ერთმა ქუთათელაძემ, მგონი არისტომ, მოწონების და შექების ნიშნად ფილიმონს უთხრა: — დიდი მადლობის ღირსი ხარ, ბატონო, რომ უცხოეთში გაზრდილმა, ჩვენი საგვარეულო კილოების საიდუმ-

ლოებას ასე ოსტატურად მიაგენი. ასე მგონია, თითქო ქუთათე-  
ლაძეების ოჯახში ხარ აღზრდილი!

— მუსიკაში საიდუმლო არაფერი არ არის, არც უნდა იყოს! —  
მიუგო ფილიმონმა.

კონცერტს გიორგი წერეთელი დაესწრო და გაზეთში დადებითი  
რეცენზია მოათავსა.

ერთხელ ფილიმონმა თავისი სამშობლო კუთხის, გამოჩინებულის  
ნახვა და იქ ცოტა ხნით ნათესავეებში დასვენება მოინდომა. იქვე  
მახლობლად სოფელ საჯავახოში კონცერტი განიზარაზა. სოფლებში,  
რა თქმა უნდა, როიალი არსად იყო და ამიტომ პროგრამის მხო-  
ლოდ პირველი და მეორე განყოფილება უნდა შესრულებულიყო,  
მაგრამ ფილიმონმა ევროპული სიმღერების ნაწილიც შეიტანა  
უაკომპანემენტოდ.

მელიტონი ეწინააღმდეგებოდა:

— ფილიმონ, უაკომპანემენტოდ ევროპული არიები და რომან-  
სები როგორ შეიძლება, ძალიან ულამაზო გამოვა. ამას რომ თავი  
დავანებოთ, ამ შენს საჯავახოში „დონ კარლოსი“ ან „დონ ბაზი-  
ლიო“ ვის რად უნდა? გაიგებენ?

— უცნაურად ლაპარაკობ, მელიტონ! სუფრაზე ან სუფრის  
შემდეგ რომანსები არ გაგიგონია გიტარაზე? არც როიალი უნდა,  
არც ორკესტრი!

— ფილიმონ, ძია, გიტარაზე ხომ არ იმღერებ „ორ გრენა-  
დერს“, ან „დონ ბაზილიოს“—გაიცინა მელიტონმა.

— არა, გიტარა რა საჭიროა! უროიალოდ ვიმღერებ!

— კარგი, ფილიმონ! შენ თუ რამეს აიჩემებ, გათავდა! ზოგჯერ,  
ნუ გეწყინება და თავისნათქვამი ხარ! აგრე იყოს, შენს ნებაზე,  
მაგრამ ბოლოს დაინახავ!

— მელიტონი გაიგე, რომ ჩემს სამშობლო კუთხეში მივდივარ,  
იმ სოფელში, რომელმაც გამზარდა, სადაც მღვდელი იაკინთე  
ანბანს მასწავლიდა, სადაც ჩემი ძმები ცხოვრობენ. არ უნდა  
ვაჩვენო, კაცი გამოვედი თუ არა?

კონცერტი მაინც მოეწყო, მაგრამ სასაცილო ამბით გათავდა.  
საჯავახოში ერთი მემამულე იყო, ბესარიონ კალოიანი, დიდ  
იმერულ ეზოში ჰქონდა ორსართულიანი ქვითკირის სახლი. ზემო  
სართულში დიდი დარბაზი იყო, სადაც ას კაცზე მეტი დაეტეოდა.

ეს დარბაზი კალოიანმა დაუთმო ფილიმონს კონცერტისათვის. კონცერტს ბევრი ხალხი დაესწრო—თვით საჯავახოდან, ორპირიდან, საჭილაოდან, ჩოხატაურიდანაც. გამოჩინებულის კანდელაკებიც, რა თქმა უნდა, ჩამოვიდნენ.

თვით კალოიანი ნადირობის დიდი მოყვარული იყო და უამრავი სანადირო ძაღლები ჰყავდა. სახლის ყოველ კუთხეში, ტახტებზე, მაგიდების ქვეშ, ყველგან ძაღლები იყვნენ გამხდარი და მშიერი. ბესარიონ კალოიანი ყოველთვის ჩიოდა:

— ეს ოხრები ყანასაც მინადგურებენ, ვენახსაც... დამწიფებასაც არ აცლიან!

— რატომ არ აქმევ, ბესარიონ?—ეკითხებოდნენ სტუმრები.

— მონადირე ძაღლს რომ ვაჭამო, ვერც კურდღელს დაიჭერს, ვერც მწყერს!—უპასუხებდა ბესარიონი.

დაიწყო თუ არა კონცერტი, გაისმა თუ არა რაღაც საგალობელი, ჯერ ერთი ძაღლი აყეფდა, შემდეგ მეორე, მესამე, დანარჩენებზე ღმუილი მორთეს. მომღერლები დაიბნენ, დამსწრე საზოგადოებაც ახმაურდა. ზოგი ძაღლებს უჯავრდებოდა, სცემდა, ზოგს სიცილი აუტყდა, ზოგი ოხუნჯობდა:

— ბესარიონ, მართლმადიდებელი ძაღლები გყოლია: საგალობელი გაიგონეს და ლოცულობენ.

— კაცო, სტამბოლში ვართ თუ სადა? იქ არის, რომ ძაღლები მიზეზით ქუჩაში ვერ გავა კაცი!

— მასპინძელო, გვიშველე, ე ძაღლები გააგდე, აუ გიყვარდე! ძაღლების კონცერტზე ხომ არ მოესულვართ!

მაგრამ მასპინძელი ყურსაც არ იბერტყავდა, მას ძაღლები სრულიად არ აწუხებდნენ, პირიქით—სტუმრებს უჯავრდებოდა. ერთმა ხანჯალი იშიშვლა: ბესარიონი ეცა:

— რას შერები, კაცო, მღუპავ? ძაღლი არ მომიკლა... მონადირეა... ჯიშინია!..

ერთი სიტყვით, ისეთი ამბავი დატრიალდა, რომ კონცერტი ჩაიფუშა. ბოლოს, როგორც იყო, ძაღლები გააგდეს, მაგრამ ფილიმონი ძალიან ცუდ გუნებაზე დადგა, კონცერტი მოხსნა და ბილეთების ფული ყველას დაუბრუნა.

მიუხედავად მარცხისა, მელიტონმა წყენა არ შეიმჩნია და თავი ისე დაიქირა თითქოს არაფერიყო. მისი ყოველთვის მომცი-

ნარე თვალები რალაც მოულოდნელს მეტყველებდნენ. უცებ წინ წამოდგა და დაიძახა:

— ზოგი კირი მარგებელია! ჩვენც გადავრჩით და შენც, ფილიმონ!

— რას გადარჩი, კაცო?

— სიკვდილს!

— როგორ თუ სიკვდილს?

— როგორ და ისე... ამ მშვიერმა ძაღლებმა ჩვენი სათნო გალობა ყფით და ღრნით დააფასეს. თავისებური რეცენზია გაუკეთეს... ხო და... როიალი რომ ყოფილიყო, მის გაგონებაზე ხომ სულ გადაირეოდნენ და ნაგლეჯებად გვაქცევდნენ!.. მე რა მიკირს, პატარა და ხმელი ადამიანი ვარ, შენ უნდა იკითხო, ფილიმონ, ამხელა კაცი ხარ, ხორციანი, ჩასუქებული! ბედი გქონია, ძია! ამ ხუმრობამ ფილიმონი კარგ გუნებაზე დააყენა.

მეორე დღეს მომღერლები თბილისში დაბრუნდნენ, ფილიმონი კი შთელი ოჯახით გამოჩინებულზე ავიდა ჯერ თავის ძმასთან, ლაზარესთან, შემდეგ კი ბიძაშვილთან, ანტონ კანდელაკთან, რომელსაც ხუთი ვაჟიშვილი ჰყავდა. ეს ახალგაზრდები თავისი მოვლით და ყოველნაირი გართობით მთელ ჩვენ ოჯახს გადაგვყვენენ. თვითონ ფილიმონი კი ხან თოხს იღებდა და ყანაში დადიოდა სიმინდის სათოხნავად, ხან წალდით ხელში შქერს კრიდა, ხან წყაროდან წყალი მოჰქონდა..

— ნუ შეწუხდებით, ბიძია, ამას ჩვენ გავაკეთებთ!— ეუბნებოდნენ ახალგაზრდები, ფილიმონი კი უპასუხებდა:

— ჩემი ახალგაზრდობა მინდა მოვიგონო—მესიამოვნება!


ზოგჯერ გამოჩინებულის ზედ უღელტეხილზე, ეგრეთ წოდებულ „ჯვარზე“ წავიდოდა, წიფლის ქვეშ ჩამოჯდებოდა, დაფიქრდებოდა და ნაღვლიანად იტყოდა:

— აქ ჩვენი სახლი, ურთხელის ოდა იდგა, წიფლებში, წიფლების თითქმის ტყეში! ახლა ეს ტყე მოჭრეს, წიფელა შეიდი და დარჩა... ამასაც მოსჭრიან და?...

ორი-სამი კვირა დარჩა ფილიმონი გამოჩინებულზე. დაისვენა და თავის მუშაობას დაუბრუნდა ქუთაისში.

ორი წლის განმავლობაში ხელშეკრულებაში აღნიშნული დავალება შეასრულა: ნოტებზე გადაიღო იმერულ-კანდელაკური კილოს





ქართველთა სიმეგრესის პარტიის ხელმძღვანელებით გახლართული  
საკლავის ეკლესიის წარმომადგენლები.



მრავალი საგალობელი სამღვდლო საარქიელო და საკათალიკოსო მსახურებისა. 1888 წელს, ქუთაისის საკათედრო ტაძარში მოსმენილ იქნა აღდგენილ კილოებზე აგებული იოანე ოქროპირის წირვა. მოწონების და მიღების შემდეგ ეს წირვა ეპისკოპოს გაბრიელის დავალებით იმერეთის სამღვდლოებამ დააბეჭდვინა (ამის ეგზემპლარი ინახება სახ. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში და მუზეუმში).

ეს წარმატება ფილიმონს, როგორც ბავშვს, ისე ახარებდა. ოცნებობდა, რომ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი დარჩენილი საეკლესიო გალობათა მარაგი და განსაკუთრებით საერო სიმღერების უამრავი კილოები დაიბეჭდება, ზოგი—ცალკე რვეულებად, ზოგი—კრებულებად ეკლესიებისა, სკოლებისა და ქართული მუსიკის მოყვარულთათვის. ამ მარაგს თვალისჩინივით ინახავდა.

კარგად დაწყებული საქმის დამთავრებისათვის საჭირო იყო დრო, ენერჯია და ნივთიერი საშუალება. დრო და ენერჯია ც ფილიმონს ბევრი ჰქონდა, ხოლო ნივთიერი საშუალება—აღარა: ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა დაიხარჯა და მომავალში არაფერი არ ეგულებოდა. მაგრამ იხტიბარს არ იტეხდა! ქედს არ იხრიდა! და ამბობდა:

— თუ აღამიანს ჯანიც აქვს და ცოდნაც, ყველაფერი მოგვარდება. სხვა არა იყოს რა, ახალგაზრდობას საოპერო სიმღერას ვასწავლი, ჩემი ცოლი კი მუსიკის მასწავლებლად იქნება, მსურველები ბევრია.

ამ იმედით მუშაობა განაგრძო.

\* \*

იმდროინდელი ქუთაისის ქართველი საზოგადოება ევროპული მუსიკით დანტერესებული მაინცადამაინც არ იყო. ასეთ მუსიკას, როიალს, რუსი მოხელეების ოჯახებში გაიგონებდით, ხოლო ქართველებში უფრო ხშირად გიტარის ხმაზე აწყობილი, გადაქართულებული ევროპულ-რუსული რომანსები ისმოდა. მუსიკალური სასწავლებელი არ არსებობდა, კერძო მასწავლებლებიც თითო-ოროლა იყო. სიმღერის მასწავლებელი კი—სულ არა. წელიწადში ორჯერ-სამჯერ თუ ჩამოდებოდა თბილისიდან რომელიმე მომღერალი, პიანისტი თუ ვიოლინისტი და მაშინ თეატრში ტევა არ

იყო. დანარჩენ შემთხვევებში ქუთაისის საზოგადოება ეგრეთ წოდებულ „ბულვარში“ კვირაობით სამხედრო ორკესტრის მიერ შესრულებულ მარშებს, ვალსებს და სხვადასხვა ოპერა-ოპერეტების პოპუარის ისმენდა. ეს იყო ქუთაისელებისათვის ერთადერთი „სიმფონიური“ კონცერტები.

თავისი ნამუშევარის ჩაბარების და ჰონორარის მიღებისა და დახარჯვის შემდეგ ფილიმონი საერო სიმღერების ჩაწერას გულმოდგინედ განაგრძობდა. იმავე დროს ქართული სკოლის გუნდს ლობჯინაობდა, მაგრამ ხელფასი ძალიან პატარა ჰქონდა. გაკვირვებამ ხმა ამოიღო და ფილიმონი და დედაჩემი ციმღერის და როიალის სწავლებას შეუდგნენ. ფილიმონს უნდოდა ქუთაისის ქართველ მოსახლეობაში მუსიკის შესწავლის სურვილი ჩაენერგა, თანაც თავისი ნივთიერი ხელმოკლეობა გაეადვილებინა. მაგრამ კედლებზე გაკრული განცხადებები საკმარისი არ იყო, რადგანაც ფართო საზოგადოებაში მუსიკის შესწავლის საჭიროების შეგნება ჯერ საკმაოდ მომწიფებული არ იყო. თანაც მოსახლეობას გაკვეთილებისათვის ფულის გაღება უჭირდა: დღიური ხარჯი ბევრი გვაქვსო, ამბობდნენ, ზოგი კი იძახოდა:

— მუსიკა ფუფუნებაა. შინცდამაინც საჭირო არ არის!

ასე რომ მოწაფეების შეძენა ძალიან გაჭირდა. მაგრამ ფილიმონი ამ საკითხს ორიგინალურად, გულუბრყვილოდ უდგებოდა.

ის ყოველთვის ამბობდა, რომ მუსიკა კულტურული ადამიანის ცხოვრებაში უმნიშვნელოვანესი უბანი უნდა გახდეს. ამავე დროს სწამდა, რომ ქართველები მუსიკალური სმენით და არაჩვეულებრივი, ლამაზი ხმებით სხვა ერებისაგან, გარდა იტალიელებისა, დიდად განირჩევიან.

და ამიტომ, ხშირად, სტუმრად ყოფნის დროს, გაიგონებდა თუ არა ლამაზ და ძლიერ ხმას, მაშინვე შეუჩნდებოდა:

— საოპერო ხმა აქვს! ისწავლე, კარგი მომავალი მოგელის! გასწავლი, უფასოდ გასწავლი, ოღონდ ისწავლე!

ზოგჯერ კი, ქუჩაში გავლის დროს, ღია ფანჯრიდან მოისმენდა რაიმე სიმღერას, ხმას მოიწონებდა და მოუთრიდებლად გაეცნობოდა იმოჯახს. ამის უნებას მაშინდელი „პატრიარქალური“ ცხოვრება აძლევდა. იქაც კარგი ხმის პატრონს და მის მშობლებს აჯერებდა, რომ, მის შვილს ყელში დიდი საუნჯე, საოპერო ხმა აქვს.

ისწავლოს, ნუ დამარბავს. მომავალი ქართული ოპერა ფილიმონის ოცნება იყო და ამით ასაბუთებდა თავის წინადადებას.

უმეტეს შემთხვევაში მშობლები უარს ამბობდნენ.

— ჩემს შვილს ოპერა ან სიმღერის სწავლება რად უნდა? სხვა რამე ისწავლოს, გამოადგება, თავს შეინახავს. სხვა არა იყოს რა, სწავლების ფული არა გვაქვს, ბ-ნო!

მაგრამ ფილიმონი მოკლედ მოუპკრიდა:

— ფული არ მინდა! უფასოდ ვასწავლი!

ეს უანგარო მიდგომა, რა თქმა უნდა, ფილიმონის გაჭირვებას ხელს არ უწყობდა. უფასო მოწაფეები საკმაოდ შეიძინა, ხოლო ფასიანი—ძალიან ცოტა.

ფილიმონის მოწაფეთა შორის მახსოვს სამი: მაშო ძნელაძე, ექიმ ძნელაძის მეუღლე, ძალიან ლამაზი ხმის პატრონი, ელენტი-ჟიგონი, ტენორი და ვინმე სვინცოვა, რომელსაც დიდი სიძლიერის დრამატული სოპრანო ჰქონდა. ფილიმონი ეუბნებოდა:

— ქალო, ქართული ენა შეისწავლე, ქართულ ოპერაში იმღერებ!

— ქართული ოპერა ჯერ სად არის? რუსული კი დიდი ხანია არსებობს. სანამ ქართული ოპერა გაჩნდება, დაგებრდები კიდეც.— უპასუხებდა სვინცოვა.

— შენისთანა ათი რომ მეყოლება, ქართული ოპერაც გაჩნდება!— მიუგებდა ფილიმონი.

ეს სამი გაკვეთილი ფასიანი იყო, მაგრამ თვით ფასი ძალიან მცირე—8-10 მანეთი თვეში. სამივე კონცერტებში იღებდნენ მონაწილეობას დიდი წარმატებით, განსაკუთრებით ელენტი-ჟიგონი.

დედაჩემს ბედი მეტი ჰქონდა: მოწაფეები ბლომად ჰყავდა, მაგრამ დღის განმავლობაში რამდენიმე საათის შრომა ძალიან ღლიდა. ამას ჩემი და ჩემი პატარა დის მოვლა და საოჯახო ყოველნაირი საქთხეები ემატებოდა. დღის ბოლოს იმდენად იჭანცებოდა, რომ არც მისი მხიარული საუბარი და სიცილი მესმოდა, არც ჩემი საყვარელი ბეთხოვენის და შოპენის სონატები.

ფილიმონი სიმღერის ჩაწერას მაინც გულმოდგინედ განაგრძობდა და მისი მეგობრები—რაჟდენ ხუნდაძე, ივლიანე წერეთელი და სხვები ჩვენი ხშირი სტუმრები იყვნენ.

ერთხელ მოხდა ერთი ამბავი, რომელმაც მთელი ქუთაისი ააღელვა და რომელიც ფილიმონს გაკვრით შეეხო.

1888 თუ 1889 წელში მეფე ალექსანდრე III-ე თავის სამფლობელოში მოგზაურობდა. ქუთაისსაც ეწვია ორი საათით. ამის მოლოდინში მთელი ქუთაისი ფეხზე დადგა. განსაკუთრებით თავად-აზნაურობა და ქალაქის თვითმმართველობა ემზადებოდა. მეფის მისაღებად შესაფერი შენობა და დარბაზი არ იყო, ამიტომ შუა „ბულვარში“ სასწრაფოდ ააშენეს ლამაზი სტილის ხის შენობა, ეგრეთ წოდებული „პავილიონი“<sup>1</sup>. თავად-აზნაურობა ამ „პავილიონში“ მეფეს, დედოფალს და მრავალრიცხოვან ამალას გაუმასპინძლდა ჩაითდა სხვადასხვანაირი გასართობით—ქართული ცეკვებით და ქართული სიმღერებით. გუნდის მომზადება დაავალეს ფილიმონს. მან პროგრამა შეადგინა და სხვა სიმღერათა შორის შეიტანა გურული ცოცხალი სიმღერა—„პატარა საყვარელო“. დანიშნულ საათზე სტუმრები მოვიდნენ და მდიდრულად მორთულ მაგიდას მიუსხდნენ. დედოფალს გასართობად რუსული ენის კარგად მცოდნე კნენები მიუჩინეს. როდესაც გუნდმა „პატარა საყვარელო“ შეასრულა, დედოფალმა ერთ-ერთ კნენას მიმართა:

— ძალიან კობტა, მკვირცხლი სიმღერა ყოფილა, ძალიან მომწონს! შინაარსი მიაბზეთ, ან რა ჰქვია?

კნენა ქართულზე მწყარალად იყო, სიმღერის შინაარსიც ხერიაანად არ იცოდა, დაიბნა, გაწითლდა და დიდი ბოდიშით მოახსენა:

— როგორ გაგიბედოთ, თქვენო დიდებულებავ... ამ სიმღერას... პატარა... **пастушок** ჰქვია!

ეს სიტყვა მაღალ წრეებში სადარბაზო საუბრის დროს არაზრდილობიან თქმად ითვლებოდა. დედოფალს ეჩოთირა, წარბი შეიკრა, კნენას ზურგი შეაქცია, თავის სეფე ქალებს მიუბრუნდა და წაილულლულა:

— აქ ვხედავ, ორიგინალური მასპინძლობა ცოდნიათ!

ამ პატარა, უმნიშვნელო ეპიზოდმა საზეიმო განწყობილებას ჩრდილი მოჰფინა.

<sup>1</sup> მეფის წასვლის შემდეგ ეს „პავილიონი“ კოტე შესხმა იჯარით აიღო და თეატრად გადააკეთა, სადაც რამდენიმე წლის განმავლობაში მუშაობდა პროფესიული ქართული დრამატული დასი. 1894 წელს ეს თეატრი დაიწვა.

ნატურების წასვლის შემდეგ კენიანს მისმა მეუღლემ უსაყვედურა:

— შე დალოცვილო, არც რუსული გკოდნია, არც ქართული. არ იცოდი, რომ ამ სიმღერას „პატარა ლუბიმჩიკი“ ეწოდება? სად ლუბოენიკი და სად ლუბიმჩიკი? შენ კი ენაზე ყოველთვის ლუბოენიკი გაკერია და აი, ხომ ხედავ, შეგვარცხვინე!

ამ ამბავმა ფილიმონი ბევრი აცინა, მაგრამ მეგობრები აფრთხილებდნენ—ამ საქმეს კუდი არ მიაბან და შენც არ მოგხვდესო. ფილიმონმა ხელი ჩაიქნია—სისულელეაო. ქუთაისს კი საბაბი მიეცა და ამაზე დიდხანს ლაპარაკობდა.

დრო სწრაფად მიმდინარეობდა. დღეში ორი-სამი საათი სიმღერის გაკვეთილებს უნდებოდა, რამდენიმე საათი—ჩაწერილი სიმღერების გარჩევა-დალაგებას. მარტივი, რთული, მხიარული, კონტრაპუნქტიანი, იმერული, გურული, მეგრული—ცალ-ცალკე ჰქონდა გადარჩეული და დასაბეჭდად გამზადებული. დაბეჭდვის საკითხი ყოველნაირი ტექნიკური და ქონებრივი მიზეზების გამო რთულდებოდა. რამდენიმეჯერ თბილისში წავიდა, გამოძიებულს ეძებდა, დაწესებულებას ან კერძო პირს, მეცენატს, მაგრამ ამაოდ.

— სანამ ამ მარაგს არ დავებეჭდავ, ახალს არ ჩაეწერ!—გაჯავრებული ამბობდა ფილიმონი და ნერვიულობდა.

ზოგჯერ ნივთიერი მდგომარეობის გასამაგრებლად ბათუმში, ფოთში, სოხუმში ქართულ-ევროპულ კონცერტებს მართავდა.

დედაჩემი კი დილიდან საღამომდე დადიოდა სხვადასხვა ოჯახში გაკვეთილების მისაცემად. ასეთმა შრომამ ამ ისედაც სუსტი აგებულების ადამიანზე ძალიან ცუდად იმოქმედა: ხშირად ავადმყოფობდა და გაკვეთილებს აცდენდა. არც დედაჩემი, არც ფილიმონი დასასვენებლად არსად არ წასულან.

1889 წლის ზამთარი არაჩვეულებრივად წვიმიანი და ნესტიანი იყო. გარედაც ციოდა, შინაც. დედაჩემი მძიმე ავად გახდა და ორიოდ თვის შემდეგ გარდაიცვალა. ვერც ექიმებმა უშველეს, ვერც მოვლამ. ფილიმონი ერთბაშად მოტყდა, თითქო საძირკველი გამოუთხარეს. გაჩუმდა, კითხვებზე პასუხს არ იძლეოდა. გაქვავებულივით ერთ წერტილს მისჩერებოდა. გასვენების დროს გარეთ ხელმოკიდებული წაიყვანეს. როდესაც მწვანე ყვავილას სასაფლაოზე კუბო მიწაში ჩაუშვეს, ამოიკენესა ისე ძლიერად, რომ გარშემო მყოფი ხალხი შეკრთა.

კარგა ხნის განმავლობაში ფილიმონს ყველაფრის ხალისი და-  
კარგული ჰქონდა, ალარაფერი არ აინტერესებდა, არც თავისი  
საქმე, არც ოჯახის საქმეები. მე და ჩემს დას, 5-6 წლის გოგო-  
ნას, მეგობრები და მეზობლები გვივლიდნენ. იმ დროს მე გიმნა-  
ზიის მეოთხე კლასის მოწაფე ვიყავი, ფრიაღზე ვსწავლობდი და  
სახელმწიფო ხარჯზე გიმნაზიის პანსიონში მიმიღეს. ჩემი პატა-  
რა და კი დედაჩემის ნათესავეებმა წაიყვანეს გასაზრდელად  
კიევიში. ამნაირად დაინგრა ფილიმონის პატარა და ტკბილი  
ოჯახი.

როდესაც ფილიმონი ოდნავად მოსულიერდა, მან პატარა ოთა-  
ხი დაიქირავა ბალახეანის ქუჩაზე, პიანინო დაიდგა, მაგრამ ხა-  
ლისი დაეკარგა, ვერ მუშაობდა. მოწაფეები გაისტუმრა, სიმღე-  
რის ჩაწერასაც თავი დაანება. მეგობრებმა, ხედავდნენ რა მის-  
სულიერ განწყობილებას, ურჩიეს თბილისში დროებით მაინც გადა-  
სულიყო და იქ ისევ განეგრძო თავისი მუშაობა, რადგანაც ქუთა-  
ისში ყოველივე თავის მიცვალებულ მეგობარს აგონებდა. მეგობ-  
რების რჩევამ გასჭრა და ფილიმონი 1890 წელს თბილისს დაბ-  
რუნდა.

საერთოდ ცხოვრება მას ხან მალლა აიყვანდა, ხან ძირს დაუშ-  
ვებდა. ამისდამინედვით მისი მუშაობის ნაყოფიერება და ელფერი  
იკვლებოდა.

ერთი მხრივ—იტალიაშივე სახელოვანი საოპერო არტისტი,  
მაშინდელი საქართველოს სიამაყე, ქართული სიმღერა-გალობის  
აღდგენის და განმტკიცების დიდი მოამაგე, მისი თანამშრო-  
მელი მეუღლის მუშაობა და დახმარება, მთელი რიგი დიდი  
წარმატებით ჩატარებული კონცერტების საშუალებით ქართუ-  
ლი მუსიკის პოპულარიზაცია, პრესის ხმა; მეორე მხრივ—პე-  
ტერბურგის და თბილისის ოპერებში მუშაობის ტენდენციური  
შეფასება, ქართული ეკლესიის ოფიციალურ და არაოფიცია-  
ლურ წარმომადგენლებთან და რექტორ ჩუდეცკისთან შეტა-  
კება, ჩუდეცკის მოკვლა და ამის შედეგად ქართველი ერის  
შეჩვენება-ანათემა, ბანკის გაკოტრება და სხვა—ერთი-მეორის  
საწინააღმდეგო მოვლენები ფილიმონზე ძლიერად მოქმედებდნენ-  
მაგრამ ჩანს, რომ მისი ბუნება საკმაოდ ძლიერი იყო, დრეკად



ზამბარის მსგავსი: ხან უძლურად (უმწეოდ) მოიკუმშებოდა, ხან ახალი სიძლიერით გაიმართებოდა წელში.

მახსოვს მასთან ერთი, საზოგადოებრივ მოღვაწეობასთან დაკავშირებული, საუბარი:

— ცხოვრება რომ მუჯღუგუნს გამკრავს, დაებარბაცდები, წაქცევაზე ვარ, ხალისი შეკარგება... მაგრამ ინსტიქტიურად ვგრძნობ, რომ ჩემი ძალა დროებით არის მიმალული, თითქოს ისვენებს... რამდენიმე ხნის შემდეგ დასვენებული, ღონემოკრებილი ისევ თავს ამოყოფს და წინანდებურად მოქმედობს. ჩემს ხასიათს ვემორჩილები. ადამიანის ბუნება მეტად ფაქიზი და ნაზი ყოფილა და მის კანონებში არ მინდა ჩავერიო...

თბილისში დაბრუნებისას ფილიმონმა ძველი მეგობრები ინახულა, ოდნავად გაერთო და ცოტახნის შემდეგ სიმღერების დაბეჭდვის საკითხს მიუბრუნდა. გაიცნო ენმე შარაძე, გაზეთ „ივერიის“ ხაზინადარი და საკუთარი სტამბის პატრონი, მეტის-მეტად პატიოსანი, მორწმუნე, სიმღერა-გალობის მოყვარული, კარგი ქართველი, საზოგადო მოღვაწე. მან ნოტების ბეჭდვა ქართველებში, პირველმა შემოიღო. ფილიმონს ბედმა გაუღიმა და ალბათ შარაძის დახმარებით ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ ფილიმონის მიერ ჩაწერილი ზოგი სიმღერის გამოცემა იკისრა. ფილიმონი ცას ეწია, დღე და ღამე სტამბაში იყო, ტექსტს ასწორებდა, კორექტორობას ეწეოდა. დაიბეჭდა 8 სიმღერა, მათ შორის: „ბროლის ყელი“, „ვაჰ დრონი, დრონი“, „ნუ მღერი ტურფავ“, „ინდი-მინდი ფერად შინდი“ და სხვა. თითო სიმღერა 1200 ცალად იყო დაბეჭდილი, სულ 9600 ცალი. თითო—6-8 კაპეკად იყიდებოდა, სულ 744 ზანეთის. საავტორო ჰონორარი ფილიმონს 165 მან. მისცეს. ამ მცირე ჰონორარმა ერთი მხრით ასიამოვნა, ავტორის თავმოყვარეობა დააკმაყოფილა, მეორეთი—ეს თანხა ძალიან მალე დადნა და ფილიმონი ისევ ნივთიერ გაჭირვებაში ჩავარდა. სიმღერების მეორე სერია, ძველთაძველი „მოყვარემან ვარდის კონა გულსა მკრა“, „ბეთლემი“ და სხვა, დასაბეჭდად მოამზადა. გულუბრყვილოდ ფიქრობდა, რომ პირველი გამარჯვების შემდეგ მთელი მისი მარაგი, საზოგადოებისათვის ესოდენ საჭირო, ადვილად დაიბეჭდება. მაგრამ მოტყუვდა: წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თანხები

სხვა კულტურულ მიზნებისათვისაც იყო საქირო; ხოლო პირადად შარაძეს და მის სტამბას იმდენი სასწრაფო და მნიშვნელოვანი შეკვეთები ჰქონდა, და ამასთანავე ნოტის ქაღალდის და სპეციალისტი ასოთამწყობების ხარჯი იმდენად დიდი იყო, რომ შარაძემ ვერ შეძლო ფილიმონის ნაშრომების გამოცემა და ასე ანუგეშებდა.

— ნუ გეჩქარება, ბ-ნო ფილიმონ, შეიცადე. ქართული სიმღერების პირველი რიგის გამოცემა წარმატებით ჩატარდა, ეხლა მოთმინება იქონიე... თქვენი ჩანაწერის მთელი მარაგის გამოცემა ერთბაშად გნებავთ და... ჩემი სტამბისათვის ეს ძალიან ძნელი საქმეა! სხვა არა იყოს რა, ეს უკვე დაბეჭდილი სიმღერები, რომანსები, ნუ გეწყინებათ და კულტურულ მნიშვნელობასთან ერთად, გასართობია მხოლოდ!

— რაკი თქვენ და თქვენს სტამბას ჯერ-ჯერობით სიმღერების მეორე სერიის გამოცემა და დაბეჭდვა გიჭირთ, რა გაეწყობა, დავიციდი. ხოლო რაც შეეხება გასართობს, არ გეთანხმები: ეს მარტივი სიმღერა რომანსები ქართული მუსიკის გაცნობა-შეთვისების პირველი საფეხურია. ხოლო საერთოდ მუსიკის და კერძოდ ქართულის საფუძვლიანი გაცნობისათვის ჩვენს საზოგადოებას სახელმძღვანელო სჭირდება ქართულ ენაზე, მუსიკის, ასე ვთქვათ, ანბანი. ასეთ სახელმძღვანელოს უკვე ვამზადებ!

ამაზე შარაძემ აღფრთოვანებით უპასუხა:

— თუ ასეთ სახელმძღვანელოს მომიტანთ, ბ-ნო ფილიმონ, ტყავს გავიძრობ და ჩემი ხარჯით დავბეჭდავ!

მართლაც ფილიმონი ამ საკითხზე უკვე მუშაობდა, მაგრამ მისი მუშაობა საკმაო ნელი ტემპით მიმდინარეობდა, რადგანაც ერთი მხრივ კახურ-ქართლურ გალობა-სიმღერებს საფუძვლიანად ეცნობოდა და წერდა, გუნდს ლოტბარობდა, მეორეთი—ყოველდღიური ხარჯის გასაწევად სიმღერის კერძო გაკვეთილებს აძლევდა. არა ერთი და ორი შემთხვევა ყოფილა, რომ რუსთა და სომეხთა ოჯახებში როიალის ამწყობად დადიოდა, 5 ან 3 მანეთს მიიღებდა და რამდენიმე დღის განმავლობაში თავს ინახავდა.

ერთხელ, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების ბიბლიოთეკაში მოსე ჯანაშვილმა მეთათე საუკუნის დღესასწაულთა საგალობლების, ხუცური ასოებით დაწერილი დიდი წიგნი აჩვენა. იქ

ყოველი სიტყვის ხმოვან ასოს ზევით და ქვევით ყოველნაირი ხაზები ჰქონდა. ჯანაშვილმა უთხრა:

— ეს ხაზები ძველთა-ძველი ქართული მუსიკალური ნიშნები უნდა იყოს. მუსიკის მკოდნე ბრძანდებით, გადასინჯეთ, შეისწავლეთ და, თუ ამის გაშიფრას მოახერხებთ, ჩენი ძველი კულტურისათვის დიდი შექენა იქნება.

ფილიმონი ამ ნიშნების შესწავლას მაშინვე შეუდგა. რამდენიმე დღის განმავლობაში დღე-ღამე გაასწორა და ბოლოს ეს შიშური გახსნა და დაასკვნა, რომ ეს ყოველნაირი ხაზები: დიდი და პატარა, გრძელი და მოკლე, დაკლანკილი და სწორი, ორ და მრავალკბილიანი, ხმოვან ასოს ზემოთ და ქვემოთ, წვრილი, მსხვილი და მრავალი სხვა ევროპული მუსიკის მთელ ტერმინოლოგიას შეიცავენ და ნიშნავენ: Forte, piano, legato, trioli *gviuloli*, *sincope* და სხვა. დაასკვნა, რომ ძველად ქართული გალობა სამხმოვანი იყო, დაბალი ხმები—სამგვარი: ბანი, დვრინი და დუშები.

სიხარულით მიუტანა ფილიმონმა ეს დასკვნები ჯანაშვილს და თქვა.

— ჩენი ძველი კულტურის ერთ-ერთ კუთხეს ნათელი ეფინება! ამგვარი წიგნები, დარწმუნებული ვარ, ჩვენში მრავალია ეკლესიებში, მონასტრებში და ძველ ოჯახებში. ასეთ ოჯახებს მიგიითითებთ, წამოიღეთ და ჩენი მუსიკის მომავალი მეცნიერები დაამუშავებენ. მე უკვე მოვხუცდი, იმდენი ღონე აღარა მაქვს, რომ ამ საქმეს შევუდგე. თქვენი კი დიდი მადლობელი ვარ, რომ მოგაგონდით და საშუალება მომეცით ამ საინტერესო და ფრთხილ საქირო საქმის თითქმის პიონერი გამხადეთ<sup>1</sup>.

თავისი დასკვნები ფილიმონმა გაზეთ „ივერიის“ 1891 წლის 149 ნომერში მოათავსა.

1892 წელი მან დიდი გაჭირვებით გაატარა და 1893 წელს წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებამ ჯერ ჩაუწერელი გურული გალობა-სიმღერების შესწავლა და ჩაწერა დაავალა. ამ სა-

<sup>1</sup> ფილიმონის დროს ჩვენში ამ საქმის მკვლევარი არაყენ არ აღმოჩნდა, ხოლო დღეს, საბჭოთა ხელისუფლების დროს, ჩენი მეცნიერ-მუსიკოსები, მაგალითად შალვა ასლანიშვილი და სხვები, ძველი ზიფრების ამოკითხვის საკითხებს აწუშავენ.

V ქმის ხელის შესაწყობად მისცეს პატარა ფისგარმონია, რომელიც ადვილად იკეცებოდა და დაკეცილ მდგომარეობაში სწორკუთხიან ყუთს წარმოადგენდა, წონით 2 ფუთი იყო, ხოლო მოცულობით პატარა ურემზე ადვილად თავსდებოდა. ოზურგეთში თითქმის ჩამოსვლისთანავე დავალებს შესრულებას შეუდგა. დაიქირავებდა ურემს, ზედ დაკეცილ ფისგარმონიას დადგამდა, თვითონ კი, უმეტეს შემთხვევებში, ფეხით მისდევდა. ფეხით სიარული მიყვარსო, ამბობდა. რომელიმე სოფელში მივიდოდა და ან ადგილობრივ მასწავლებელს, ან მღვდელს მიადგებოდა. მათი დახმარებით ადგილობრივ ძველ მომღერლებს გაიცნობდა, გალობა-სიმღერის ამბავს გამოჰკითხავდა, ამღერებდა. შემდეგ საღმრთო უფრო კაკლის ან ცაცხვის ქვეშ, ფისგარმონიას გაშლიდა და გაგონილ კილოს იწერდა. ფისგარმონია სოფლად უნახავი ამბავი იყო. მთელი სოფელი შემოეხვეოდა, დიდი ყურადღებით უსმენდნენ და შემდეგ ყოველნაირ შეკითხვებს აძლევენ. ფილიმონი სიმღერების ჩაწერის მიზნებს, ნოტების მნიშვნელობას უხსნიდა. ამგვარი საუბრები ხშირად მთელ ლექციად გადაიქცეოდა ხოლმე. ხშირი შემთხვევები ყოფილა, რომ სოფელელები, საუბრის შემდეგ თითქმის დაკარდნილ მოხუც მოიყვანდნენ, ძველი სიმღერები მან იცისო, ამბობდნენ, მაგრამ მოხუცდა და სახლიდან გასვლა უჭირსო. მაგრამ მოისმენდა თუ არა რომელიმე ახლად ჩაწერილ კილოს, ეს მოხუცი შეწუხდებოდა, გამოცოცხლდებოდა და სიმღერაში შესწორება შეჰქონდა:

— წინად ამ სიმღერას ასე ამბობდნენ, ახლა კი ახალგაზრდებმა გააფუჭეს, გარმონი („ბუზიკა“) შემოიღეს და აბა რა იქნებოდა!—და ექვის თვალით ფისგარმონიას გადახედავდა.

ზოგჯერ ფილიმონს ახლობელ ან შორეულ სოფელზე მიუთითებდნენ:

— იქ მიბრძანდი, ბატონო! იმ სოფელში ძველთა-ძველი კილოები სუფთად არის შენახული. ისევე მღერიან, როგორც ოსმალს შემოსევამდე მღეროდნენ. იქ მიბრძანდი, ბატონო!

სტუმართმოყვარე, ფილიმონის უშუალო მასპინძლები, ყოველნაირად ხელს უწყობდნენ. რამდენიმე დღის შემდეგ ფისგარმონიისათვის ურემს იზოვიდნენ, თვით ფილიმონისთვის—ცხენს და ასე გაისტუმრებდნენ. ნოტებზე გადაღებული სიმღერებით დატვირთულნი, დიდად ნასიამოვნები და გახარებული ფილიმონი გზას

განაგრძობდა. აშნაირად რამდენიმეჯერ იმგზავრა, მრავალი სოფელი მოიარა და მრავალი სიმღერა ჩაწერა. ზამთარში ჩაწერილ მასალას ალაგებდა, ასწორებდა. შემოდგომიდან ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელში სიმღერას ასწავლიდა, თან ვაყებისა და ქალებისაგან გუნდი შეადგინა. გუნდის პროგრამაში ქართული და ევროპული სიმღერები—რომანსები, არიები შეიტანა. 1894 წლის აპრილში ამ გუნდის კონცერტი შესდგა. ამ კონცერტში თავი გამოიჩინეს კეცერაძის ორმა ასულმა—ნატალიამ და სოფიომ. განსაკუთრებით ნატალიამ, რომელსაც არაჩვეულებრივი ტემბრის დრამატული მეცო-სოპრანო აღმოაჩნდა. ფილიმონი მის ხმას თავს ევლებოდა და საოპერო ასპარეზისათვის ამზადებდა, მაგრამ იმედი არ გაუშართლდა: ნატალია ალექსანდრე გამრეკელს მითხოვდა, ოჯახი გაიჩინა და საოპერო კარიერას ასცდა. სამაგიეროდ, მისი უმცროსი ვაჟი, მისი ხმის მემკვიდრე, დავითიცი ახლა ცნობილი და დიდად ნიჭიერი საოპერო მომღერალია.

— მე თუ ოპერაში ვერ მოვხვდი, სამაგიეროდ ჩემი დათიკო მასახლებს!..—მეუბნებოდა ამ რამდენიმე წლის წინათ ნატალია გამრეკელისა.

თავისუფალ საათებში, საღამოობით ფილიმონი მუსიკის სახელმძღვანელოს ამუშავებდა და 1895 წელს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების და შარაძის დახმარებით კიდევ გამოსცა სათაურით: „სახელმძღვანელო ნოტებისა და მისი კანონების შესწავლისათვის“.

ამავე დროს იტალიურიდან გადათარგმნა პიესა „ორი დარაჯი“, დრამა 4 მოქმედებად. ამ პიესამ მთელი საქართველო მოიარა და არა მხოლოდ ქალაქებში და დაბებში დაიდგა, არამედ პატარა სოფლებშიც. დგამდნენ ქართული თეატრის არტიტები და სცენისმოყვარეებიც. ფილიმონი არაერთხელ ჰონორარს არ იღებდა. კმაყოფილი იყო იმითი, რომ პიესის მთავარი იდეა—პატიოსნება და მგობრობა—ხალხისათვის კარგი სულიერი საზრდო იყო.

ამ პიესის წარმატებამ იმდენად გაახარა ფილიმონი, რომ მეორე პიესის თარგმნა დაიწყო, მაგრამ, ალბათ მოუტლელობის მიზეზით, ვერ დაამთავრა.

1894 წელს მე-8 კლასში ვიყავი და საგაზაფხულო არდადეგების დროს ვესტუმრე. საკმაოდ მოზრდილი და ძალიან სუფთა-

ათახი ეპირა. კედელთან ყოველთვის გახსნილი ფისგარმონია ედგა. მოხუცი დიასახლისი დიდი პატივისცემით უვლიდა. თვითონ ფილიმონი თითქმის ყოველთვის კარგ გუნებაზე იყო. მიუხედავად მისი წლოვანებისა—65-სა იყო—ახალგაზრდულად მხნე იყო. ხშირად საოპერო არიებს იგონებდა—ხმა ხომ არ დამკარგვიაო? ერთხელ დილა-ადრინად „ჭუგენოტებიდან“ მარსელის არია დაიწყო. როდესაც მარსელი თოფის ხმას ბაძავს, ეს პიფ-პაფ! პიფ, პაფ! ისე ძლიერად დაიძახა, რომ შეეკრთი, კარებში კი დიასახლისის შეშინებული სახე გამოჩნდა. ფილიმონმა გადიხარხარა, დიასახლისი დაამშვიდა და უთხრა:

— ნუ გეშინიან, ხმას ვარჯიში სჭირდება და იმიტომ ვიყვირე... აბა, ერთი გურული სულგუნი მიყიდე, ჩემს ბიჭს უნდა გავუშასპინძლდე. შემოდლა გამოვიდე! ისინი კი, პეტერბურგის გაზეთებში წერდნენ: ეს იტალიელი მომღერალი შარაგზაზე ავაზაკების საფრთხობელად გამოდგებო! სულელები! .

1894 წელს გიმნაზია დავასრულე. უმაღლეს სასწავლებელში წასვლის წინ ისევ ვესტუმრე გამოსათხოვებლად, მკითხა:

— საით აპირებ, შვილო? რა დარგზე?

— ჯერ იურიდიულს გავათავებ, მერე...

— მერე?

— მერე არტიტი უნდა გავხდე!..—გაუხედავად ვუპასუხე.

— საამისო უნარი გაქვს?

— მითხრეს გაქვსო...

— აგრე!..—მძიმედ დაფიქრდა და შემდეგ მითხრა:

— ხელოვნება... სცენა ძალიან... ძალიან მომხიბლავი და საამო საქმეა, ხალხისათვის მეტად საჭირო და სასარგებლოც, მაგრამ... და ფიქრის შემდეგ განაგრძო:

— ხელოვნება მაისის ვარდის მსგავსია: მისი მშვენიერი, ძლიერი სურნელება აღამიანს დაათრობს, მაგრამ ეკლებიც ახლავს: მოწყვეტას რომ მოინდომებ, ფრთხილად იყავი: შიგ გულში ჩაგვსობა... კარგი გზა აგირჩევია, მაგრამ ჯერ—ცხოვრებაც გაიცანი, აღამიანიც შეისწავლე... რალა ბევრი გიქადაგო, რაკი გადაწყვიტე, გზას შეუდექი. რითაც შემძლება, უფრო რჩევით, დაგეხმარები. ეხლა კი ეს აილე, გამოგადგება...

უჯრიდან კონვერტი ამოიღო, შიგ დასტა ფული იყო. მომაწოდა მეუცხოვა: ვიცი, რომ ძალიან ცოტას იღებდა, მაგრამ ახალგაზრდულმა ეგოიზმმა დაძლია, იმ დროს გზის ფულიც არ მქონდა და გამოვართვი.

— ამ ფულს გაუფრთხილდი, უაზროდ ნუ დახარჯავ, შენი პატარა და ინახულე ხოლმე და მისი ამბავი მომწერე... ინსტიტუტში სწავლობს, ჯერ პატარაა და მისვლისას ტკბილეულობა რამე მიუტანე, გაეხარდება. ეხლან კი კარგად იყავი!

მომეხვია, ხელი მაგრად ჩამომართვა. მისი ცრემლები არასოდეს არ მინახავს, ახლა კი თვალები ნამიანი ჰქონდა. გავემგზავრე. გზად კონვერტი გაეხსენი: შიგ მანეთობით და სამმანეთობით დაგროვილი, მრომით და ოფლით შექმნილი 144 მანეთი იყო.

მხოლოდ 8 წლის შემდეგ დავბრუნდი სამშობლოში და ფილიმონი ვნახე. მანამდე კი იშვიათი მიწერ-მოწერა გვექონდა. თავის საქმიანობის შესახებ თითქმის არაფერს არ მწერდა, ჩემს და ჩემი დის ამბავს კითხულობდა. ჩემი წასვლის ერთი წლის შემდეგ წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების ყოველთვიური სტიპენდია მომიხერხა.

\* \*

საქართველოში მე და ჩემი ინსტიტუტ დამთავრებული და 1902 წელს დავბრუნდით. ფილიმონი იმ დროს თბილისში ცხოვრობდა, გუნდს ლობთარობდა და ჩაწერილი სიმღერების დაბეჭდვას ისევ ამოდ ცდილობდა. რა თქმა უნდა, სადგურზე დაგვხვდა, გადაგვხვებია და შემდეგ მე ხელი ჩამომართვა, შევატყვე, რომ ხელი უკანკალეზდა, თვალები უღიმოდა, პირველ წუთებში დალაგებულ სიტყვას ვერ ახერხებდა, ძლიერ ღელავდა.

— რა გაღელვებს, მამა? ხედავ—კარგად ვართ?

— შენ—8 წელიწადი, ჩემი გოგო კი 12 წელიწადია არ მინახავს—შენც აღელდებოდი...

დავაკვირდი: ფილიმონი მაღალი ტანისა იყო და ახლა დავინახე რომ სიმაღლე საგრძნობად დაკლებია, ოდნავად მოხრილია და ნაბიჯიც უფრო მძიმე და ნელი აქვს.

მაშინვე ეტლში ჩაგვსვა და მიგვიყვანა სასტუმროში, სადაც თვითონაც ცხოვრობდა. ვერ მოვითმინე და ვკითხე:

— განა სასტუმროში ცხოვრება არ გეძვირება?

— არა, შვილო, სასტუმროს პატრონი გურულია, ქართული მუსიკის დიდად მოყვარული და ჩემი, როგორც მოღვაწის, პატივისმცემელია. აქ თვითონ გადმომიყვანა—აქ იცხოვრეო, ფულს ვერ გამოგართმევ, მეტიც კომ შემეძლოს, უფრო პატივს მცემდიო!..

დავლაგდით თუ არა, ჩვენი რუსეთში ცხოვრების ამბავი დაწვრილებით გამოგვკითხა. შემდეგ ჩვენებური სადილით, ღომითა, სულგუნით და ხილით გაგვიმასპინძლდა. ჩემს დას თვალს არ აშორებდა. ჩემი წერილებიდან იცოდა, რომ მას მშვენიერი, საოპერო ხმა აქვს, მაგრამ ჯერ-ჯერობით ამ საგანს არ ენებოდა. მეორე დღეს საღამოს თავისი გუნდის რეპეტიციაზე წაგვიყვანა. გუნდში უმეტესობა გურულები იყვნენ. თუმცა იმ საღამოს სამუშაო ვარჯიში იყო დანიშნული, მაინც, თითქოს ჩვენდა პატივისაცემად, რეპეტიციას საზეიმო ხასიათი მისცა: მთელი გუნდი ჩაქვურად იყო ჩაცმული. საუკეთესო სიმღერებს ასრულებდა. არც სიმღერის შეჩერება იყო, არც შენიშვნები.

გაისტუმრა თუ არა გუნდი, გვკითხა:

— როგორ მოგწონთ? რომელი სიმღერა უფრო მოგეწონათ? როგორ ასრულებენ? თქვენ ეხლა ჩემთვის ახალი კრიტიკოსები ხართ...

ამავე დროს დავაგდა ისე, თითქოს რომელიმე უმაღლეს სასწავლებელში გამოცდას აბარებდა.

გუნდი შესანიშნავად მღეროდა, რჩეული სიმღერები იყო. ძალიან მოგეწონა, განსაკუთრებით ჩემს დას, რომელსაც, რუსეთში აღზრდილს, ქართული სიმღერები თავის დღეში არ გაეგონა. მას კოლორატურა ჰქონდა და კრიმანჭულმა გააკვირვა.

— ქალის კოლორატურა მესმის, მაგრამ მამაკაცის კოლორატურა არ წარმომეღვინა!—ამბობდა.

სამიოდე დღის შემდეგ ფილიმონმა ზოგი თავისი მეგობარია გაგვაცნო. წაგვიყვანა კბილის ექიმ ვარლამ ჭიჭინაძის ოჯახში,



ზადაც თავს შინაურით გრძნობდა. თბილისის ქართველ საზოგადოებაში კიჭინაძის ოჯახი, ქმარი და ცოლი, ცნობილი იყო, როგორც ხელოვნების და ქართული ლიტერატურის დიდად მოყვარული და როგორც ტკბილი მასპინძელი. იქ ძალიან სასიამოვნო ატმოსფერო შეიქმნა და შინაურული კონცერტი გაიმართა. კონცერტის ცენტრი, როგორც უცხო სტუმრები, ჩვენ შევიქვებით: ჩემი და მღეროდა, მე კი ვიოლონჩელზე ვუკრავდი და დუეტებში მონაწილეობას ვიღებდი: იმ დროს საკმაო ხმა მქონდა—ბანი.

ფილიმონი ჩვენს სიმღერას განსაკუთრებული, ნერვიული ყურადღებით უსმენდა და, როდესაც ჩემი და იტალიურ რომანსებს, ან რუსეთის თანამედროვე კომპოზიტორებს მღეროდა, მამაჩემს სახეზე დიდი სიამოვნება ეწერა, სუფრაზე. ჩაის დროს, თქვა:

— ჩემო გოგონა, შესანიშნავი, არაჩვეულებრივი ტემბრის სქა გქონია, მაგრამ სიმღერის სწავლა უნდა განაგრძო. თუ აქ დარჩები, გასწავლი.

და სიცილით უთხრა მასპინძლებს:

— ხედავთ? ორი მოწაფე შევიძინე და ორივე, როგორც მჩვევია, უფასო!

ერთ საღამოს მუშტაიდის ბაღში წაგვიყვანა. იქ გურული რაზმის [Гурийская дружина] სამხედრო ორკესტრი უკრავდა ვინმე კეშელავას ხელმძღვანელობით. უკრავდნენ ქართულ მარშს. როცა გაათავეს ვკითხე:

— ეს რა მარშია? ქართული უნდა იყოს!

— დიახ, ქართულია! ჰქვიან—„წაპ!“ ბატონმა ნიკო დადიანმა მომადიქრა. ტექსტი მომცა და მიჩია ამ ტექსტზე ქართული მარში დამეწერა. მართლაც, მასალად ხალხური სამხედრო სიმღერები ავიღე და დავწერე. ხალისიანი და მხნე გამოდგა. შეუპოვრად წინ გასწი, მეომარო! წაპ! ამ მარშს ყველა ისმენს, ესეც ჩვენი მუსიკის პროპაგანდაა! ამ მარშის მამა-ავტორი მე ვარ, ხოლო ნიკო დადიანი—ნათლია. წაპ, მან დაარქვა!

ერთი ხნის შემდეგ მე და ჩემი და დასავლეთ საქართველოში წავედით. ქუთაისსა, ბათუმსა და სოხუმში კონცერტებს ვმართავდით და შემოსავლით ზურგს ვიმარგებდით. შემოდგომაზე ქუთაი-

სის ქართულ დრამატულ დასში შევედი მსახიობად, ხოლო ჩემი და მოსკოვში დაბრუნდა, სადაც მისი მასწავლებელი, ფილიმონის და დედანემის იტალიიდანვე დიდი მეგობარი, გამოჩენილი მომღერალი პავლოვსკაია ეგულებოდა. ასე რომ ფილიმონმა ორი „უფასო“ მოწაფე დაჰკარგა.

ამის შემდეგ რამდენიმე წლის განმავლობაში თბილისში ცხოვრობდა და მხოლოდ დროგამოშვებით გურიაში დადიოდა. შეამჩნია, რომ მთებში და ბარში გაგონილი ერთი და იგივე სიმღერა ტემპერამენტით, ფერადებით და განსაკუთრებით კრიმანჭულით ხშირად განსხვავდებიან, და ამიტომ რამდენიმე ხანი დაჰყო სუფსაში, ნიგოთში და უფრო ლანჩხუთში მღვდელ ჩხარტიშვილთან, გალობა-სიმღერის კარგად მცოდნესთან. მისი დაკვირვების და ძიების შედეგები ჩემთვის არ უამბნია, კრიმანჭული კი დაახასიათა, როგორც სიმღერაზე შემოვლებული გამაცხოველებელი იმპროვიზაცია-მრავალი ჩვენი სიმღერა კონტრაპუნქტზედ არის აგებული და კარგი კრიმანჭული ამ კონტრაპუნქტს აგვირგვინებს.

ფილიმონის იმდროინდელი ცხოვრება თბილისში მის მიერ ჩაწერილი უამრავი მასალის დაბეჭდვის ზრუნვით ხასიათდებოდა, მაგრამ ზრუნვა ზრუნვად რჩებოდა.

— მოვხუცდი და ჩემი ნაშრომი შთამომავლობას დაბეჭდილი უნდა გადაეცე, — ამბობდა ფილიმონი. მას არც მეცენატის, არც რომელიმე დაწესებულების იმედი აღარ ჰქონდა და შარაძეს არ შორდებოდა: იცოდა, რომ შარაძე მთელი გულით თანაუგრძნობდა და გულუბრყვილოდ ფიქრობდა, რომ ქართული მუსიკა შარაძისთვის მთავარი საგანი უნდა ყოფილიყო. ქართული გალობა-სიმღერის დაბეჭდვა და გავრცელება ფილიმონის „იდე-ფიქსი“ გახდა-შარაძე ეუბნებოდა:

— მოუთმენელი გამხდარხარ, ფილიმონ, თითქმის ჟინიანი!... მომითმინე, ამ უამრავი მასალის დაბეჭდვას ხუმრობ? დიდი თანხა სჭირდება და ჯერ-ჯერობით შეიცადე... — ფილიმონი კი უპასუხებდა: — ჟინიანიო? სემინარიაში ბერძნული და ლათინური გრამატიკის შესწავლაში ჟინიანობამ შემიწყო ხელი!

იმ დროს შარაძის მიერ შედგენილი გუნდის ერთ-ერთ წევრს, ვინმე კერესელიძეს დაუახლოვდა. კერესელიძემ მუსიკის უნარი გამოიჩინა და ფილიმონმა მუსიკის ძირითადი კანონები, — ნოტების

კითხვა და წერა—შეასწავლა. ეს ყმაწვილი მისთვის ამ ახალმა საქმემ მეტად გაიტაცა. ნოტების წერაში კარგი ხელი აღმოაჩნდა და ცოტა ხნის შემდეგ ფილიმონი მას თავის მიერ ჩაწერილ საგალობლების და სიმღერების გადაწერას ანდობდა და ავალებდა. გადაწერილს კორექტურას უკეთებდა და დიდი სიფრთხილით ინახავდა.

იმ პერიოდში ხშირად ვხვდებოდით—ხან მე მივიდლოდი, ხან ის მოდიოდა. გუნების (ბარნოვის) ქუჩაზე ვცხოვრობდი. ჩემს სახლამდე საქმაო დიდი აღმართი იყო. ამოვიდოდა თუ არა, ჩემი მეუღლე ნინო მაშინვე სკამს მიაწოდებდა:

— დაისვენეთ, ბ-ნო ფილიმონ, აღმართში ამოსვლით დაიღლებოდით! ფილიმონი ოდნავად ნაწყენი კილოთი უპასუხებდა:

— მთებში ვარ დაბადებული და გაზრდილი, რა დამლღის? გული კაჟივითა მაქვს, ავადმყოფობა არასოდეს არ გამომიციდია!.. გნებავთ რომელიმე არია გიმღეროთ?..

დაიწყებდა მეფისტოფელის „ოქროს კერპის“ სიმღერას, შეჩერდებოდა, გაიცინებდა და მაინც ჩამოჯდებოდა, ოთხმოცს ცოტადა აკლდა, მაგრამ არ ეტუბოდა. მე კი ვხედავდი, რომ უძღურდებოდა.

როდესაც კარგ გუნებაზე იყო ხალისიანად გვებაასებოდა. სადილის დროს საკმელს მდლიანად შეეკცეოდა და ამბობდა:

— კარგი რძალი მყოლია! სცენაზედაც დიდად ნიჭიერია, საცივის მომზადებაშიაც ნიჭიერი ყოფილა!—ჩვენს ბინას გადახედავდა:

— ამ ოთახებს ქალის მადლიანი ხელი ეტყობა... ერთ დროს მეც სუფთად და მყუდროდ ვცხოვრობდი...—და მძიმედ ამოიოხრა. ძალიან ხშირად მითქვამს მისთვის:

— ჩემთან გადმოდი, მამა! მოგივლით, სუფთადაც იქნები, მყუდროდაც!..

მაგრამ ყოველთვის კატეგორიულ უარს ამბობდა:

— არა, შეილო, არ შემიძლიან და, ნუ გეწყინება, არც მინდა. მე ჩემი ხასიათი, ჩემი ზნე-ჩვეულება მაქვს, თქვენ-თქვენი. ერთი მეორეს შევაწუხებთ და ხომ იცი!.. ჩემს ოთახში როცა მინდა აუღვები, როცა მინდა დავწვები, როცა მინდა ჩავახველებ, წავალ-წამოვალ და სხვა. თქვენთან კი თქვენც შევაწუხებთ, ჩემს თავსაც... შეზღუდული ვიქნები... და ამიტომ ამაზე ლაპარაკო შეეწყვიტოთ!

და როდესაც ამ საკითხს ეუბრუნდებოდით, ფილიმონი ანჩხლობდა კიდევ. მხოლოდ ერთხელ ზაფხულში წალღერში გვეწვია და სამიოდე კვირა დარჩა. აქ აგარაკია, სოფელი, ცხოვრება პრიმიტიულია— არც მე გაწუხებთ. არც თქვენ მაწუხებთო. ქალაქში კი... იმართლებდა თავს. დილაადრიანად ტყეში წავიდოდა, ჰაერს ხარბად ეწაფებოდა, ხმას ავარჯიშებდა, ტყისა და ხევის ამოძახილს უსმენდა. დაბრუნდებოდა და გვეტყოდა:

— ამ შესანიშნავ ჰაერში ხმა ისე მაქვს, რომ დღესაც შემძლია ოპერაში გამოვიდე!

სამწუხაროდ მისი ხმა დიდი შრომის, გაპირებებისა და ნერვიულობის მიზეზით უკვე გაბზარული იყო. მაგრამ არ იმჩნევდი.

თბილისში დაბრუნების შემდეგ ერთხელ ძალიან შეწუხებული მოვიდა და მიაშბო, რომ ძველთაძველი სიმღერების ერთი რვეული მოჰპარეს. ვანუგეშებდი:

— მოინახება, მამა! აბა ვინ მოიპარავდა? ალბათ სადმე ისეთ ადგილას შეგინახავს, რომ ახლა აღარ გახსოვს. ნოტების ქურდი არ გამიგონია!

ფილიმონს ეწყინა:

— მეხსიერება ჯერ არ დამკარგვია!.. ნოტების ქურდი კი... ადამიანი შურიანია და... ჩემი ნაშრომი დიდ განძს წარმოადგენს!

რამდენიმე დღის შემდეგ დაკარგული რვეული, ჯერ გადაუწერელი, სტამბაში აღმოჩნდა: სტამბის დამლაგებელს სხვა უვარგის ქალადგებთან ერთად სანაგვე ყუთში გადაუგდია. შემდეგ ვკითხე:

— ახლა ნოტებს ხომ კარვალ ინახავ?

— ძალიან სანდო ადამიანს ვაბარებ, ძალიან სანდოს!..

— ვის?

— არ გეტყვი!.. წამოგცდება სადმე და!.. მერე გაიგებ!

ასეთი პასუხი არ მესიამოვნა უფრო იმიტომ, რომ მის ხასიათში ახალი თვისება დავინახე: ეჭვიანობა. გული მტკიოდა, რომ ეს დიდი ადამიანი ისეთ წვრილმანზე ხურდავდებოდა, როგორცაა ეჭვიანობა. სიანჩხლევ დაეტყო. ზოგჯერ წინააღმდეგობას ველარ იტანდა, განსაკუთრებით მუსიკის საკითხებში. ეს ხდებოდა უფრო მაშინ, როდესაც ვინმე, ან რაიმე გაამწარებდა. დანარჩენ დროს კი წინანდებური ფილიმონი იყო.

ერთხელ საღამოს მივედი. თანჯარა ღია ჰქონდა, თისგარპონიის ზმა ისმოდა. კარებთან შეეჩერდი და ერთხანს ვისმენდი: ეს იყო მისი დასვენების საყვარელი წესი-იმპროვიზაცია. ეტყობოდა... კარგ ვუნებაზე იყო. სხვადასხვა ხასიათის და ფერის აკორდები ერთი მეორეს მისდევდა, ხან აჩქარებული, ხან მიწელებული ტემპით. ნაღვლიანი მინორი მინე მაყორზე გადადიოდა. შიგ ჩვენი საგალობლები და საერო სიმღერები ერთი მეორეს ებმებოდნენ, იხლართებოდნენ და შემდეგ იშლებოდნენ. შიგ ნაწყვეტ-ნაწყვეტად „წმინდაო ღმერთოც“, „უფალო შეგვიწყალებ“ „ინდი-მინდიც“, „ალი ფაშაც“. „კაკაბიც“, „ფაცხაც“ და სხვაც ისმოდა. კარგი თანტაზიის პატრონი პოეტი პოემას დასწერდა.

უკანასკნელი აკორდების შემდეგ შევედი.

— კარგ ვუნებაზე ყოფილხარ, მამა!

— არა მიშავს რა! რამდენიმე სიმღერის დაბეჭდვას შეპირდნენ და მიხარიან!

— რაც მოვისმინე, მთელი ოპერის მასალაა.

— დიახ, რაც ჩაწერილი მაქვს, მომავალ ქართულ ოპერებს ფუძედ უნდა დაედოს. თუ ვიცოცხლე და ნამდვილ ქართულ ოპერას ველირსე, ბედნიერი ვიქნები.

— ელირსები, მამაჩემო! უკვე იწერება...

— ვიცი... გამიგონია... მელიტონი და ფალიაშვილი... არაყი-შვილი... წუთით შეჩერდა და განაგრძო:

— მხოლოდ ერთი რამე მაფიქრებს: ვაი თუ თავის ოპერებში ხალხურა სიმღერები გაართულონ, არსებულა მწელოდიებს ძალა დაატანონ და არამუსიკალური ეგრეთ წოდებული მეცნიერება შეიტანონ!

— რანაირად?

— გამიგონია, რომ ახალი კომპოზიტორები თავის ნაწარმოებებს რაიმე მათემატიკურ ფორმულებზე აგებენ...

მის ხმას სიანჩხლე შევატყვე.

— მელიტონის დიდი იმედი მაქვს... კეჟას ძალას არ დაატანს... რასაც დასწერს, ფართო მასშტაბისათვის გასაგები იქნება, სასიამოვნოც... ჩვენს მუსიკოსებში ერთი ვინმე მეგულება, დიდად ნიკიერი... სულხანიშვილი... მთელი მისი მუსიკალური არსი ძველი ქართული სულისკვეთებით არის გამსჭვალული. ვიცნობ და ერთხელ მისი იმპროვიზაცია გავეგონე... მისი დიდი იმედი მაქვს!

— შენ, მამაჩემო, ვიცი მორწმუნე არა ხარ, შენს იმპროვიზაცი-  
აში კი მრავალი სასულიერო, საეკლესიო ჰანგები, ლოცვები...

— მორწმუნე არც წინათ ვყოფილვარ, არც ახლა ვარ. მაგრამ  
მრავალ საგალობელში მხოლოდ მუსიკას ვხედავ, ღრმა და ძლიერ-  
მუსიკას, დინჯს და აზრინანს. იმიტომ არის, რომ სასულიერო  
მუსიკის ჩაწერა ძლიერ მახალისებდა. ზოგი საგალობელი მთელი-  
სიმფონიის თემაა...

მისი „მეგრული სიმფონია“ მოაგონდა და მწარე ღიმილით თქვა:

— დავეწერე და მიკიჟინეს: ჩამორჩენილი ყოფილხარ!.. როგორ  
მითხრეს? „კონსერვატორი!“

— ხო, მაგრამ, ნუ გეწყინება და ახლანდელი სიმფონია  
ძალიან დიდი დიაპაზონის და მეტად რთული ნაწარმოებია. შიგ  
მრავალი საკრავი იღებს მონაწილეობას. შენი სიმფონია კი მეტად-  
უბრალო, სამხმოვანი ნაწარმოებია...

ვთქვი და ვინანე, ძალიან ეწყინა, შემომხედა და თავშეკავებით:  
მითხრა:

— ამაზე ლაპარაკს თავი დაგანებოთ. ამ საკითხში, მგონი, შენც  
მათი ბანაკის ყოფილხარ!...

ძალიან მოკლე ხნის შემდეგ მოვიდა და ჩვეულებრივი მოსალ-  
მების ნაცვლად, პატარა ქალაქი მომავლდა, წაიკითხეო. შიგ ეწე-  
რა: „სიმფონია—ეს ხმების თანხმიანობაა“.

„ტონალობით მონათესავე და ჰარმონიულად შეერთებული რამ-  
დენიმე ხალხური სიმღერა—ხალხურ სიმღერათა სიმფონია იქნება“.

ეს ციტატები ენციკლოპედიური ლექსიკონიდან ამოუწერია.

ამაყად შემომხედა და მითხრა:

— მაშ ჩამორჩენილი ვყოფილვარ, კონსერვატორი!.. ისინი, ვინც  
ამას წერდნენ, ისინიც კონსერვატორებიან? არა, მეცნიერებია, მაგ-  
რამ სალი აზრის მეცნიერები. დღევანდელი კომპოზიტორების ნა-  
წარმოები მეტისმეტად რთული და ხმაურიანია, მსმენელის ყურთა-  
სმენას აყრუებს. უბრალო ხალხი, მასხა მათი მუსიკით ვერ ისი-  
ამოვნებს. მათი მუსიკა გაოსტატებული, ვიწრო ჯგუფის მსმენელე-  
ბისათვის იწერება. ფართო მასები კი—განზნე! მე რომ საშუალება  
მქონდეს, მცირე შემადგენლობის ორკესტრს შევადგენდი და პროგ-  
რაშაში სულ უბრალო, მარტივ, მელოდირ და მოკლე ნაწარმოებს  
შევიტანდი. ამნაირი ნაწარმოებით ჩვენიც და მსოფლიო მუსიკაც

ნავსება. ასეთი მუდმივი ორკესტრით და გუნდით მთელი საქართველოს დაბა-სოფლებში ვივლიდი, უბრალო ხალხს მსოფლიო მუსიკას ვავაცნობდი და მუსიკალურ კულტურას ვაზიარებდი. ეს ეხლანდელი წესის სიმფონიები კი მხოლოდ რთული და ხმაურიანი ორკესტრიზაციაა. უბრალო მსმენელი ასეთი მუსიკით დაიღლება და გაბრუნდება, ძირითად კილოს კი ვერ გაიგონებს!..

ვხედავდი, რომ საყვარელ საგანს მიაგნო და დიდი სურადლებით ვუსმენდი.

ბოლოს აკომპანემენტს შეეხო. ორი-სამი დღის წინათ ერთ კონცერტზე ვიყავით. მონაწილეობდნენ მომღერლები და ვიოლინისტი. პროგრამა „ქრელი“, „პოპულარული“ იყო: რომანსები, არიები. ახლოს ერთი „სწავლული“ მუსიკოსი გვიჯდა. არიის შესრულების შემდეგ თავის მეზობელს უთხრა:

— ხედავთ, როგორი აკომპანემენტი იყო? რთული, მრავალფეროვანი... მომღერალიც და მისი არიის მელოდიაც დაჩრდილა!..

ფილიმონი აღელდა, მაგრამ თავი შეიკავა და ლაპარაკში არ ჩაერია. ახლა ეს ამბავი მოაგონდა და ამბობდა:

— ნამდვილი აკომპანემენტი მხოლოდ ძველმა იტალიელმა კომპოზიტორებმა და ჩვენმა უბრალო, უსწავლელმა ხალხმა იცის. იტალიელები სიმღერას და მომღერალს შეგნებულად ხელს უწყობენ, სირთულით და ხმაურიანობით არ უშლიან. მსმენელიც მელოდიას და მომღერლის ოსტატობას დაუბრკოლებლად ისმენს და გაგონილით სიამოვნებს. როდესაც ორი ადამიანი ერთდროულად მელაპარაკება, საგნის გაგება მიჭირს, ორ კურდღელს ერთბაშად ვერ დავიჭერ. ეხლანდელები ამბობენ, რომ მუსიკაში სირთულე ბუნებრივია და კანონიერიც, დიდი ოსტატების ნაფიქრია და ნაცადი. შესაძლოა, მოვხუციდი და ჩემი ყურთასმენა დაღლილია, მაგრამ განა სოფლის ყურთასმენაც დაღლილია? არა! უბრალო, სოფლურ სიმღერა-რომანსებს დააკვირდი: ყველგან შემოღებული ფანდური და ჩონგური სიმღერას და მომღერალს სამი-ოთხი უბრალო, ნაზი აკორდით თან ეხლება. მთქმელიც და მსმენელიც სიამოვნებს...

— მე მგონია, მამაჩემო, რომ სოფლის უბრალო ავტორს რთული აკომპანემენტის შექმნა არ შეუძლია, საამისოდ მუსიკის კანონების ცოდნა არ აქვს და ამიტომ ჩონგურით კმაყოფილდება.

— ცდები. შეილო! უპრალო ხალხმა თუ ისეთი რთული სიპლე-რები. როგორც არის „ალი-ფაშა“, „კახური ეამიერ“, „ჰასან-ბე-გურა“ შექმნა, სადაც მუსიკის ურთულესი ფორმაა—„კონტრა-პუნქტი“, ჩანს, მუსიკის ცოდნაც ჰქონია, მაგრამ ეს ცოდნა თავი-სებურია, ორიგინალური, და ამ წმინდა ხალხური მუსიკის შეს-წავლა და ათვისებაა საჭირო! ახლანდელეები ევროპული და რუსული-ახალი მუსიკის კანონებს მისდევენ, ჩვენი ნამდვილი, ხელუხლებელი-ხალხური მუსიკა კი გაცნობილი არ არის, შესასწავლად დიდს და ძვირფას მასალას წარმოადგენს, მაგრამ... ჯერ უნდა დაიბეჭდოს!— მოულოდნელად დაამთავრა ფილიმონმა.

ამგვარი საუბარი ხშირად გვექონდა, მაგრამ როდესაც დაბეჭ-დვის საკითხი თავს იჩენდა, ფილიმონი დაფიქრდებოდა, ცუდ-გუნებაზე დგებოდა, გაჩუმდებოდა და გასასტირებლად მიდიოდა-კარგად მახსოვს ერთი საუბარი, რომელიც ფილიმონის საერთო მუშაობას და მოღვაწეობას შეეხო. არ ვიცი, სიტყვამ მოიტანა, თუ სხვა რამე მიზეზი იყო, შევეკითხე:

— რა გერჩია, მამაჩემო, საოპერო ასპარეზი თუ ქართული მუ-სიკის ვარშემო მუშაობა?

არც უფიქრია, ისე მიპასუხა:

— ~~საოპერო ასპარეზმა~~ დროებით კმაყოფილება მომცა: ვამა-ყობდი, რომ მე, ქართველმა კაცმა. ჩვენი ქვეყანა ვასახელე, ტაშს მიკრაუდნენ, წერდნენ სახელოვანი კაცი ხარო. შემდეგ კი დაეფიქრ-დი და დაეინახე, რომ გამოჩენილი მომღერლის წარმატება და-ბედიც დროებითია, წარმავალია. დღეს ხელით მატარებენ, მადი-დებენ. მოკვდები—ჩემი ხსენებაც გაჰქრება, ჩემი კვალიც არ დარ-ჩება, ჩემს ქვეყანას, შთამომავლობას ვერაფერს ვერ დაეუტოვებ-

ჩემი დღევანდელი მუშაობა კი—საზოგადო მოღვაწეობაა, შინა-არსით სავსე, ჩემი ქვეყნისთვის სასარგებლო და საჭირო. ჩემი ნამუ-შევარი, ჩაწერილი და დაბეჭდილი არასოდეს არ წაიშლება და ჩვენს ქართულ მუსიკას მაღლა აიყვანს, სხვა ქვეყნების მუსიკას გადააქარებებს და მომავალი ოპერების ფუძედ დაედება! არ იფიქ-რო, შეილო, რომ ჩემი თავის ქება მინდოდეს! არა! ჩემს სიტყვებს ჩემი ჩაწერილი და იმ პატიოსანი ყმაწვილის, კერესელიძის ხელით გადაწერილი რეჟულები ამოწმებენ. ძალიან მეშინიან, მთელი ეს



განძი, ჩემს შემდეგ, სადმე სარდაფში, ან რომელიმე მუზეუმის თავების სახრავე არ გახდეს.

სწორედ იმ ხანებში ფილიმონმა ნაცნობ იტალიელებთან მისვლამოსვლას მოუხშირა: ერთობოდა და საუბრებში გულს აყოლებდა. ერთხელ ძალიან კარგ გუნებაზე მოვიდა, ხუმრობდა და ოხუნჯობდა.

— ეხედავ, კარგ გუნებაზე ხარ, მამაჩემო! ალბათ შენს საქმეზე სასიამოვნო რაზე გაიგე?

— გავიგე!.. ძალიან სასიამოვნოც!—და იღიმებოდა.

— მაინც?

— შემდეგ გაიგებ!..

— როდის?

— აკი გითხარი—შემდეგ-მეთქი!..—ისევ იღიმებოდა და მის ღიმილში რაღაც საიდუმლოება ჩანდა.

ალარ ჩავაცივდი. სადილის დრო იყო და სუფრას მივეუჯექი. მთელი სადილის დროს და მთელი საღამოც მშვენიერ გუნებაზე იყო. თავის საქმეებს სრულებით არ ეხებოდა, მხოლოდ იტალიას იგონებდა, იქაურ ცხოვრებას, იქაურ ხალხს, მის კულტურას, მის საქმიანობას ეხებოდა.

\*  
\*  
\*

ერთხელ, ჩვეულებისამებრ, ვკითხე.

— ბეჭდვის საქმის ახალი ხომ არაფერია?

მან ჩვეულებრივად მიპასუხა:

— მერე გაიგებ! და დაუმატა: ამ მოკლე ხანში ისევ გურიაში უნდა წავიდე. ზოგი შორეული სოფელი უნდა მოვიარო, იქ ახალი რამე მეგულება. ისევ ოზურგეთში დავბინავდები—„ჰაერიც“ კარგია, ხალხიც კეთილია, მშვიდი, თითქმის უზრუნველი ცხოვრება მექნება.

1909 წელს ვესტუმრე, სასულიერო სასწავლებელში მსახურობდა. ზაფხულის არდადეგები ჰქონდა და ის იყო შორეული მთიდან ძალიან კარგ გუნებაზე ჩამოვიდა. დალაღა არ ეტყობოდა. მე და ჩემს მეუღლეს ოზურგეთში წარმოდგენა გვექონდა. დავმარცხდით: ხალხი ცოტა დაგვესწრო, მაგრამ გულს არ ვიტეხდით. ფილიმონმა გაიცინა:

— ყოველთვის „ღუ შაში“ ხომ არ მოგივა! მე კი ბედი მეწია: რამდენიმე ძველთაძველი სიმღერა და საგალობელი ჩავეწერე, ჯერ სრულებით უცნობი. სამიოდე დღით ჩემს მეგობარ-ფისგარმონიას დაეასვენებ, მერე კი ახლადჩაწერილ სიმღერების დამუშავებას შეუდგები.

სადილით გაგვიმასპინძლდა, შემდეგ მოცვის ჩაით.

— პოპოვის ჩაი არ მომწონს, მოცვის მირჩევნია—უფრო მარგებელია... თუ შაქარს ბლომად ჩაჰყრიით. ასეთი გემოვნება, ალბათ მოდგმით მომყვება. ჩემი ძმა ლაზარე თუ ზოგჯერ ჩაის დალევდა, მხოლოდ მოცვისას და შაქარი თუ ჰქონდა (გამოჩინებულში შაქარი იშვიათი ხილი იყო), ბლომად ჩაჰყრიდა. მეც ამ რეცეპტს მივდექ!—და ქიქებში თავისი ხელით იმდენი შაქარი ჩაყარა, რომ სიროპს დაამსგავსა. მოცვის გემო მაინც შერჩა.

ამგვარ უცნაურობას, თითქმის ახირობას, იმ ბოლო წლებში ხშირად ვამჩნევდი... სერიოზულ საკითხებშიაც.

1910-11-ში ქუთაისის თეატრში ვმუშაობდი. გაზაფხულზე გვესტუმრა ხალისიანი და მხნე. სასტუმროში დადგა. მეწყინა და როდესაც მისი გადმოყვანა მოვიწოდებ, კატეგორიულად გამომიცხადა:

— ჩემი ამბავი ხომ იცი—მე ჩემს ჩვეულებას ვერ გადავუხვევ, სასტუმროში ყოფნა მირჩევნია, სადილად კი შენთან ვიქნები, თუ კარგი მასპინძელი იქნები!—სიცილით დაამთავრა ფილიმონმა.

სადილის დროს ოხუნჯობდა, ქუთაისის თეატრის ამბავს კითხულობდა. სუფრაზე ორი-სამი ამხანაგი მყავდა. აკვირდებოდნენ და უკვირდით, როგორი მხნე და მხიარული იყო. ერთმა მორიდებით ჰკითხა:

— რამდენი წლის ბრძანდებით, ბ-ნო ფილიმონ?

— თქვენ როგორ ფიქრობთ?

— რა მოგახსენოთ, ბ-ნო! თქვენს შვილზე უფრო მხნედ გამოიყურებით და... რა ვიცი!..

— ოთხმოცდაორის გახლავართ, მაგრამ ჯერ არ ვტყდები. ნმაზედაც კარგად ვარ!.. აბა, უმაწვილებო, პირველი მითხარით, ბანს მოგცემთ!

თავმომწონედ უპასუხა ფილიმონმა და საერთო მრავალგამიერი თავისი ძლიერი ბანით გადაფარა.

იმ საღამოს ოზურგეთში ბრუნდებოდა. გამოგვეთხოვა, ბავშვები დაჰკოცნა, ჩემს მეუღლეს, ნინოს ხელი მაგრად ჩამოართვა და უთხრა:

— კარგი რძალი მყავხარ და ... შენ იცი!

ეტლი მოვიყვანე. მაგრამ უარს ამბობდა—თეხით მირჩენიაო, თითქოს ძალით ჩავსვით და სადგურზე გავაცილე. იქ მითხრა:

— ამ ბოლოს ბევრი მნიშვნელოვანი საგალობელ-სიმღერები ჩავწერე. ხომ გაიგონე, რომ ოთხმოცი წლის და მეტისა ვარ და, თუმცა ჯანზე კარგად ვარ, ვინ იცის, რა მოხდება, და ამიტომ ჩემს ჩაწერილს უპატრონე, შეილო, არ დაიკარგოს!

ისე უბრალოდ, თითქოს ღიმილით მითხრა, რომ მის სიტყვებს ყურადღებაც არ მივაქციე.

იმავე წელს ზაფხულში წალვერში ვისვენებდით. ოზურგეთიდან მოულოდნელად დეპეში მივიღე:

„ფილიმონი გარდაიცვალა ბახმაროზე“.

მეორე დღით ოზურგეთში ვიყავი. უკვე ჩამოსვენებული იყო ეკლესიაში. კუბო ღია იყო—მიცვალებულის მთელი ტანი ყვავილეთით იყო დაფარული. ოდნავად ქალარა, გრძელი წვერი სრულეთით მშვიდ სახეს ამშვენებდა. ნაშუადღევ იყო და ეკლესიაში, გარდა მედავითნისა, რომელიც ფსალმუნებს კითხულობდა, თითქმის არავინ არ იყო. ფილიმონს მთელი ოზურგეთი კარგად იცნობდა და გავიგე, რომ ბახმაროზე ავიდა, იქ ავად გახდა და ორ დღეში გარდაიცვალა. ვიკითხე:

— ავად რითი გახდა, ან ბახმაროზე რა უნდოდა?

— სადღაც სამგზავროდ ემზადებოდა და ღონის მოსაკრებად ბახმაროზე ავიდა.

— საით აპირებდა?

— რა მოგახსენოთ... არაფერი არ უთქვამს და ჩვენც არ ჩავაცივდით. ბახმაროზე ასეღას არ ეურჩევდით: მოხუცი ხარ, ფილიმონ, გაგიკირდება... ცუდი გზაა, 25 ვერსი აღმართია, ნუ წახვალ! მაგრამ ჩვენი ფილიმონი თავის ნათქვამი ადამიანი იყო, არ დავგიჯვრა. ცხენი იქირავე და წავიდა. უნაგირი ძველი იყო, შელანძღული, დააშავა თურმე... მისელისთანავე სიცხე მისცა, სისხლი მოეწამლა, ვერაფერმა ვერ უშველა და... ორ დღეში გათავდა. დიდი ადამიანი დაეკარგეთ, ბ-ნო, დიდი ადამიანი!

— ხომ არაფერი დაუბარებია ან სიტყვით ან წერილით?

— არა, ბატონო, სრულებით არაფერი! ჩვენც იქ ვიყავით იმ დროს... დიდი სიტყე ჰქონდა და რას იტყოდა? - ჩვენი ხელით ჩამოვასვენეთ...

მაშინვე მის ბინაზე მივედი, და დიასახლისის გამოგვითხე, მაგრამ მისგანაც ვერაფერი ვერ გავიგე. მის ოთახში მხოლოდ დამტვრეული ვერცხლის საათი და ორი-სამი რომანსის ნახევე ვნახე, კუთხეში მისი ფისგარმონია იდგა.

ვასვენებას დიდძალი ხალხი დაესწრო, თითქმის მთელი ოზურგეთი: ინტელიგენცია, მოწაფეობა, მრავალი უბრალო ხალხი, მისი მოწაფეები. სასაფლაოზე გუნდი მისივე ჩაწერილი სამგლოვიარო საგალობლებს ასრულებდა. ჩემთან გურულად კაბალახ-თავმობხეული მოხუცი მოვიდა, კაბალახი მოიხადა და სამძიმრის კლოთი მითხრა:

— ფილიმონს კარგად ვიცნობდი, ბავშვობიდანვე: შორეული სოფლის მასწავლებელი ვარ. ჩვენთან ხშირად ამოსულა სიმღერების ჩასაწერად. მისი უანგარო მოღვაწეობა კარგად ვიცი. დიდი ადამიანი იყო და საქართველოს დიდი საქმე გაუყეტა. ასახელა. დიდი და პატარაც დიდ პატივს სცემდა. მისი ნაშრომი სამშობლოს სამუდამოდ ნათელ ძეგლად დარჩება. გურია უყვარდა და კარგია, რომ უკანასკნელი დასვენების კუთხეს გურიაში მიაგნობსენება მისი საუკუნო იქნება!—და მოხუცი გურულის თვლებზე ცრემლი იყო.

ვკითხე, ხომ არ იცის ფილიმონმა თავისი ჩაწერილი ნოტებოვის მიაბარა? არაფერი არ ვიციო, მის მოწაფეებს ეცოდინებაო. ბევრი ხალხი გავიცანი, ყველას გამოგვითხე, მაგრამ პასუხი ერთი იყო: რა მოგახსენოთ, ბევრს წერდა, მაგრამ ვის აბარებდა, არ ვიციო.

ერთმა მირჩია—მელქისედექ ნაკაშიძე ნახეთო, მისი უახლოესი თანამშრომელი იყო და ყველაფერი მას ეცოდინება. ბათუმში ცხოვრობსო.

მეორე დღეს ბათუმში წავედი, მაგრამ მელქისედექი სადღაც სოფელში წასულიყო დიდი ხნით. ფილიპონის სიკვდილი მის მეუღლეს ძალიან ეწინა. ნოტების ამბავი ვკითხე.

არა. შეილო, არაფერი არ ვიცი. მელქისედექმა ნოტები არ იცის და რატომ ექნებოდა. ის სულ რაღაც ლექსებს წერს და უბეში ინახავს, ნოტები კი თვალთ არ მინახავს.

იმავე დღეს ვინმე ნესტორ რუსეიშვილი ვნახე, თეატრის დიდი მოჯვარული იყო და ფილიმონს კარგად იცნობდა. ვთხოვე მელქისედექსისაგან ფილიმონის ნოტების ამბავი გაეგო და ჩემთვის ეცნობებინა. მხოლოდ შემოდგომაზე მაცნობეს, რომ მელქისედექმა ფილიმონის ნოტების შესახებ არაფერი არ იცის. ბოლოს გადავწყვიტე, რომ ფილიმონს ნოტები ბახმაროზე თან ჰქონდა, ძალიან უფრთხილდებოდა და არავის არ ჩააბარებდა. ავადმყოფობის დროს ახლობელი არავინ არ ჰყავდა, უგრძობლად იყო, სიკვდილის წემდეგ მისი პატარა ჩემოდანი უპატრონოდ დარჩა, ვინმემ მიითვისა და ნოტები, თუ კი მართლა შიგ ჰქონდა, უცოდინარობით საბაზრო პარკებად გამოიყენა. ასე იყო თუ ისე. ფილიმონს არაფერი არ დარჩა.

გავიდა ხანი. 1925 წელს ბათუმის თეატრში ვმუშაობდი და თან ხელოვნების საქმეთა აჭარის კომიტეტის თავმჯდომარე ვიყავი. მელქისედექი ვნახე, ვესაუბრე და ვკითხე:

— ბატონო მელქისედექ, ყური მოვკარი თითქო მამაჩემი სიკვდილის წინ სადღაც შორს წასვლას აპირებდა. მართალია თუ არა?

მელქისედექი იმ დროს ძალზე მოხუცებული იყო, თითქმის 90 წლისა. მძიმედ და უცნაურად ლაპარაკობდა—ჩერდებოდა, იგონებდა. საუბრის საგანს უხვევდა. ბოლოს და ბოლოს მისგან ჩემთვის სრულიად მოულოდნელი და გასაკვირი ამბავი გავიგე: ფილიმონს ბოლო წლებში თავისი ნაშრომის დაბეჭდვის და გამოყენების იმედი დაეკარგა. საზოგადოების გულგრილობამ გული გაუტეხაო. მაშინ იტალია მოაგონდა—იქ ეს საქმე ადვილად მოეწყობაო: იქ დამბეჭდავენ, თითონაც გამოიყენებენ, აქეთაც წამოვიღებ და მზა-მზარეულს ჩვენს ქვეყანას მივართმევო. მიწერწორა ჰქონდა თურმე, შეთანხმდნენ. თავისი მარაგის საუკეთესო ნაწილი, სასულიერო და საერო, გადაარჩია. ფოსტით გაგზავნა არ უნდოდა, დაიკარგებო. თითონ წავიღებო. ავანსიცი მიიღო 500 მანეთი, იქიდან ნაწილი მეც მომცა—ამ ნოტებში მენი ნაშლერი სასულიერო ჰანგებიც არისო, შრომის ფასი გე-

კუთენისო. თავის განზრახვას ყველას უმაღლავდა, ხელს შემოშლიან, შურიანი ხალხი ბევრიაო. როცა საქმეს შეეასრულებ, მადლობას მაშინ მეტყვიანო.

— მხოლოდ მე მენდო—ამ საქმეზე დღემდი ხმა არ ამომიღია. ცოლისთვისაც არ მიტყვამს. თავმომწონედ თქვა მელქისედექმა.

— ხო, მაგრამ ფილიმონის სიკვდილის შემდეგ რა დასამალი იყო?

— რა ვიცი, შვილო, მორწმუნე კაცი ვარ... ფიცი მივეცი და ფიცის გატეხა არ შემეძლო...

— ახლა?

— ხუთმეტი წელიწადი გავიდა... და მაშინდელ ფიცს ძალა აღარა აქვს... სხვა არა იყოს რა, შვილი ხარ და მამაშენის ამბავი უნდა იცოდე...

— ნოტები? წასაღები ნოტები?

მელქისედექი შეჩერდა, დაფიქრდა:

— ნოტები არ ვიცი, შვილო... საგალობლებს ზეპირად ვამბობდი, ძველებურად... ნოტები ფილიმონმა იცოდა, ის წერდა...

— ხო და მისი ჩაწერილი რა იქნა თუ იცი? ნუ თუ ერთი თაბახი მაინც არა გაქვს?

მელქისედექი თითქო შეწუხდა, თითქო რაღაცას იგონებდა, დაიღრიალა და საგანს გადაუხვია.

— არ დასცალდა ცხონებულს, ბედი არ ჰქონია, თორემ მისი საქმე კარგად იქნებოდა... დიდი ჯანი ჰქონდა, მაგრამ ყველაფერი ღვთის ხელშია...

იმ დღეს, რაც მიამბო, იმაზე მეტი ვერაფერი ვერ ვათქმევინე. თავისი სასულიერო ლექსების კითხვა დამიწყო: ლექსად დაწყობილი წმინდანთა ცხოვრება, ფსალმუნები.

— არ მიბეჭდავენ, შვილო... საკირო არ არისო...—ნაღვლიანად მითხრა მან.

მეორე დღეს ისევ ვნახე და ნოტების ამბავს ისევ შევეხე.

— არა, შვილო, არაფერი არა მაქვს!—და სხვა საგანზე გადავიდა.

— ბავშვობიდანვე მომღერალი ვარ, ფილიმონთან მრავალი წელიწადი მიმუშავებია ქვეყნის სასარგებლოდ, გუნდებში მიმღერია, ამ საქმეში დიდად დამსახურებული ვარ... ხო და... შენ, შვილო, იმ კომიტეტში ყოფილხარ, სადაც არტიტებს და მომღერლებს

ეხმარებიან... მომიხერხე, როგორმე, დამსახურებული მომღერლის „ჩინი“ მომცენ... მოვხუცდი... გაქირვებაში ვცხოვრობ და პენსიას მომცემენ. გავიგე, რომ ასეთი მომღერლები არიან. მაი საქმე მეც მომიხერხე. კომიტეტის თავმჯდომარე ყოფილხარ და შენთვის ადვილია... შენ რომ ცხონებული ფილიმონის საქმეზე რაცხას ეძებ, მეც დაგეხმარები, ვიკითხავ, გამოვკითხავ, ქვეყანას ვიცნობ... ჩემს სკივრსაც გადავსინჯავ, რამდენი ხანია შიგ არ ჩამიხედავს, არც კი მახსოვს... შემოიარე, ერთად ვნახოთ... რაცხა პატარა ქალაქდება, ფურცლები... რა ვიცი გამოდგება თუ არა...

კარგად ვიცოდი, რომ საეკლესიო, სასულიერო დამსახურებისათვის არც წოდება, არც პენსია არავის არ ეძლეოდა. საექვო შეპირება არ შემეძლო, არც მისი მოტყუება მინდოდა. და ამიტომ რბილი, მაგრამ მტკიცე უარი ვუთხარი. ეწყინა, ძალიან ეწყინა. ვხედავდი, რომ ამ უარით ჩემივე საქმე გავაფუჭე. მიუხედავად ამისა, ბინაზე წავედი. სამჯერ ვიყავი და სამივეჯერ უშედეგოდ: პირველად მითხრეს სოფელში წავიდაო, მეორედ—შინ არ არისო, მესამედ—ვაკაუნე, მაგრამ ხმა არავინ არ გამცა. ისე გამოდიოდა, რომ ნაწყენმა შური იძია.

ორი-სამი წლის შემდეგ გავიგე, რომ მელქისედეკი გარდაიცვალა იმ დროს ქუთაისში ვმუშაობდი და ერთხელ საქმეების გამო ბათუმში წავედი. ისევ ნესტორ რუსეიშვილს ვთხოვე, მელქისედეკის ქვრივი ენახა და დაკარგული ნოტების ამბავი გაეგო. მაცნობა, რომ ქვრივი ნახა, მაგრამ ვერაფერს ვერ მიაღწია, სკივრს არ მიაკარა.

— ჩემს ზანდუქთან რა საქმე გაქვს, ძმაო? შიგ ჩემი განსვენებული ქმრის ქალაქდება... შენ რა, გამომძიებელი ხარ თუ?

ასე გაისტუმრა ნესტორი მელქისედეკის ქვრივმა.

ცოტა ხნის შემდეგ თბილისში დავბინავდი. არც შარაძე, არც კერესელიძე აღარ იყვნენ. სტამბა აღარ არსებობდა, შარაძეზე მითხრეს გარდაიცვალაო, კერესელიძე კი, ფილიმონის ნოტების გადამწერი, საღლაც მონასტერში ბერად წასულა. ასე რომ ნოტების პირველადი მარაგიც აღარ ჩანდა, მისი კვალიც გაჰქრა. ფილიმონის მთელი ნაშრომი, იოანე ოქროპირის წირვისა, რამოდენიმე რომანსისა და ნოტების შესასწავლი სახელმძღვანელოს გარდა, უკვე საზღაპრო, რომანტიკულ განძად მესახებოდა.

წარმოვიდგენდი ხოლმე მის საზღაპროსვე ცხოვრებას: შქერით და წიფლებით შემოსილ „გამოჩინებულზე“ აღზრდილ პატარა ფილიმონის კრიმინალს, მის წარმატებით სწავლას, სამსახურს, რომელმაც სულთამხუთავ „ტკბილ ქაობში“ ჩააგდო, საიდანაც არაჩვეულებრივმა სასიძლერო ხმამ და შემთხვევამ ხელოვნების უმაღლეს წერტილზე აიყვანა; წარმოვიდგენდი მისი ცხოვრების ხან ფუფუნებას, ხან უაღრეს გაჭირვებას. რომელიც სხვისი როიალების სამ მანეთად აწყობას აიძულებდა; მის საზოგადოებრივ მუშაობას, როდესაც ხან ხელით ატარებდნენ, ხან ცივ წყალს გადაავლებდნენ; დაქვრივების შემდეგ სულიერ ობლობას; მის ოცნებას, რომ მისი ნაშრომი დაიბეჭდებოდა და მისი მშობლიური ხალხის სასარგებლოდ გამოდგებოდა; და ბოლოს, მის მოულოდნელ, უაზრო და სასტიკ სიკვდილს, რომელიც სწორედ მაშინ მოხდა, როდესაც ფილიმონი თავის ნანატრ საწადელს ასე მხნედ და ხალისიანად უახლოვდებოდა.... ეს ხომ მთელი ზღაპარია, ლამაზი, რომანტიკული ზღაპარი, სადაც დიდი, ძვირფასი, მაგრამ დაკარგული საუნჯე ემარხა!

მაგრამ გაურკვეველი, ბუნდოვანი იმედი ყოველთვის მქონდა, რომ დაკარგული განძი ცოცხალია, ადრე თუ გვიან თავს ამოჰყოფს და ფილიმონის ხსოვნას და მოღვაწეობას ფერად გვირგვინად დაადგება. ჩემს გონებაში ხმამაღლა ბგერდა მისი სიტყვები: „მერე გაიგებ!“

და მართლაც გავიგე, ძალიან გვიან, მაგრამ მაინც გავიგე.

\* \* \*

დაახლოებით 1940 წელი იყო. ერთხელ, ილია ზურაბიშვილთან შევედი. იქ ერთი ხნიერი ადამიანი იყო. ილიამ გაგვაცნო.

— ეს მოქალაქე დავითაშვილი ბრძანდება, საქართველოს სიძველეთა დაცვის კომიტეტის თანამშრომელი, ქართველი გალობა-სიმღერის დიდად მოყვარული. ეს კი—ქართული თეატრის რეჟისორი, მიხეილ ქორელი.

ილიას, ოპერის დიდად მოყვარულს, მრავალი საოპერო მომღერალი მოუსმენია და ლაპარაკი ძველ მომღერლებზე ჩამოვარდა. ილიამ ფილიმონი მოიგონა.

— მრავალი ბანი მომისმენია, მაგრამ ფილიმონ ქორიძისთანა—არც ერთი. ის პირველი ქართველი იყო, რომელიც ევროპაში დიდი წარმატებით მღეროდა...



— ვიცი, როგორ არა, მეც მომისმენია, ვიცნობდი კიდეც,—  
შეაწყვეტინა დავეითაშვილმა.— მისი გაწრთენილი გუნდები და  
მისივე ჩაწერილი და დამუშავებული სიმღერები დიდი სიამოვნე-  
ბით მომისმენია... ჩვენი მუსიკის დიდი მოამაგე იყო!

ილიამ ჩემზე მიუთითა:

— ეს—ფილიმონის შვილია!

დავეითაშვილს გაუკვირდა:

— თქვენ ხომ ქორელი ბრძანდებით?

— დიახ. მაგრამ ქორელი ჩემი სცენიური (თეატრალური) ფსევ-  
დონიმია, ჩემი ნამდვილი გვარი—ქორიძეა. ფილიმონის შვილი  
გახლავართ!

— სასიამოვნოა! დიდი ადამიანი იყო ფილიმონი, დიდი მოთ-  
ქინების და ენერჯის პატრონი! იმდენი საგალობელი და სიმღერა  
ჩაუწერია... მთელი განძია!

— სამწუხაროდ ეს განძი დაკარგულია!..

— როგორ თუ დაკარგულია! რასა ბრძანებთ? აღმოჩენილია და  
სახელმწიფო მუზეუმში ინახება! არ იცოდით?

— არ ვიცოდი სამწუხაროდ, მამაჩემის ნაშრომი დაკარგულად  
ბთვლებოდა და მისი აღმოჩენის იმედი აღარ მქონდა.

— როდესაც ამას წინათ შემთხვევით გავიგე, რომ ფილიმონის  
მიერ ჩაწერილი სიმღერები არ დაკარგულა და ერთ-ერთ მონას-  
ტერში ინახება, პირველად ფილიმონის შვილს, ქორიძეს ვეძებდი,  
მისთვის უნდა მეცნობებინა. მისი შვილი კი, ქორელი ყოფილა.  
მაშინ ამ საქმეს მე თითონ შეუდექი. მე, როგორც ქართველს,  
დიდი კულტურული განძის დაცვა მამოქმედებდა და დიდი მოლ-  
ვაწის, ფილიმონის პატივისცემაც.

და მიაშბო:

ხანგრძლივი კითხვა-გამოკითხვის შემდეგ ვაიგო, რომ რალაც  
ნოტები, თითქოს ფილიმონის მიერ ჩაწერილი, ზედაზენის მონას-  
ტერში ბერ კერესელიძეს აქვს და არ ამჟღავნებს. მაშინ ზედაზენში  
წასულა. ლამდებოდა და ბუჩქნარში, ტყით, მისთვის უცნობი ბილი-  
კით, თითქმის ფორთხვით ასულა. იქ ბერი კერესელიძე უნახავს და  
ნოტების ამბავი გამოუკითხავს. კერესელიძეს ჯერ უარი უთქვამს.

შემდეგ კი აღიარა: ეწინოდა, რომ უსიამოვნება რამე შეხვდებოდა, სასულიერო პირი ვარ და იმ ჩემი ხელით გადაწერილ ნოტებში უმრავლესობა საეკლესიოაო, შენახვაც სახიფათოა, დაწვაც ცოდვა—მორწმუნე კაცი ვარ და ფილიმონის ხსოვნის დიდი პატივისმცემელი. ჩაფლული მაქვს ყუთებშიო.

ხანგრძლივი საუბრის შემდეგ დაეთაშვილმა, როგორც იყო, დააჯერა, რომ ასეთი კულტურული განძის შენახვისა და ჩაბარებისათვის მთავრობა არა თუ საყვედურს, პირიქით—მადლობას ეტყვის.

სულ ცოტა ხნის შემდეგ კერესელიძე თბილისში ჩამოვიდა და განათლების კომისარიატში წავიდა. კომისარმა ნოტების აღმოჩენის ამბავი და კერესელიძის მორიდება-შიში უკვე იცოდა. ძალიან კარგად შეხვდა, ნოტების შენახვისათვის მადლობა გადაუხადა და პენსია დაუნიშნა 200 მანეთი თვეში. ჩამოტანილი ნოტები აღრიცხეს: აღმოჩნდა ხუთი ათას ხუთასზე მეტი საგალობელი და სიმღერა. საზღაპრო რაოდენობა!

პუბლიცისტმა შალვა კაშმაძემ, ჩვენი მუსიკალური მოღვაწეების ცხოვრებით დაინტერესებულმა, გაცივო კერესელიძე და ჯერ დაკარგული, შემდეგ აღმოჩენილი ნოტების ამბავის აღწერა თხოვა. რადგანაც ნოტების გადაცემის დროს კომისარიატში მხოლოდ ჩაბარების და აღრიცხვის აქტი იყო შედგენილი, კაშმაძეს უნდოდა ფილიმონის გაცნობის, მასთან თანანშრომლობის, ნოტების გადაწერის და შენახვის დაწვრილებითი ამბავიც დაეწერა. ეს თხოვნა კერესელიძემ სიამოვნებით შეასრულა.

მის მიერ დაწერილი ამბავი თითქმის მოთხრობაა და რამდენიმე თაბახს შეადგინს. მასში ნაამბობია, შარაძე როგორ გაცივო და მის გუნდში მონაწილეობდა, ფილიმონისაგან ნოტები და ნოტების წერა შეისწავლა, როგორც მორწმუნემ, საგალობლების გადაწერა ღვთის სამადლო და დიდად კულტურულ საქმედ მიიჩნია, ამისათვის საერო ცხოვრებაზე და ცოლშვილიანობაზე უარი თქვა, ბერად წავიდა და ფილიმონის სუფთად გადაწერილ ნაშრომს მრავალი წლის განმავლობაში ინახავდა. მთელი, ძველებური სახის რომანტიკული ამბავია!

ეს ქალაქი, მის მიერ ხელმოწერილი, სათანადო დადასტურებული, შალვა კაშმაძესთან ინახება (გონჩარაია, 28).

ნოტები კი ამჟამად სახელმწიფო მუზეუმში ინახება ხელთნაწერების განყოფილებაში. აქლია მხოლოდ ის ნაწილი, რომელიც ფილიმონს იტალიაში უნდა წაეღო.

ფილიმონის დიდი ხნის ნატვრა იყო, მის მიერ ჩაწერილი სიმღერა-საგალობლები მუსიკოსთა მომავალ თაობას გამოეყენებია: შეესწავლა და თავისი შემოქმედების მასალად ჰქონოდა. ახლა მისი ნაშრომი დაცულია და საიმედო ხელში ინახება.

მართალია, ახლანდელი ქართველი მუსიკოსები და კომპოზიტორები ხალხურ მუსიკას კარგად იცნობენ, თვითონაც აგროვებენ და თავის ნიჭიერ ნაწარმოებებში ნიჭიერადვე იყენებენ. მაგრამ ფილიმონის მიერ დაგროვებული მასალა, მისივე თქმით, იმდენად მრავალფეროვანია, ღრმა და ორიგინალური, იმდენად დიდია, რომ მისი ამოწურვა არც ისე ადვილია. მომავალი და თანამედროვე მუსიკოსები ისეთ არაჩვეულებრივ, მოულოდნელ და ახალ ჰარმონიზაციას, რიტმს და ჰანგებს შეხვდებიან, რასაც სხვა ხალხების მუსიკაში ვერ ნახავენ. და ამ მასალით ჩვენი ახალგაზრდა კომპოზიტორები თავის შემოქმედებას ახალი ფერებით გააშუქებენ.

ფილიმონის, დიდი და უანგარო მოღვაწის ცხოვრება მუდამ დიდი იმედით, თითქმის რწმენით იყო სავსე, რომ მისი ნაშრომი ბოლოს და ბოლოს ხალხის ფართო მასაში გავრცელდებოდა, მის კულტურას აამაღლებდა, ქართულ მუსიკას განამტკიცებდა. მაგრამ თითო-ოროლა მომენტი, როგორც იყო წერა-კითხვის საზოგადოების და შარაძის მიერ გამოცემული რამოდენიმე სიმღერა, გაბრიელის დახმარებით დაბეჭდილი საგალობლები, ან, მით უმეტეს, თვითელი მოღვაწის პლატონიური მოწონება და სიტყვიერი შექება, კონცერტების დროს უხვი ტაში, ფილიმონის მიერ ნაფიქრ საქმეს ვერ განახორციელებდა. და ამიტომ მის ცხოვრებას ხშირად მწუხარება მოიცავდა ხოლმე.

მიუხედავად ამისა, ამ 82 წლის მოხუცმა უკანასკნელი ღონე იხმარა—იტალიაში წასვლა დააპირა, რათა მისი ნაშრომის დაბეჭდვის ნიადაგი მოენახა, მაგრამ არ დასცალდა.

ფილიმონი დღეს რომ ცოცხალი ყოფილიყო, სხვაგან წასვლა არ დასჭირდებოდა, მისი შრომა დაფასდებოდა და ბრწყინვალედ დაგვირგვინდებოდა...

ის დაინახავდა, რომ თვით მთავრობა შეუწყობდა ხელს...

დაინახავდა, რომ დღეს კულტურულ წამოწყებას მთავრობა თაქიზად ექცევა.

დაინახავდა, რომ პატიოსანი მოღვაწე, რა დარგისაც არ უნდა იყოს იგი, ყოველნაირად უზრუნველყოფილია...

დაინახავდა, რომ ხალხის შემოქმედება აყვავების გზაზეა...

დაინახავდა, რომ დღევანდელ პირობებში ნიჭიერ ადამიანს—მუსიკოსს, მხატვარს, თუ მსახიობს ლუკმა პურისთვის მდიდარი ვაჭრის სახლში სამ მანეთად როიალის აწყობა არ სჭირდება...

დაინახავდა და... გაიხარებდა.



ს ა რ ჩ ე ზ ი

1. ფილიმონის ბავშვობა . . . . .	3
2. ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში . . . . .	9
3. თბილისის სემინარია: სემინარიის დამთავრების შემდეგი წლები . . . . .	13
4. იტალიური ოპერა თბილისში, იტალიაში წასვლის განზრახვა და წასვლა . . . . .	18
5. იტალიაში ყოფნის პირველი პერიოდი. საქართველოში დაბრუნება და იტალიაში მეორედ წასვლა . . . . .	27
6. პეტერბურგში . . . . .	32
7. იტალიაში მეორედ ყოფნა და საქართველოში საბოლოოდ დაბრუნება . . . . .	38
8. თბილისში ცხოვრების პირველი წლები . . . . .	45
9. ქართული სიმღერა-გალობის ჩაწერის დაწყება . . . . .	52
10. ქართული სიმღერა-გალობის ჩაწერის და დაბეჭდვის საკითხი . . . . .	65
11. ქართული მუსიკის ჩაწერის ამბები . . . . .	75
12. ფილიმონის მუშაობა ქუთაისში . . . . .	87

რედაქტორი შალვა დაღიანი

კორექტორი თ. მამფორია

სსსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული პოლიგრაფიისა და გამომცემლობის  
საქმეთა სამმართველოს მე-2 სტამბა. თბილისი, ფურცლბრუნის ქ. № 5.

ტირაჟი 4000.

შეკვ. № 323

ფი02642